საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 აგვისტო პარასკევი 2012 №200 (13 806) ფასი 80 თეთრი

დღეს, 19:00 სპორტის სასახლე

## საქართველო – ლატვია

გუშინ ჩვენმა ნაკრებმა ბალტიისპირელებთან პრინციპული მატჩის წინ ბოლო ვარჯიში გამართა

# დღეს გადაწყდება...

## ლატვიასთან მატჩი ბევრ კითხვას უპასუხებს







10-11

იგორ კოკოშკოვი და მისი შეგირდები ბალტიელებთან მატჩისთვის გულმოდგინედ ემზადებიან

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

## დილამ შანსი დაიტოვა

30 აგვისტოს გორელების მხარდასაჭერად...



2




## ვალდესის საჩუქარი რეალს

ესპანეთის სუპერთასის ბედი ბერნაბეუზე გადაწყდება

9

## გამყრელიძე სოპოტში და ევროთასზე

ევროთასის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია - პოლონეთის უმაღლესი ლიგის გუნდ „სოპოტთან" კონტრაქტი გააფორმა **ლაშა გამყრელიძემ**. იგი გასულ სეზონში თბილისის „ოლიმპში" გამოდიოდა, სხვადასხვა დროს კი გერმანიასა და ავსტრიაში უთამაშია.

პოლონეთის ჩემპიონატის პარალელურად „სოპოტი" კარსმომდგარ სეზონში ევროთასზე ითამაშებს. იმასაც შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ გუნდში 2010 წელს გიორგი ცინცაძე ირჯებოდა.

ვაჟა სიმონიშვილი




უტევს ლაშა გამყრელიძე (ბურთით)

## ქართული ფეხბურთი

ევროპალიგა. პლეი ოფი

23.08.12. ფუნშალი. ბარეიროში. 3000 მაყურებელი

**მარიტიმუ 1**

**დილა 0**

1:0 ფიდელისი (64. რობერჟის პასით).

| მარიტიმუ 4-3-3 | დილა 4-2-3-1 |
|---|---|
| სალენი | საენდერი |
| ბრიგელი | შაშიაშვილი |
| ჟოაო გილერმე | სალუქვაძე |
| რობერჟი | გ. ონიანი |
| ოლიმი | კვირკველია |
| ადილსონი | გვალია |
| მირანდა | ბეჟუაია |
| ჟოაო ლუიში | გოგუა |
| სიმაუ | გრიგალაშვილი |
| სამი | კლიმიაშვილი |
| ელდონი | გურული |
| მწვრთნელი: პ. მარტინში | მწვრთნელი: თ. შალამბერიძე |

**მარიტიმუ**

54. ადილსონი - **ფიდელისი**
55. ელდონი – **დანილო დიასი**
80. ჟოაო ლუიში - **როდრიგო ანტონიო**

*სათადარიგოები: რიკარდო, ჟოაუ დიოგუ, იგორ როსი, იბრაჰიმი.*

**დილა**

56. კლიმიაშვილი – **კახელიშვილი**
63. გურული – **ილურიძე**
70. გრიგალაშვილი – **ახალკაცი**

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ჯიმკარიანი, კაშია, კაციტაძე.*

გაფრთხილება: ჟოაო ლუიში (50), შაშიაშვილი (60), გოგუა (71), სიმაუ (73), ახალკაცი (78).

არბიტრი: ლ. კოვარჟიკი (ჩეხეთი)

# დილა: მისია შესრულებადია!

გორის "დილა" ახლოს არის მიზანთან და დარჩა შანსი, თბილისის "დინამოს" რვა წლის წინანდელი შედეგი გაიმეოროს და ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდეს.

რა თქმა უნდა, ეს იოლი ამოცანა არ არის, მაგრამ პორტუგალიურ "მარიტიმუსთან" პლეი ოფის პირველმა შეხვედრამ გამოაჩინა, რომ მისია შეუსრულებელი ნამდვილად არ არის.

შეხვედრას ორივე გუნდი პრობლემებით შეხვდა: "მარიტიმუს" პორტუგალიელთა მთავარმა მწვრთნელმა **პედრუ მარტინშმა** ვერ დაიხმარა მცველი **რუბენ ფერეირა**, ნახევარმცველები **ოლბერდამი** და **სემედუ**. "დილას" კი დისკვალიფიცირებული **მათე ვაწაძე** და ტრავმირებულები, **კახა ალადაშვილი, გულვერდ თომაშვილი, ზურაბ არზიანი** და **ირაკლი მოდებაძე** დააკლდა. ორივე ცენტრალური თავდამსხმელის არყოფნაში გორელთა მთავარ მწვრთნელს **თემურ შალამბერიძეს** სერიოზული სატკივარი გაუჩნდა - ვინ დაეყენებინა მათე-გოლის პოზიციაზე? საბოლოოდ ფლანგიდან **სანდრო გურული** ნასწია, მის პოზიციაზე კი ახალწვეული **ირაკლი კლიმიაშვილი** დააყენა.

თამაში ფუნშალის "დოს ბარეიროშზე" მასპინძელთა შეტევებით დაიწყო, რაც მოსალოდნელიც იყო: მასპინძლებს საქართველოში მშვიდად ჩამოსასვლელად სახლში სასურველი ანგარიშით მოგება და გოლის არგაშვება სურდათ.

გორელებს შეტევების განვითარება უჭირდათ, მაგრამ, მასპინძლებმა დიდი უპირატესობაც ვერ მოიპოვეს.

მე-17 წუთზე ფლანგური გადაცემის შემდეგ მეკარესთან პირისპირ **სამი** გადიოდა, მაგრამ **გიორგი შაშიაშვილი** დროულად ჩაუწვა და და ვითარება განმუხტა. მალე კი **ადილსონის** სახიფათო დარტყმა გორელთა მეკარე **მარინ სკენდერმა** მოიგერია.

პირველი სერიოზული შეტევა "დილამ" მე-20 წუთზე კუთხურის მოწოდების შემდეგ შეძლო, შეტევა წუთი გრძელდებოდა, მაგრამ სახიფათო დარტყმამდე საქმე ვერა და ვერ მიიყვანეს – დასკვნით ფაზაში სტუმრები ძალიან უგერგილოდ გამოიყურებოდნენ, რადგან მცირე ძალებით უტევდნენ.

სახიფათო კონტრშეტევა მხოლოდ 29-ე წუთზე წამოიწყეს, მაგრამ მარჯვენა ფლანგიდან გურულმა გადაცემა ვერ მოზომა და მეტოქის მოშიშვლებულ საჯარიმოში სანამ ბურთი **შოთა გრიგალაშვილმა** მოათვინიერა, პორტუგალიელებმა უკან დახევა და ვითარების განმუხტვა მოახერხეს.

მეორე ტაიმში მასპინძლები გააქტიურდნენ და გორელებს მეტოქის საჯარიმოში გადასვლაც გაუჭირდათ. 52-ე წუთზე **რაფაელ მირანდამ** სცადა მარჯვენა ფლანგიდან შეტევის წამოწყება, მახვილი კუთხიდან კარში დაარტყა თუ ჩააწოდა, მაგრამ უშედეგოდ. კუთხურიდან მოწოდებული ბურთი კარში ზუსტად ვერც სამმა გაგზავნა.

პორტუგალიელთა უპირატესობამ შედეგი მაინც გამოიღო: 64-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში იოლად შევიდა **რობერჟი**, საჯარიმოში **ფიდელისი** მოძებნა, რომელიც შემოტრიალდა და ზუსტად დაარტყა – 1:0.

"დილა" მხოლოდ ამის შემდეგ გამოცოცხლდა და მწვავედაც შეუტია. მეკარე **რომენ სალენი** თამაშში პირველად 67-ე წუთზე **გოგიტა გოგუას** მიწოდებული კუთხურის შემდეგ ჩაერთო.

76-ე წუთი, ისევ კუთხური: **დავით კვირკველიას** ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოში გოგუამ მიიღო და შემოტრიალდა, ბურთი კი რობერჟს მხარზე მოხვდა. გორელები პენალტის დანიშვნას ითხოვდნენ, მაგრამ ჩეხმა არბიტრმა **ლიბორ კოვარჟიკმა** წესის დარღვევა ვერ შენიშნა.

ბოლოს "დილამ" შტურმის მოწყობა სცადა: 85-ე წუთზე **გიორგი კახელიშვილის** გადაცემას კარის წინ მყოფი **გიორგი ილურიძე** ვერ გამოეხმაურა; მალე **რომან ახალკაცის** დარტყმა მეკარე რომენ სალენმა ფეხით მოიგერია, რამდენიმე წამში კი კვირკველიას დარტყმა კარს მცირე მანძილით ასცდა.

შეტევებში წასულმა "დილამ" დაცვა მოაშიშვლა და 90-ე წუთზე სწრაფი შეტევის დაგვირგვინება **დანილო დიასს** შეეძლო, მალე კი ფიდელისის ძლიერი დარტყმის შემდეგ "დილა" სკენდერმა გადაარჩინა.

გორის "დილას" ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის არც ისე ცუდი შანსი დარჩა. გორელები დამარცხდნენ, მაგრამ მეტოქის ძალა და შედეგიც გვაიმედებს, რომ ამ ბარიერის დაძლევა შეუძლებელი არ არის, მით უფრო, რომ განმეორებით შეხვედრაში "დილას" წამყვანი მოთამაშეების ნაწილი მაინც დაუბრუნდება.

**მერაბ მამულაშვილი**



ლაშა სალუქვაძე (მარჯვნივ) მეტოქის შეჩერებას ცდილობს

დინამო

# 12 ნომერი მე-12 მოთამაშისთვის

"ზესტაფონიდან" თბილისის "დინამოში" გადაბარგებული **ჯაბა დვალი** ახალ გუნდში, არა ცხრანომრიანი, არამედ 12-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

კლუბთან, კონტრაქტის გაფორმების დღეს, დვალს შეატყობინეს, რომ 9 ნომერი მისი იქნებოდა, თუმცა როგორც გაირკვა, ეს ნომერი **ირაკლი ლექვთაძის** საკუთრებაა, ამიტომ დვალმა სიმბოლურად, 12-ე ნომერზე შეაჩერა არჩევანი.

"გულშემატკივარი ჩვენთვის მოედანზე მე-12 მოთამაშეა. ამიტომ გადავწყვიტე, რომ სიმბოლურად მე-12 ნომერი ამეღო. სწორედ მათთან ერთად უნდა შევძლოთ წარმატების მიღწევა", - ამბობს დვალი, რომლის დებიუტიც, სავარაუდოდ, ბათუმის "დინამოს" წინააღმდეგ შედგება ზესტაფონში.

"ლელოს" ინფორმაციით, 27 წლის ფორვარდი 18-კაციან განაცხადში იქნება.

**მაგდა კლდიაშვილი**



ევროპის ლიგა. პლეი ოფი. I მატჩები



ტრომსო-პარტიზანი 3:2

# ხმაურიანი სენსაციების გარეშე

"ჰაპოელი", "იანგ ბოისი", "ბრიუგე", "მეტალისტი", "ინტერი", "ბილბაო", პსვ, "ლაციო", "ლევანტე", "ჰანოვერი" – ეს იმ კლუბების ჩამონათვალია, რომლებმაც ევროპის ლიგის პლეი ოფის მატჩები სოლიდური ანგარიშებით მოიგეს და თავი, ფაქტობრივად ქუდში, უფრო ზუსტად, ჯგუფურ ეტაპზე აქვთ. სხვა წყვილებში კი ერთი კვირის შემდეგ მეტნაკლებად დაძაბული ბრძოლებია მოსალოდნელი.

გუშინ ხმაურიანი სენსაციები არ დაფიქსირებულა და მატჩების უმრავლესობა ლოგიკური და მოსალოდნელი შედეგით დასრულდა. "ზესტაფონის" გამამწარებელმა ბაქოს "ნეფთჩიმ" საკუთარ კედლებში დიდი წინააღმდეგობა გაუწია წინა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტს, კვიპროსულ აპოელ-ს და წინაც იყო გასული, ოღონდ სულ ერთი წუთით. 1:1-მა წყვილის ფავორიტად კვიპროსელები დატოვა.

სტუმრად გაიმარჯვეს ევროპის ლიგის ყველაზე სახელოვანმა მონაწილეებმა, "ლივერპულმა" და "ინტერმა", ყველაზე დიდი ანგარიშით ევროპის ლიგის ბოლო გათამაშების ფინალისტმა "ბილბაომ" გაიმარჯვა, ყველაზე უხვგოლიანი და დრამატული მატჩი კი პოლონეთში გაიმართა, სადაც იქაურმა „ვროცლავმა" თავდაპირველად შეძლო ჩამორჩენის აღმოფხვრა, მაგრამ ბოლოს მაინც ველარ შეძლო გერმანული "ჰანოვერისთვის" სათანადო წინააღმდეგობის გაწევა და ძალიან უსიამოვნო ანგარიშით, 3:5 დამარცხდა.

30 აგვისტოს უდავოდ კიდევ უფრო საინტერესო დაპირისპირებები გველის და დიდი იმედი გვაქვს, გამარჯვებულთა და ჯგუფური ეტაპის მონაწილეთა შორის გორის "დილაც" იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**ანჟი–ალკმაარი 1:0**

**გოლი:** 1:0 ლ. ტრაორე (50)

**ნეფთჩი–აპოელ 1:1**

**გოლები:** 1:0 შუქუროვი (82. პენ.), 1:1 ბენ აშური (83)

**ტრომსო–პარტიზანი 3:2**

**გოლები:** 1:0 პრიოვიჩი (37), 1:1 მარკოვიჩი (43), 2:1 ბიორკი (77), 3:1 მბოჯი (82), 3:2 მიტროვიჩი (84)

**ექრანასი–სტიაუა 0:2**

**გოლები:** 0:1 მარტინოვიჩი (36), 0:2 პოპა (76)

**აიკ–ცსკა მ. 0:1**

**გოლი:** 0:1 ჰონდა (61)

**აჰრომიტოსი–ნიუკასლი 1:1**

**გოლები:** 1:0 ეპშტეინი (24), 1:1 ტეილორი (45)

**შერიფი–მარსელი 1:2**

**გოლები:** 0:1 ჯ. აიუ (18), 1:1 პაიოვიჩი (27), 1:2 ჟინიაკი (53)

**ლეგია–როსენბორგი 1:1**

**გოლები:** 1:0 კოსეცკი (42), 1:1 დოკალი (80)

**ლიბერეცი–დნეპრი 2:2**

**გოლები:** 0:1 კონოპლიანკა (43), 0:2 მატეუსი (49), 1:2 ბრეჟნანიკი (62), 2:2 ვაჩა (90. პენ.)

**მიოლდე–ერევენი 2:0**

**გოლები:** 1:0 ეიკრემი (31), 2:0 მოსტრიომი (90)

**ბურსასპორი–ტვენტე 3:1**

**გოლები:** 0:1 ჩადლი (31), 1:1 ბატალია (40), 2:1 შესტაკი (53), 3:1 ბატალია (82)

**დინამო ბ.–მეტალისტი 0:2**

**გოლები:** 0:1 ხავიერი (9), 0:2 კრისტალდო (57)
**გაძევება:** ფინინიო (68. მეტალისტი)

**ლუცერნი–გენკი 2:1**

**გოლები:** 1:0 რანგელოვი (7), 1:1 ფოსენი (12), 2:1 ვინტერი (71)

**ტრაბზონსპორი–ვიდეოტონი 0:0**

**დუდელანჟი–ჰაპოელი თ. 1:3**

**გოლები:** 0:1 კაილე (4. ს.კ.), 0:2 ბენ ჰაიმი (19. პენ.), 1:2 იოაჰიმი (20), 1:3 კოჰენი (26)

**ფეიენოორდი–სპარტა 2:2**

**გოლები:** 0:1 კადლეცი (23), 0:2 კადლეცი (27), 1:2 ნელომი (60), 2:2 აშაჰბარი (90)

**მიდტიულანდი–იანგ ბოისი 0:3**

**გოლები:** 0:1 ბობადილია (42), 0:2 ფარნერუდი (81), 0:3 კოსტანცო (90)
**გაძევება:** რასმუსენი (69. მიდტიულანდი)

**დებრეცენი–ბრიუგე 0:3**

**გოლები:** 0:1 ბლონდელი (58), 0:2 რაფაელოვი (77), 0:3 ბაკა (90)
**გაძევება:** ლ. რამოსი (45. დებრეცენი)

**ლოკერენი–პლზენი 2:1**

**გოლები:** 1:0 ჰერბაუი (10), 1:1 ბაკოში (29), 2:1 მარიჩი (90. პენ.)
**გაძევება:** სევინსკი (90. პლზენი)

**პაოკ–რაპიდი ვ. 2:1**

**გოლები:** 0:1 ალარი (25), 1:1 ათანასიადისი (69), 2:1 ათანასიადისი (83)
**გაძევება:** ლაზარი (74. პაოკ)

**ვასლუი–ინტერი 0:2**

**გოლები:** 0:1 კამბიასო (23), 0:2 პალასიო (73)

**პართსი–ლივერპული 0:1**

**გოლი:** 0:1 ვებსტერი (78. ს.კ.)

**მოზერველი–ლევანტე 0:2**

**გოლები:** 0:1 ხუანლუ (42), 0:2 ზარი (62)
**გაძევება:** ჰატჩისონი (77)

**ვროცლავი–ჰანოვერი 3:5**

**გოლები:** 0:1 ანდრეასენი (7), 0:2 შლაუდრაფი (25), 1:2 იოდლოვიეცი (34), 1:3 შტინდლი (40), 2:3 პატეიუკი (54), 3:3 კაზმიერჩაკი (61), 3:4 ანდრეასენი (82), 3:5 შმიდებახი (85)

**ჰორსენსი–სპორტინგი 1:1**

**გოლები:** 1:0 სპელმანი (15), 1:1 კარილიო (79)

**ბილბაო–პიკ 6:0**

**გოლები:** 1:0 ადურისი (25), 2:0 ლასკურაინი (31), 3:0 პერესი (42), 4:0 ადურისი (51), 5:0 ლასკურაინი (57), 6:0 ირაოლა (85)

**მურა–ლაციო 0:2**

**გოლები:** 0:1 ერნანესი (31), 0:2 კლოზე (59)

**ცრვენა ზვეზდა–ბორდო 0:0**

**ზეტა–პსვ 0:5**

**გოლები:** 0:1 ტოივონენი (2), 0:2 მატავუი (74), 0:3 სტროოტმანი (77), 0:4 ლენსი (83), 0:5 ვან ბომელი (90)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო სხდომა ფეხბურთის ფედერაციაში

# შეგვჭამეს ამ ჭანტურიებმა!

## გიორგის ჯენოაში ელიან, ნიკას არსენალი აკვირდება

**ქართულ ფეხბურთში ბევრი ჭანტურია გვახსოვს, ბევრ მათგანს უთამაშია საქართველოს ეროვნულ თუ ასაკობრივ ნაკრებებში. ახლა ქართულ ფეხბურთში აქტუალური ორი ჭანტურიას ამბავია: ნიკა, ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი გამსარებელი, 17-წლამდელების კაპიტანი გახლავთ, გიორგი კი – ჰოლანდიური ერედივიზიეს არნემის "ვიტესის" თავდამსხმელი.**

**ორივე საქართველოს ნაკრების წევრია და ორივეს მიმართ სოლიდური კლუბები დაინტრესდნენ. ჩვენი დღევანდელი წერილიც მათზეა.**



ნიკა ჭანტურიას არსენალში აკვირდებოდნენ

### ნიკა ჭანტურია: არსენალში მოხვედრა წარმოუდგენელიც არ არის

**ვასილ მაისურაძის** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ცენტრალური მცველი **ნიკა ჭანტურია** ლონდონის "არსენალში" ქართველი მენეჯერების ხელშეწყობით მოხვდა, რაზეც "ლელო" უკვე წერდა. ცნობილია, რომ ნიკამ **არსენ ვენგერის** რეზერვისტებში ათი დღე დაყო და ჰქონდა ბედნიერება, ისეთი ვარსკვლავების გვერდით ევარჯიშა, როგორებიც არიან **ბენდტნერი, სკილაჩი, ველინგტონი...** მთელი ამ ხნის განმავლობაში მას გუნდის მთავარი სკაუტი აკვირდებოდა.

17 წლის ქართველმა "არსენალის" რეზერვისტებში "ნორვიჩის" დუბლებთან მეორე ტაიმი რომ ითამაშა, შეხვედრას "არსენალის" პირველი გუნდის მთელი სამწვრთნელო შტაბი უყურებდა და ჭანტურიამ დადებითი შეფასება დაიმსახურა.

გამოცემა younggunsblog.co.uk წერდა, რომ ქართველი ახალგაზრდა "არსენალის" კლასიკური ფეხბურთელის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, მაგრამ მის აყვანას შრომითი ვიზა და ასაკი აფერხებდა და ჭანტურია ინგლისიდან თბილისის "ლოკომოტივს" დაუბრუნდა – მაგრამ არის იმედი, რომ მხოლოდ დროებით. მისი მენეჯერის, **გუგა კაჭახიძის** თქმით, ინგლისელები თბილისში "ლოკომოტივის" რამდენიმე შეხვედრაზე გვესტუმრებიან და მისი საკითხი მაშინ გადაწყდება, როდესაც 18 წლის შესრულდება.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ცენტრალური მცველი **ნიკა ჭანტურია** "ლელოს" კითხვებს უპასუხებს.

**- შენს კარიერაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა. "არსენალიდან" დიდი შთაბეჭდილებით დაბრუნდებოდი.**

- რა თქმა უნდა, დიდი კლუბია და შეუძლებელია, იქ ივარჯიშო და ამ შთაბეჭდილებების ქვეშ არ მოექცე.

**- გაგიჭირდა ვარჯიში?**

- გაგიკვირდებათ და არა! თავიდან გამიჭირდა მათი გაგება, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური მესმის. აქ ნასწავლით იქ ჩასვლა მაინც ძნელია, რადგან თავისი მოთხოვნები გააჩნიათ. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა და მინდა, ჩვენს ფეხბურთელებს ვუთხრა: რადგან "არსენალი" გრანდია, გარედან ისე ჩანს, რომ იქ წარმოუდგენელია თამაში და მათი დონის მიღწევა. მინდა ყველა დავარწმუნო, რომ ჩვენთან ძალიან ბევრი ნიჭიერი ბავშვია, რომელიც ამ გუნდში თავის გამოვლენას ჩემზე არანაკლებ მოახერხებდა. შრომისა და მონდომების ხარჯზე ყველაფერი შესაძლებელია.

**- მართალია, არც ისე მაღალი ხარ (181 სმ), მაგრამ გვითხრეს, რომ "არსენალში" ამის გამო თქვეს, მარჯვენა მცველად ან საყრდენად მაინც გამოვიყენებთო.**

- ამაზე დუბლების მწვრთნელი და "არსენალის" მთავარი სკაუტი მელაპარაკნენ. იციან, რომ ჩემთვის ბუნებრივი ცენტრალური მცველის პოზიციაა. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ დღეს მხოლოდ ერთ პოზიციაზე თამაში საკმარისი არ არის, მეორე ამპლუაშიც შესაძლებელია შენი გამოყენება - მარჯვენა მცველად ან საყრდენად გამოდგებოდიო.

**- გაქვს იმედი, რომ დაკვირვების შემდეგ "არსენალში" ჩაირიცხები?**

- ამიერიდან ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული. თუ მოვინდომებ და შრომა არ დამეზარება, არა მგონია, შეუძლებელი იყოს. ღმერთმა ეს შანსი მომცა და შრომა დამეზარება? თუმცა, წინასწარ ლაპარაკი არ მინდა.

**- სხვა ვარიანტები არ გაქვს?**

- სხვა ვარიანტზე ახლა ფიქრიც არ მინდა. ჩემთვის მთავარია, რომ გავიზარდო როგორც ფეხბურთელი, ნაკრებში ვითამაშო და რაც საამისოდ არის შესაძლებელი, ყველაფერი უნდა გავაკეთო.

### გიორგი ჭანტურია: მიმაჩნია, რომ ნაკრები პერსპექტიულია

„ლელოსთან" ინტერვიუში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და არნემის „ვიტესის" თავდამსხმელმა **გიორგი ჭანტურიამ** აღიარა, რომ სერია A-ს „ჯენოამ" მის კლუბთან მოლაპარაკება დაიწყო, არნემელთა პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** კი მზად არის, კონკრეტული წინადადება განიხილოს - ტრანსფერი 80 პროცენტით გადაწყვეტილია და ალბათ, აგვისტოს ბოლომდე "ჯენოასთან" კონტრაქტს გავაფორმებო.

რამდენიმე დღეში „ჯენოას" პრეზიდენტმა **ენრიკო პრეზიოზიმ** La Gazzetta dello Sport-თან დაადასტურა, ჭანტურიას შეძენა გვსურსო. სატრანსფერო სავარაუდო თანხა 4 მილიონი ევროა და ჟორდანია მზად არის, იტალიელთა წინადადება განიხილოს.

ბუნებრივია, რომ გიორგის უკეთეს ლიგაში გადასვლა სურს. ამის ბრალია თუ სხვა რამ არის მიზეზი, ვერ გეტყვით, მაგრამ ბოლო ტურში "ზვოლესთან" შეხვედრაში სათადარიგოთა შორის იყო, ძირითადში ადგილი კი **რენატო იბარას** დაუთმო.

სანამ გიორგის "ჯენოაში" გადასვლის საკითხი გადაწყდება, მანამ "ვიტესის" თავდამსხმელს განვლილ ევროსეზონსა და ამჟამინდელ კლუბზე ველაპარაკეთ.

**- ჰოლანდიური კლუბის საწყის ეტაპზე გამოვარდნა ყოველთვის მოულოდნელობაა, მიუხედავად იმისა, რომ ამბიციური "ანჟი" შეგხვდათ.**

- ფეხბურთში სახელი ბევრს ნიშნავს, მაგრამ "ანჟი" ძალიან კარგი გუნდი გამოდგა. შეხვედრის ბედი კი მაღალი კლასის მოთამაშეებმა გადაწყვიტეს. მხოლოდ ეტოოა ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც მარტოს შეუძლია, მოიგოს.

**- თუმცა, პირველ შეხვედრაში საკმაოდ კარგად გამოიყურებოდით და მოგებაც შეგეძლოთ.**

- რეალური მომენტები ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ. არადა, მომენტებში ვჯობდით კიდეც.

**- მწვრთნელის შეცვლით შენ მიმართ დამოკიდებულებაც შეიცვალა?**

- შეიცვალა მხოლოდ და მხოლოდ კარგისკენ. ფრედ რუტენისგან ნდობას ვგრძნობ, კარგი სპეციალისტია და იმედია, მისი ხელმძღვანელობით "ვიტესი" უფრო განვითარდება. მე ის ძველ მწვრთნელს, ჯონ ვან დერ ბრომს მირჩევნია.

**- წასვლის შემდეგ ვან დერ ბრომი ალაპარაკდა, თითქოს მერაბ ჟორდანია ფეხბურთელების დაყენებას ურჩევდა. დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა?**

- სიმართლე გითხრათ, მისი ეს განცხადება ვერავინ გაიგო. ორი წელიწადია გუნდში ვარ და ვერ ვიხსენებ, რომ ჟორდანია მწვრთნელის საქმეში ჩარეულიყო, ასეთი რამ არ ახასიათებს.

**- ხორვატიასთან შეხვედრაზე რას იტყვი?**

- მართალია, ჯგუფიდან გასვლის შანსი დიდი ხნის წინათ დავკარგეთ, მაგრამ ამის მიუხედავად, ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანია, მით უფრო ისეთ ძლიერ ნაკრებთან, როგორიც ხორვატიაა.

სამწუხაროდ, ვერ მოვიგეთ, რადგან გუნდი განახლების პროცესშია, მეტოქეზე უმცროსი ასაკის ფეხბურთელებით ცუდად მაინც არ ვითამაშეთ. მიმაჩნია, რომ პერსპექტიული ნაკრები გვყავს. ახლა ჩვენ შეთამაშება გვჭირდება და დარწმუნებული ვარ, ეს გუნდი შემდეგ ციკლში ბევრად უკეთ ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**


გიორგი ჭანტურია

მუნდიალი 2014. მეტოქე


გეორგი კონდრატიევი


ალექსანდრ გლები

# ბელარუსმა შემადგენლობა დაასახელა

## კონდრატიევმა გლები ნაკრებში დააბრუნა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს საქართველო 7 სექტემბერს ბელარუსთან შეხვედრით გახსნის. მეტოქის მთავარმა მწვრთნელმა **გეორგი კონდრატიევმა** შეკრებაზე გამოძახებული მოთამაშეების სია დაასახელა და ცნობილი გახდა, რომ გუნდში ყველაზე ცნობილი ბელარუსი მოთამაშე, ექსბარსელონელი **ალექსანდრ გლები** დააბრუნა, სულ კი ჩემპიონთა ლიგის მონაწილე ბორისოვის ბატე-დან რვა ფეხბურთელი იხმო.

მეკარეები: **იური ჟევნოვი ("ზენიტი"), სერგეი ვერემკო ("კრილია სოვეტოვი"), ალექსანდრ გუტორი (ბატე);**

მცველები: **დენის პოლიაკოვი, მაქსიმ ბორდაჩევი, არტიომ რადიკოვი (სამივე – ბატე), დმიტრი ვერხოვცოვი ("კრილია სოვეტოვი"), მაქსიმ ჟავნერჩიკი ("ყუბანი"), ალექსანდრ მარტინოვიჩი ("კრასნოდარი"), იგორ შიტოვი ("დინამო", მოსკოვი);**

ნახევარმცველები: **ალექსანდ გლები, რენან ბრესანი (ორივე - ბატე), ვიტალი ტრუბილო, სტანისლავ დრაგუნი (ორივე — "დინამო", მინსკი), ანდრეი ხაჩატურიანი, სერგეი ბალანოვიჩი (ორივე – "შახტიორი", სოლიგორსკი), პაველ ნეხაიჩიკი ("დინამო", მოსკოვი), ალექსანდრ კულჩი ("სიბირი"), იან ტიგორევი ("ლოკომოტივი", მოსკოვი), ანტონ პუტილო ("ფრაიბურგი");**

თავდამსხმელები: **დმიტრი მოზოლევსკი, ვიტალი როდიონოვი (ორივე – ბატე), სერგეი კორნილენკო ("კრილია სოვეტოვი")**

საქართველო-ბელარუსის მატჩი ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე 7 სექტემბერს გაიმართება.

**მერაბ მამულაშვილი**

U 19.

# სომხეთის ნაკრების მწვრთნელი: კარგი ნაკრები გყავთ

თბილისში ხანმოკლე შეკრება მოაწყო სომხეთის 19-წლამდე ნაკრებმა, რომელიც **კახა კაჭარავას** გაწვრთნილ საქართველოს ნაკრებს ამხანაგურად ორჯერ შეხვდება: პირველი მატჩი ჩვენების გამარჯვებით 1:0 დასრულდა, მეორე კი დღეს გაიმართება.

სომხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **აშოტ ავეტისიანი** თამაშით კმაყოფილი დარჩა: *"გამიკვირდა, რომ საკმაოდ ნორმალური მსაჯობა იყო და პრეტენზია არ მქონია. თამაშიც მომეწონა. ჩვენ კარგად ჩავატარეთ პირველი ტაიმი და მეორე ნახევრის საწყისი 15 წუთი. მერე შეცვლები გავაკეთე და იმედი მქონდა, რომ თამაშს გავამწვავებდით, მაგრამ ამის ნაცვლად გუნდი ძალიან აირია, თქვენებმა კი კარგად შეუტიეს და ძალიან მწვავედ ითამაშეს.*

*ნებისმიერ შემთხვევაში ეს მატჩი ჩვენ ძალიან წაგვადგება. საკონტროლოები ჩვენც ძალიან გვჭირდება, რადგან ფაქტობრივად, ბლოკადაში ვართ და მხოლოდ საქართველოსა და ირანს თუ ვეთამაშებით, სხვებს ვერც ვხვდებით.*

*ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს, იმედია, ჩვენი ფედერაციები შეთანხმდებიან და შესარჩევი ციკლის დაწყებამდე თქვენები საპასუხოდ ერევანში გვესტუმრებიან.*

*საქართველოს ნაკრები საკმაოდ მომეწონა, კარგი გუნდია, ნიჭიერი ბავშვები ყოველთვის გყავდათ და ახლაც ბევრი საინტერესო ახალგაზრდა შევნიშნე".*

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა

# პირველი ლიგაც იწყება

ხვალ საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა იწყება. შეგახსენებთ, პირველლიგელები ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი და უმაღლესი ლიგის საგზურს ჯგუფების გამარჯვებულები მოიპოვებენ.

პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან:

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| 25 აგვისტო | 25 აგვისტო |
| იმერეთი-ჭიათურა | ჩხერიმელა-სამტრედია |
| გურია-მეშახტე | ადელი-კოლხეთი |
| სასკო-სტუ | აეტი-მერცხალი |
| სძური-ბეთლემი | ზოოვეტი-ლოკომოტივი |
| 26 აგვისტო | სამგურალი-შუქურა |
| დინამო 2-სულორი | ლიახვი-სპარტაკი |
| რაჭა-გაგრა | |

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ქართული ფეხბურთი

## საქართველოს პრემიერლიგა. განაცხადები



### ზესტაფონი

| | |
|---|---|
| რონ კვასხვაძე | 31.05.89 |
| ზურაბ მამალაძე | 10.02.82 |
| თორნიკე აფციაური | 28.11.79 |
| შოთა ბაბუნაშვილი | 17.11.80 |
| ალექსი ბენაშვილი | 20.03.89 |
| ზაალ ელიავა | 02.01.85 |
| თემურ ღონღაძე | 08.09.85 |
| თორნიკე გორგიაშვილი | 27.04.88 |
| ლუკა გუგუჩია | 10.12.91 |
| გიორგი კაჭკაჭიშვილი | 08.08.90 |
| მამუკა კოზახიძე | 23.08.92 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | 30.01.80 |
| დავით მუჯირი | 02.01.78 |
| დავით რაჭამაშვილი | 28.10.88 |
| ლევან შარიქაძე | 16.07.89 |
| აბაიომი ოვონიკოკო | 13.09.92 |
| პატრიკ მილხრაუმი | 26.05.84 |

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ჭიაბრიშვილი; მწვრთნელები: გიორგი ყიფიანი, ივან ვუჩეტიჩი, თამაზ ოდიკაძე.

### მეტალურგი

| | |
|---|---|
| გრიგოლ ბედიაშვილი | 07.02.80 |
| ზურაბ ბათიაშვილი | 06.02.80 |
| ივან ჰოსმანი | 11.11.89 |
| მიხეილ მახვილაძე | 22.07.78 |
| დენის დობროვოლსკი | 10.10.85 |
| გიორგი ქავთარაძე | 01.01.89 |
| ლუკა რაზმაძე | 30.12.83 |
| ირაკლი მაისურაძე | 22.08.88 |
| გიორგი მიქაბერიძე | 17.02.88 |
| დიმიტრი ტატანაშვილი | 19.10.83 |
| გიორგი გავაშელიშვილი | 31.10.89 |
| თორნიკე კაკუშაძე | 01.02.91 |
| რევაზ გეწაძე | 11.01.85 |
| ირაკლი სიხარულიძე | 18.07.90 |
| ზვიად ლოგუჯანიძე | 19.04.90 |
| ანზორ სუხიაშვილი | 27.10.88 |
| ლაშა ჯაფარიძე | 16.04.85 |
| ალექსანდრე ინწკირველი | 24.08.81 |
| დავით ჯანელიძე | 12.09.89 |
| გიორგი განუგრავა | 21.02.88 |
| გიორგი ხიდეშელი | 21.12.85 |
| გიორგი გურეშიძე | 21.01.91 |

მთავარი მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი; მწვრთნელები: ბორის გონჩაროვი, არჩილ ლურწკაია, მილოვან მატიასევიჩი.

### ტორპედო

| | |
|---|---|
| ომარ მიგინეიშვილი | 02.06.84 |
| მაქსიმე ქვილითაია | 17.09.85 |
| ზაზა ჭელიძე | 12.01.87 |
| გიორგი გურული | 31.07.88 |
| გიორგი დათუნაიშვილი | 09.02.85 |
| ნიკა ფირცხალავა | 15.05.87 |
| ვალერი ბოლქვაძე | 25.02.88 |
| გრიგოლ დოლიძე | 25.10.82 |
| ელგუჯა გრიგალაშვილი | 30.12.89 |
| გიორგი ბერიაშვილი | 10.09.86 |
| ვახტანგ კვარაცხელია | 30.03.88 |
| გივი იოსელიანი | 25.10.90 |
| ალექსანდრე კვახაძე | 17.08.84 |
| ბექა ტუღუში | 24.01.89 |

მთავარი მწვრთნელი: გია გეგუჩაძე
მწვრთნელები: გურამ ასპინძელაშვილი, დავით ჯანელიძე, კახა ჩხეტიანი, ივო კატუშიჩი.

### დინამო (თბ)

| | |
|---|---|
| გიორგი ლორია | 27.01.86 |
| კონსტანტინე სეფიაშვილი | 18.03.86 |
| გიორგი რეხვიაშვილი | 01.02.88 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | 26.06.81 |
| ირაკლი ძარია | 01.12.87 |
| რობერტინიო | 18.06.88 |
| გიორგი მერებაშვილი | 15.08.86 |
| გიორგი სეთურიძე | 01.04.85 |
| გივი კვარაცხელია | 05.11.79 |
| კარლეს კოტო | 11.02.88 |
| ალბერტ იაგუე | 27.03.85 |
| ჩისკო | 05.09880 |
| მიკელ ალვარო | 20.12.82 |
| ვლადიმერ ვოსკოგოინიკოვი | 02.02.83 |
| ლევან ხმალაძე | 06.04.85 |

მთავარი მწვრთნელი: დუშან უჰრინი
მთ. მწვრთნელის კონსულტანტი: ზურა ტყავაძე; მწვრთნელები: თამაზ სამხარაძე, გელა ჭანტურია, მიხალ რუკავიჩკა.

### დილა

| | |
|---|---|
| მარინ სკენდერი | 12.08.79 |
| ბექა შეყრილაძე | 28.11.83 |
| რომან ახალკაცი | 20.02.81 |
| კახა ალადაშვილი | 11.08.83 |
| ზურაბ არზიანი | 19.10.87 |
| გიგა ბეჟვაია | 29.08.86 |
| გოგიტა გოგუა | 04.09.83 |
| ალექსანდრე გურული | 09.11.85 |
| ნიკოლოზ ჯიშკარიანი | 04.06.90 |
| გიორგი კახელიშვილი | 22.05.87 |
| შოთა კაშია | 22.10.84 |
| ვალერიან კაციტაძე | 17.01.85 |
| დავით კვირკველია | 27.06.80 |
| ირაკლი მოდებაძე | 04.11.84 |
| გიორგი ონიანი | 23.1.83 |
| ლაშა სალუქვაძე | 21.12.81 |
| გიორგი შაშიაშვილი | 01.09.79 |
| მათე ვაწაძე | 17.12.88 |
| გულვერდ თომაშვილი | 13.10.88 |
| ნიკოლოზ სადალაშვილი | 10.10.88 |
| გიორგი მამუჩიშვილი | 12.04.90 |
| გრიგოლ ანდრიაძე | 04.11.90 |
| შოთა გრიგალაშვილი | 21.06.86 |
| ირაკლი კლიმიაშვილი | 30.05.88 |

მთავარი მწვრთნელი: თეიმურაზ შალამბერიძე
მწვრთნელები: გიორგი ცეცაძე, რამაზ სოლოლაშვილი, გიორგი ბალაშვილი, თეიმურაზ ლორთქიფანიძე.

### კოლხეთი 1913

| | |
|---|---|
| არდალიონ მიქაბერიძე | 02.06.86 |
| მიხეილ ხარშილაძე | 07.02.88 |
| ლევან ბუზუტეიშვილი | 14.06.83 |
| გიორგი კილასონია | 21.05.86 |
| პაატა ცხვიტარია | 17.09.89 |
| ჯემალ გაბუნია | 09.11.89 |
| ილია პავლიაშვილი | 12.08.89 |
| ომარ გოგონაია | 24.01.90 |
| ამირან წაბრია | 02.10.87 |
| პავლე დათუნაიშვილი | 25.08.83 |
| მიხეილ კოზერიძე | 04.05.87 |
| გიორგი ცხადაია | 23.04.88 |
| ლაშა ძებაძე | 27.08.83 |
| ზვიად ჩხეტიანი | 17.10.83 |
| ლაშა ჩალაძე | 05.11.87 |
| თეიმურაზ ფარულავა | 20.07.83 |
| ავთანდილ ბაგაშვილი | 02.02.89 |
| ლუკა ხომასურიძე | 13.04.88 |
| გიორგი ტყეშელაშვილი | 24.08.85 |
| გიორგი კრასოვსკი | 20.12.79 |

მთავარი მწვრთნელი: დავით მახარაძე
მწვრთნელები: ზვიად ნოდია, ზვიად გვასალია.

### ზუგდიდი

| | |
|---|---|
| ლაშა ძაგანია | 14.01.88 |
| ლადო ნადირაშვილი | 12.02.84 |
| მირზა მერლანი | 05.10.80 |
| ნიკა შონია | 14.10.91 |
| სევასტი თოდუა | 13.05.76 |
| რონინ ონიანი | 14.06.75 |
| შოთა ლომია | 13.02.84 |
| გოიომო ფრიდოლინი | 04.08.82 |
| ალექსანდრე კოშკაძე | 04.12.81 |
| ირაკლი ძობალია | 13.03.92 |
| დავით ბოლქვაძე | 05.06.80 |
| ლევან წურწუმია | 28.04.89 |
| ლევან აკობია | 11.02.80 |
| ვალიკო ტყემალაძე | 14.11.87 |
| ლევან კუტალია | 19.07.89 |
| მაკარ აძუბარდია | 20.01.88 |
| ირაკლი ეხვაია | 09.01.89 |
| გიორგი გაბედავა | 03.10.89 |
| ზვიად სიხარულია | 01.08.92 |
| ზამირ ჯანაშია | 26.02.88 |
| დაჩი ფოფხაძე | 27.01.84 |
| ნიკოლოზ აფაქიძე | 04.04.92 |
| დავით გამეზარდაშვილი | 07.05.82 |

უფროსი მწვრთნელი: ელგუჯა ქომეთიანი; მთავარი მწვრთნელი: ოთარ გაბელია; მწვრთნელები: მამუკა ჭაჭუა, ზაალ ბულია, ბორის გუგუჩია.

### ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| ნიკა დაუშვილი | 16.10.89 |
| დავით ხურცილავა | 09.03.88 |
| რევაზ ლანიაშვილი | 27.05.90 |
| ჯემალ გოგიაშვილი | 06.05.88 |
| ლაშა კასრაძე | 26.07.89 |
| გიორგი გეთიაშვილი | 07.03.90 |
| ბადრი ტეტუნაშვილი | 09.02.90 |
| გურამ ადამაძე | 31.08.88 |
| გიორგი ვასაძე | 14.06.89 |
| გურამ გურეშიძე | 08.10.89 |
| გიორგი კორიფაძე | 03.10.89 |
| გიორგი ჯანელიძე | 25.09.89 |
| ბესიკ ჩიმაკაძე | 24.06.88 |
| ბექა ზაქრაძე | 30.05.90 |

მთავარი მწვთნელი: მერაბ კოჭლაშვილი; მწვრთნელები: რამაზ სვანაძე, ლევან აბაშიძე.

### მერანი

| | |
|---|---|
| ჯონი შეროზია | 09.09.90 |
| დავით ხარძეიშვილი | 30.11.89 |
| გიგა ამბროლაძე | 28.12.90 |
| გივი დიდავა | 21.03.76 |
| ვალერიან იოგაშვილი | 03.12.88 |
| საბა ლომია | 07.07.90 |
| მამუკა ტორონჯაძე | 13.05.86 |
| ლაშა კუჭუხიძე | 14.03.92 |
| ბექა ჩხეტიანი | 15.07.89 |
| ნოდარ ნოზაძე | 11.06.87 |
| ცოტნე ბუკია | 03.01.90 |
| გივი ძარძუზაშვილი | 20.09.86 |
| რომან კიკალიშვილი | 18.03.90 |
| გიორგი რეხვიაშვილი | 15.04.86 |

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია
მწვრთნელები: არჩილ ჩხაბერიძე, მამუკა მდინარაძე, ბაგრატ ხელაია.

### სიონი

| | |
|---|---|
| მინდია ბოგლიაშვილი | 02.08.83 |
| ვახტანგ ლობჟანიძე | 18.11.89 |
| გიორგი ოქროპირიძე | 01.03.86 |
| ვლადიმერ უგრეხელიძე | 24.11.85 |
| დავით სვანიძე | 14.10.79 |
| შოთა გაბრიჭიძე | 21.12.89 |
| რევაზ ქემოკლიძე | 18.03.79 |
| ვლადიმერ ჯოჯუა | 05.12.80 |
| გიორგი ქუცურუა | 19.17.86 |
| მანუჩარ ოქროპირიძე | 19.02.90 |
| ვაჟა ნემსაძე | 07.11.90 |
| სერგი ორბელაძე | 01.05.82 |
| გიორგი ფეიქრიშვილი | 28.02.83 |
| რეზო ჯიქია | 01.09.80 |
| გელა ხუბუა | 25.01.84 |
| გიორგი მანწკავა | 25.10.81 |
| გიორგი ჭედია | 28.08.88 |
| ნოდარ მაჭავარიანი | 14.01.87 |
| მურმან ქურასბედიანი | 11.04.88 |
| თენგიზ ჩიკვილაძე | 12.08.83 |

მთავარი მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი; მწვრთნელები: ჯონი ჯაგიდისი, ვახტანგ ჩაგელიშვილი, დავით ასლანაძე.

### დინამო (ბთ)

| | |
|---|---|
| შოთა მამინაშვილი | 30.08.86 |
| გიზო შენგელია | 17.08.83 |
| ნიკა ხუხია | 31.08.88 |
| ზვიად ლობჟანიძე | 27.02.87 |
| ამირან მუჯირი | 02.02.74 |
| გელა გოგიტიძე | 25.11.90 |
| დათა სიჭინავა | 21.03.89 |
| ირაკლი ცანავა | 28.10.85 |
| თორნიკე ბერიძე | 11.09.90 |
| მიხეილ ჯორბენაძე | 18.11.87 |
| ირაკლი ცნობილაძე | 28.08.84 |
| ერეკლე კილაძე | 11.01.90 |
| კარენ მაკარიანი | 03.03.88 |
| ვაჟა ძორიძე | 05.01.87 |
| არჩილ ბაჯელიძე | 07.04.86 |
| მირზა ფარტენაძე | 16.05.90 |
| ალექსანდრე ბაციკაძე | 30.01.90 |
| ლაშა რამიშვილი | 30.01.90 |
| ბორის მახარაძე | 08.11.90 |

მთავარი მწვრთნელი: გია გურული
მწვრთნელები: ალექსანდრე კანტიძე, თემურ ტულუში, იური მამინაშვილი, კახა ვაჩეიშვილი.

### ჩიხურა

| | |
|---|---|
| გიორგი სომხიშვილი | 27.11.80 |
| ზურაბ მწყერაშვილი | 13.04.86 |
| ლაშა ჭელიძე | 13.05.85 |
| გიორგი მურველაშვილი | 23.08.88 |
| ნიკოლოზ მაისურაძე | 29.05.89 |
| ზურაბ ძამსაშვილი | 13.10.81 |
| ნიკა კვასხვაძე | 15.04.88 |
| ლევან ბაკურაძე | 18.01.86 |
| ვაჟა ლომაშვილი | 04.09.85 |
| დავით ოდიკაძე | 14.04.86 |
| ლაშა ჩიკვაიძე | 04.10.89 |
| ირაკლი ზაბახიძე | 11.04.84 |
| ჯაბა ბერიანიძე | 22.08.85 |
| დავით დილმელაშვილი | 18.01.80 |
| რევაზ გოცირიძე | 17.01.81 |
| მირიან მიქაძე | 05.12.87 |
| ნიკა გუშარაშვილი | 25.07.83 |
| ედიკ საჯაია | 18.02.81 |
| თეიმურაზ შარაშენიძე | 21.01.92 |
| გიორგი სარალიძე | 08.07.90 |
| გაგა ჩხეტიანი | 24.08.83 |

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე; მწვრთნელები: ვახტანგ თურმანიძე, ივანე თოდაძე.



შოთა არველაძე

## ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

# 50 გოლი ამსტერდამ არენაზე

გაგრძელება. დასაწყისი:
„ლელო“ №110 (13716)

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ კი, საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად, სპეციალისტთა გამოკითხვა ჩაატარა და საუკეთესოდ მე დამასახელეს, მეორე ადგილზე **კახა კალაძე** გავიდა, მესამეზე **ლევან კობიაშვილი**. დაჯილდოება ისევ ოპერის თეატრში გაიმართა, მართლა დაუვიწყარი საღამო გამოვიდა. ეკრანზე ისეთი კლიპი გაუშვეს, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. დინამოელთა ძველი დიდება... **მიშა მესხი, დავით ყიფიანი, ნოდარ ახალკაცი** და... კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი და შოთა არველაძე — ასეთია ამ კლიპის კოლაჟი. პრიზი პროფლიგის პრეზიდენტმა, **დიმიტრი რამიშვილმა** გადმომცა, საღამო კი **მერაბ სეფაშვილის** მიერ შესრულებული საქართველოს ჰიმნით დასრულდა...

2005-06 წლების სეზონში, — ორჯერ ევროპის სიმბოლურ ნაკრებში მოვხვდი, 25 გოლი გავიტანე და რა ბედნიერებაა, როცა ეს შენს ქვეყანაშიც დაგიფასდება...

შვებულება, როგორც ყველა წინანდელი, სწრაფად გავიდა... კარგი დასვენების შემდეგ ზარმაცდები და ყოველთვის ძნელია ძალის მოკრება, თანაც ასაკიც თავისას შვრება... ორჯერადი ვარჯიშები, ტესტმატჩები, ეს ყველაფერი ექვსი კვირის განმავლობაში.

სეზონისწინა შეკრება, ალბათ ყველა ფეხბურთელისთვის მძიმეა და ამ მხრივ, არც მე ვარ გამონაკლისი. სეზონს ახალ სტადიონზე ვიწყებდით და ყველა მოუთმენლად ველოდით მის ოფიციალურ გახსნას, ლონდონის „არსენალთან“. მაგრამ მანამდე „ალკმაარის“ ხელმძღვანელობას ერთი პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი, — ლუი თავს იკლავდა და ყველას აჯერებდა, რომ ხელოვნური საფარის დაგება ყველაზე კარგი ვარიანტი იყო. ის ხომ სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარია და, მისი აზრით, მთელი წლის განმავლობაში იდეალური მინდორი მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი. ყველამ თავისი აზრი გამოთქვა და როცა ჩემი ჯერი დადგა, მთელი ჰოლანდიის გასაგონად ვთქვი, ფეხბურთი ხელოვნურ ბალახზე, იგივეა, რაც სექსი — პრეზერვატივით. მეორე დღეს ეს ჩემი გამონათქვამი სპორტულმა გაზეთებმა აიტაცეს და პირველ გვერდზე დაბეჭდეს. ყველა მირეკავდა და სიცილით კვდებოდა. ბოლოს ლუიმ ხელმძღვანელობისგან მყარი გარანტიები მიიღო, რომ მინდორი იდეალური იქნებოდა, და ეს პირობა პირნათლად შეასრულა. მინდორი მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში.

**ერედივიზიონის პირველივე მატჩში „ბრედა“ — 8:1-ით გავანადგურეთ. თამაშის** შემდეგ **აჩიმ** დამირეკა, ინტერნეტში ვნახე მეგოლეები, შენ ვერ გიპოვე და გადავირიეო. მე კიდევ უფრო განბილებული ვიყავი. სეზონის პირველივე უხვგოლიან მატჩში ერთი გოლიც ვერ გავიტანე. პირველი ტაიმის შემდეგ ბუცებიც კი გამოვიცვალე, რაც 15 წლის განმავლობაში არასდროს გამიკეთებია, — არც ამან მიშველა. მართალია, 4:1-ზე შემცვალეს, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი ნუგეში იყო ჩემთვის. ამ თამაშის შემდეგ გუნდი ჩვენმა კაპიტანმა, **იორის მატიისენმა** დატოვა, იგი გერმანიის „ჰამბურგში“ გადავიდა და **ლუის ვან გაალმა,** პრინციპში — თავისი ფილოსოფიის საწინააღმდეგოდ, კაპიტნად არა ჰოლანდიურად მოლაპარაკე, არამედ მე დამნიშნა, რაც ჩემთვის ზედმეტი სტიმული აღმოჩნდა. უეფაზე სეზონის პირველი გოლი „ქაისერისფორთან“ გავიტანე. ჩემპიონატში პირველი გოლი კი, გასვლაზე, **სიმონ ციომერის** კარგი გადაცემით, “ნაიმეგენს” შევუგდე.

ამის შემდეგ, თბილისში გავემგზავრე. ჩვენს ნაკრებს ორი თამაში უწევდა - საფრანგეთის ნაკრებთან სახლში, და გასვლა კიევში - უკრაინასთან. ოცდაათი

> **ჩვენ გამარჯვებებისკენ პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით, რადგან იმას მაინც მივაღწიეთ, რომ სახელმწიფო, ჩვენი ხალხი, ფეხზე დგას და ფეხბურთელებთან ერთად ეროვნულ ჰიმნს ასრულებს. უამისოდ, არანაირი გამარჯვება არ მოდის.**

წლის შემდეგ თბილისის ეროვნულ სტადიონს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ქართველი გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდა მის ნახვას. მოწინააღმდეგეც მსოფლიო ჩემპიონი გვყავდა, - მსოფლიო დონის ვარსკვლავებით დაკომპლექტებული: **ტიერი ანრი, პატრიკ ვიეირა, კლოდ მაკელელე, ფრანკ რიბერი, ლილიან ტურამი, ვილიამ გალასი, ფლორან მალუდა, ლუის საჰა** და ასე შემდეგ. მთელი სტადიონი წითელ და თეთრ ფერებში იყო გამოწყობილი, და მართლაც, საზეიმო ატმოსფერო სუფევდა. თექვსმეტი წელი მქონდა ნათამაშები ნაკრებში და მოწინააღმდეგეც არანაკლები გვყოლია, მაგრამ ასეთი რამ ადრე არასოდეს დამინახავს მოედნიდან. ტრიბუნებს რომ გავხედე, მთელ სტადიონს თეთრი და წითელი ფარდა ჰქონდა გადაფარებული. ყველანი ხაზზე დავდექით და ამასობაში საქართველოს ახალი ჰიმნიც გაისმა... ზუსტად ამ წუთას ასრულდა ჩემი ოცნებაც, სავსე სტადიონი... ყველა ფეხბურთელი ერთ ხმაში ჩვენს ეროვნულ ჰიმნს მღეროდა...

მაშინ არ ვიცოდი, რომ ეს, თბილისის ეროვნულ სტადიონზე, ნაკრების შემადგენლობაში, ჩემი ბოლო თამაში იქნებოდა... მთავარი ის იყო, რომ ოცნება ამიხდა. ის, რაც ლონდონში „უემბლიზე“ ვინატრე... მართალია, ზუსტად ათი წლის შემდეგ, მაგრამ მაინც ამიხდა... მიუხედავად საბოლოო ანგარიშისა, ჩვენ გამარჯვებებისკენ პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით, რადგან იმას მაინც მივაღწიეთ, რომ სახელმწიფო, ჩვენი ხალხი, ფეხზე დგას და ფეხბურთელებთან ერთად ეროვნულ ჰიმნს ასრულებს. უამისოდ, არანაირი გამარჯვება არ მოდის. ახლა, დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ერთად, არაერთხელ, — აუცილებლად გავიმარჯვებთ!..

კიევში, მართლაც, დაძაბული თამაში გამოგვივიდა. **შევჩენკოს** გატანილ გოლს ჩემი გოლი მოჰყვა და პირველი ტაიმი 1:1-ით დასრულდა. მეორე ტაიმში 2:1-ს ვიგებდით, გოლი **დემეტრაძემ** გაიტანა, მაგრამ გამარჯვება მაინც ვერ შევძელით. უკრაინელებმა

> **თუთუმლუ ჩემი თხოვნით, თბილისშიც კი ჩამოვიდა ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელ პრეზიდენტ, მერაბ ჟორდანიასთან შესახვედრად, საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თაობაზე. მან ჟორდანიას ანრი მიშელი შესთავაზა, თუმცა ჟორდანიამ მუსიე ანრის, ალენ ჟირესი არჩია...**

ჯერ 2:2 გახადეს და ბოლო წუთს გამარჯვების გოლიც გაგვიტანეს. მიუხედავად მარცხისა, თამაში, მართლაც, კარგი გამოგვივიდა და პრინციპში, რომ არა ცუდი შედეგი, ყველა კმაყოფილი იქნებოდა.

ჰოლანდიაში დავბრუნდი. „ალკმაარმა“ სერიოზული განბილება მაშინ იწვნია, როცა შინ, პსვ-სთან 1:3 წავაგეთ. ამ გამარჯვებით „ეინდჰოვენმა“ ლიდერობა განიმტკიცა. მეორე სერიოზული გამოცდა ამსტერდამ „არენაზე“ გველოდა, — „აიაქსთან“. ამ თამაშის წინ გაზეთებში დაწერეს, ამსტერდამ „არე-



ნაზე“ ყველაზე მეტი, 49 გოლი, **შოთა არველაძემ** გაიტანა და ახლა ამ რიცხვის დამრგვალებას ეცდებაო. პირველი ტაიმი 0:1-ით წავაგეთ, მეორის დასაწყისში **იენერმა** მაგარი პასი მომაწოდა ფლანგიდან და ანგარიში გავათანაბრე. გოლის შემდეგ დიდი ემოცია არ გამომიხატავს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გამიხარდა. ამით „აიაქსის“ გულშემატკივარს ვეცი პატივი. შეხვედრა კი 2:2-ით დასრულდა. 50 გოლი, - ამსტერდამ „არენაზე“! - საკმაოდ სოლიდური რიცხვია. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სტადიონის ბომბარდირობაც, რა თქმა უნდა, საამაყოა ჩემთვის.

ჰოლანდიის ჩემპიონატის პირველი წრის თამაშები კი სუსტად ჩავატარეთ, ბოლო სამი თამაშიდან ერთი მოვიგეთ და ორი ფრედ ვითამაშეთ. ჰოდა, საახალწლო ერთკვირიან შვებულებას არცთუ კარგ ხასიათზე შევხვდი. თუმცა არდადეგებმა განწყობა გამომიკეთა. მე და აჩი, ოჯახებთან ერთად, დუბაიში წავედით. ალადინის ქვეყანაში ყველაფერი ლამაზი და სასიამოვნო იყო... ერთი კვირა ოქროსფერ ქვიშაში ვინებივრე და „ბებერი ძვლები“ გავითბე... იქ ხომ იანვარშიც 27-28 გრადუსი სითბოა.

ვალენსიის „ლევანტეს“ ჯერ კიდევ სეზონის დაწყების წინ უნდოდა ჩემი გადაბირება, იანვარში კი საქმეში **ბაირამ თუთუმლუც** ჩაერთო. თუთუმლუ ჩემი მეგობარი და ესპანეთში ძალიან გავლენიანი ფიგურაა. მას უკავშირდება **მიქაელ ლაუდრუპის** სკანდალური და ხმაურიანი ტრანსფერი, „ბარსელონიდან“ — მადრიდის „რეალში“. ჩემი თხოვნით, თბილისშიც კი ჩამოვიდა ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელ პრეზიდენტ, **მერაბ ჟორდანიასთან** შესახვედრად, საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თაობაზე. თუთუმლუმ ჟორდანიას — **ანრი მიშელი** შესთავაზა, თუმცა ჟორდანიამ მუსიე ანრის, **ალენ ჟირესი** არჩია.

გაგრძელება იქნება

● ლა ლიგა. ტრანსფერები

# სატრანსფერო დასკვნა: ესპანეთში ვარსკვლავები აღარ მიდიან! ...და იქიდან გარბიან

**ესპანეთში, ისევე როგორც ევროპაში, სატრანსფერო სეზონი მალე ფინიშის სწორზე გავა - ლუკა მოდრიჩის ტრანსფერი „ტოტენჰემიდან" „რეალში" ჯერაც არ განხორციელებულა, „სამეფო კლუბს" ჯერ ვერც კაკა გაუსხვისებია. მოკლედ, მოურინიომ და კომპანიამ საქმეები ბოლოსკენ მოიტოვეს. „ბარსელონაში" კი ძნელი საფიქრებელია, რაიმე ტრანსფერი კიდევ ვიხილოთ. შეგახსენებთ, რომ ესპანურ რეკორდად ამ სეზონში კვლავ ალექს სონგის ტრანსფერი რჩება - კამერუნელი „ბარსელონას" 19 მილიონი ევრო დაუჯდა. ჯამში ყველაზე მეტიც ჯერჯერობით კატალონიელებმა დახარჯეს - 33 მილიონი ევრო (სულ ორ ფეხბურთელში: სონგი და ხორდი ალბა).**



ლა ლიგის მთავარი დანაკარგი - სანტი კასორლა

## მხოლოდ ლიფსიტები

ჯერ მოკლედ ბოლო დღეებში განხორციელებულ ტრანსფერებზე მოგითხრობთ: ლა ლიგაში დაბრუნებული „ვალიადოლიდი" სპეციალისტების მიერ უკან, სეგუნდა დივიზიონში მიბრუნების უმთავრეს კანდიდატად მიიჩნევა. ამის მიუხედავად „ვალიადოლიდმა" I ტურში სტუმრად სავარაუდო კონკურენტი „სარაგოსა" დაამარცხა და ჩემპიონატი მოულოდნელი სამი ქულით დაიწყო. ახლა კი უცხოეთიდან შევსება მიიღო - პორტუგალიური „ა ბოლა" ირწმუნება, რომ „პორტუმ" და ესპანურმა კლუბმა მიაღწიეს შეთანხმებას და **ენრიკე სერენო ფონსეკა** ახალ სეზონს იჯარით „ვალიადოლიდში" გაატარებს. სერენო 27 წლის ცენტრალური მცველია. სხვათა შორის, ის 2010 წლის ზაფხულში სწორედ „ვალიადოლიდიდან" გადავიდა „პორტუში", მას მერე, რაც კასტილია ლეონური კლუბი პრიმერადან გავარდა. შარშანდელი სეზონი მან იჯარით გერმანულ „კიოლნში" გაატარა.

კიდევ ერთი ფეხბურთელის სახელი უკავშირდება „კიოლნს" - „მალიორკამ" იქიდან იჯარით ბრაზილიელი **პედრო ჟერომელი** დაიმატა. 26 წლის ცენტრალური მცველისთვის ბრძოლა „მალიორკამ" „სარაგოსას" მოუგო. ჟერომელი ამ სეზონს ლა ლიგაში ბალეარულ კლუბში გაატარებს. სხვათა შორის, ბრაზილიელმა 2008 წლიდან მოყოლებული ასზე მეტ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა „კიოლნში". „მალიორკამ" მეორე ბრაზილიელიც დაიმატა იჯარით - 22 წლის **ანდერსონ კონსეისაოც** ცენტრალური მცველია და აქამდე „ფიგეირენსეში" თამაშობდა.

ზემოთ ჩამოთვლილი ტრანსფერები „წვრილმანებია", ახლა კი ესპანური სატრანსფერო სეზონის აქცენტებზე ვისაუბროთ. მეტი თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ სამ დამატებით ცხრილს შემოგთავაზებთ, ტოპ ხუთეულებს ფეხბურთელთა შიდა მოძრაობის, გადინებისა და შემოდინების მიხედვით. ფაქტია, რომ ლა ლიგიდან მაღალი დონის ფეხბურთელების გადინების ტენდენციაა. თანაც, არა მხოლოდ ლეგიონერების, არამედ ესპანელი ფეხბურთელებისა, მათ შორის ადგილობრივ ჩემპიონატში ჯერაც თავგამოუჩენელი ახალგაზრდებისა.

## შემაშფოთებელი სტატისტიკა

ჯერ მარტო რამდენი საინტერესო ესპანელი ფეხბურთელი გადაბარგდა სხვაგან. მათ შორის უპირველესად ევროპის ჩემპიონ **სანტი კასორლას** აღვნიშნავთ, რომელმაც ლონდონის „არსენალის" ფორმა მოირგო (19 მილიონი ევრო). „ატლეტიკოს" მცველი **ალვარო დომინგესიც** „ფურია როხას" წევრია და ის ევრო 2012-ზე წასვლის ერთ-ერთი კანდიდატი იყო. ახლა დომინგესი მიონხენგლადბახის „ბორუსიას" (8 მილიონი ევრო) შეეწევა ბუნდესლიგაში. **ბორხა ვალეროც** ისინჯებოდა ეროვნულ ნაკრებში, „ვილიარეალის" ჭკვიანი ნახევარმცველი ახლა უკვე „ფიორენტინას" (7 მლნ) საკუთრებაა. 6 მილიონ ევროდ გადავიდა პრემიერლიგაში („უიგან ატლეტიკი") „მალიორკას" კარგი ცენტრალური მცველი **ივან რამისი**. **ექტორ კუპერმა** „ორდუსპორში" წაიყვანა თავდამსხმელი **დავიდ ბარალი** (3 მლნ), პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი აღმოჩენა **მიჩუ** კი სულ რაღაც 2 მილიონ ევროდ გაყიდა „რაიო ვალეკანომ" „სუონსი სიტიში" და მან პირველივე ტურში დუბლი შეასრულა. **ივან მარკანო** „რუბინში" (5 მლნ) აღმოჩნდა და ასე შემდეგ... აღარაფერს ვამბობთ შემაშფოთებელ ტენდენციაზე, რომ უკვე ძალიან ახალგაზრდებიც გარბიან - „რეალმა" გერმანიაში ორი ტალანტი გაასხვისა: **ხოსელუ** („ჰოფენჰაიმში", 6 მლნ) და **დანიელ კარვახალი** („ლევერკუზენი", 5 მლნ).

## ჩაძირული ნავიდან გაქცეული ვირთხები

მიდიან ლეგიონერებიც - ლა ლიგიდან გავარდნილმა „ვილიარეალმა" ყველა და ყველაფერი დაკარგა, თუმცა იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვალენსიური კლუბიდან ვარსკვლავები საზღვარგარეთ წავიდნენ. „ვილიარეალი" 16 ფეხბურთელმა (!) დატოვა და აქედან მხოლოდ 3 გადავიდა ლა ლიგის კლუბებში: **კარლოს მარჩენა** (დეპორტივო), **დიეგო ლოპესი** (სევილია) და **ვაკასო მუბარაკი** (ესპანიოლი). ყველაზე დიდი დანაკარგი შეტევის ბრაზილიურ-არგენტინული დუეტია: **ნილმარი** (8 მლნ) ამიერიდან ყატარული „ალ რაიანისთვის" გაიტანს, ხოლო **მარკო რუბენი** (10 მლნ) - კიევის „დინამოსთვის". „ლევანტეს" ყოჩაღი კოტდივუარელი ფორვარდი **არუნა კონე** (15 გოლი ლა ლიგაში) 5 მილიონ ევროდ „უიგან ატლეტიკში" წავიდა. „ბენფიკამ" არგენტინელი **ედუარდო სალვიო** 10 მილიონად დაიბრუნა მადრიდის „ატლეტიკოდან". ლა ლიგამ დაკარგა **მეჰმეთ თოპალი, იბრაჰიმა ბალდე, ჯეფერსონ მონტერო, იოან მოლო, ჯავად ნეკუნამი, კალუ უჩე, ჟულიენ ესკუდე, კრისტიან საპატა, ლაუტარო აკოსტა, კრისტიან სტუანი** და კიდევ ბევრი საინტერესო ფეხბურთელი.

## არც ერთი ვარსკვლავი!

შევსება კი არ არის ადეკვატური. თუ არ ჩავთვლით, ალექს სონგს „არსენალიდან", თამამად შეგვიძლია თქმა, რომ ესპანეთის ჩემპიონატში ერთი კაშკაშა ვარსკვლავიც არ გადასულა. თანაც სონგს, გაჭირვებით თუ ვუწოდებთ კაშკაშა ვარსკვლავს. **იუსეფ ელ-არაბი, ჟოფრეი კონდობია, მიქაელ კრონ-დელი, სისინიო, ფლორო ფლორესი** და სხვები ნამდვილად არ არიან იმ დონის ფეხბურთელები, რომ მათი შემატებით მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო (რეიტინგით საუკეთესომ) ლიგამ რომ იამაყოს.

სატრანსფერო სეზონის დასრულებამდე ჯერ კიდევ რჩება ერთი კვირა, ბოლო დღეებში ბევრი ტრანსფერი განხორციელდება, მაგრამ ერთი მოდრიჩი გაზაფხულს მოიყვანს?



პორტუგალიელი ენრიკე სერენო ვალიადოლიდში დაბრუნდა

### ბოლო დღეებში ლა ლიგაში განხორციელებული ტრანსფერები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20 აგვ | როდრი რიოსი | ბარსელონა II | შეფილდი | იჯარა |
| 20 აგვ | რუპერი | ოსასუნა | ნუმანსია | იჯარა |
| 21 აგვ | ანდერსონ კონსეისაო (ბრა) | ფიგეირენსე | მალიორკა | იჯარა |
| 21 აგვ | სერხიო აიალა | ბარსელონა II | ალავესი | იჯარა |
| 21 აგვ | მიქაელ კრონ-დელი (დან) | ბრონდბიუ | სელტა | 1 მლნ. ევრო |
| 22 აგვ | ნოსა იგიებორი (ნიგ) | ჰაპოელი თ.ა. | ბეტისი | თავ. აგენტი |
| 22 აგვ | კაზირუ აკინსოლა (ნიგ) | გრანადა | რასინგი | იჯარა |
| 22 აგვ | ოსკარ პერესი | გრანადა | რასინგი | იჯარა |
| 22 აგვ | პაპე დიამანკა (სენ) | ვალეკანო | ვალერანგა | იჯარა |
| 22 აგვ | რუიმან ერნანდესი | ლას პალმასი | რასინგი | თავ. აგენტი |
| 22 აგვ | ჰიროში იბუსუკი (იაპ) | სევილია | ვეპენი | იჯარა |
| 22 აგვ | პედრო ჟერომელი (ბრა) | კიოლნი | მალიორკა | იჯარა |
| 22 აგვ | ენრიკე სერენო (პორ) | პორტუ | ვალიადოლიდი | იჯარა |

### ტოპ-5 შიდა ტრანსფერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 მლნ | ხორდი ალბა | ვალენსია | ბარსელონა |
| 5 მლნ | ფერნანდო გაგო (არგ) | რეალი | ვალენსია |
| 5 მლნ | სერხიო კანალესი | რეალი | ვალენსია |
| 3 მლნ | დიეგო ლოპესი | ვილიარეალი | სევილია |
| 2,5 მლნ | ალბერტო ბოტია | სპორტინგი | სევილია |

### ტოპ-5 (ლა ლიგიდან)

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 მლნ | სანტი კასორლა | მალაგა | არსენალი |
| 10 მლნ | მარკო რუბენი (არგ) | ვილიარეალი | დინამო კ. |
| 10 მლნ | ედუარდო სალვიო (არგ) | ატლეტიკო | ბენფიკა |
| 8 მლნ | ალვარო დომინგესი | ატლეტიკო | მიონხენგლ. |
| 8 მლნ | ნილმარი (ბრა) | ვილიარეალი | ალ რაიანი |

### ტოპ-5 (ლა ლიგაში)

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 მლნ | ალექს სონგი (კამ) | არსენალი | ბარსელონა |
| 5 მლნ | იუსეფ ელ-არაბი (მარ) | ალ-ჰილალი | გრანადა |
| 4 მლნ | ჟოფრეი კონდობია (საფ) | ლანსი | სევილია |
| 3,7 მლნ | ჟოაო პერეირა (პორ) | სპორტინგი ლ. | ვალენსია |
| 2 მლნ | სისინიო (ბრა) | პალმეირასი | სევილია |

● ფურია როხა


ეროვნული ბიბლიოთეკა
ჩავი ესპანეთის ნაკრებში რჩება

# ჩავი თითქმის 100%-ით თბილისშია
## მეტი ტიტული, ვიდრე ფელპსს

**ჩავი ერნანდესის** ისტორია ესპანეთის ნაკრებში გრძელდება! არადა, ევრო 2012-ზე არცთუ ძლიერი გამოსვლის შემდეგ ესპანეთში იეჭვეს, რომ „ბარსელონას" 32 წლის ნახევარმცველი საერთაშორისო კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა. ამ ხმებს საფუძველი აშკარად ჰქონდა, მაგრამ გუშინ უკვე 100%-ით გადაწყდა, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა - ესპანეთის ნაკრების მთავარ მეპასეს (და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ამ კუთხით) 11 სექტემბერს თბილისში ვიხილავთ.

ევროპის ჩემპიონატის ფინალში ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, ჩავი მაინც ყველაზე ნაკლებად გახარებული ჩანდა „ფურია როხას" შემადგენლობაში. კიევის „ოლიმპიურის" გასახდელში კი სამომავლო გეგმებზე რომ დაეკითხნენ, მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა - „ვნახოთ".

გადაწყვეტილება საბოლოოდ ასეთია - ჩავი რჩება, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს **იკერ კასილიასის** და **დავიდ ვილიას** რჩევებმა, მათ უბრალოდ ვერ წარმოუდგენიათ „ფურია როხა" ცნობილი 8-იანის გარეშე.

შეგახსენებთ, რომ ჩავი ერნანდესის დებიუტი „ბარსელონაში" 1998 წელს შედგა. ჩავის კარიერაში 24 დიდი ტიტული აქვს მოპოვებული, ეს კი **მაიკლ ფელპსის** ოლიმპიურ მედლებზე მეტია.

● ვალენსია

# ჟონასი: ვალენსია მზადაა უფრო მაღალი მიზნისთვის იბრძოლოს!

„ვალენსიას" ბრაზილიელი შემტევი **ჟონასი** ოპტიმისტურადაა განწყობილი. რეპორტიორებთან შეხვედრაზე 28 წლის ფეხბურთელმა განაცხადა, რომ „ვალენსიასთვის" დროა, დასრულდეს მესამეადგილოსნობა და „ლოს ჩემ" უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს. *„ჩვენი მიზანია უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეთ. ვიდრე გასულ წელს. სეზონი ყველამ მოტივირებულად დავიწყეთ და ასევე უნდა გავაგრძელოთ. პრეზიდენტი მანუელ ლორენტე მუდამ გვერდში გვიდგას და გვეხმარება ჩვენი მიზნების შესრულებაში. ის ჩემპიონთან ფრის თამაშით ძალიან კმაყოფილი დარჩა. ახლა კარგი იქნება, თუ ლა ლიგაში თამაშს „დეპორტივოს" დამარცხებით გავაგრძელებთ"*, - განაცხადა ჟონასმა, რომლის თავურის დამსახურებაცაა, რომ „ვალენსიამ" 1:1 ითამაშა „სანტიაგო ბერნაბეუზე" I ტურში. სხვათა შორის, სწორედ ამ გოლის მომენტში შეეჯახნენ ერთმანეთს **იკერ კასილიასი** და პეპე.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ჟონასის გოლს კინაღამ ტრაგედია მოჰყვა

# უცხოური ფეხბურთი

## გერმანია. ბუნდესლიგა 2012/2013. გუნდების განაცხადები

### ბორუსია (დორტმუნდი)

**მეკარეები**

1. რომან ვაიდენფელერი 06.08.1980
20. მიტ. ლანგერაკი (ავსტრალია) 22.08.1988
33 ზლატან ალომეროვიჩი 15.06.1991

**მცველები**

3. მარკ ჰორნშუ 02.03.1991
4. ნევენ სუბოტიჩი (სერბ) 10.12.1988
15. მატს ჰუმელსი 16.12.1988
22. პატრიკ ოვომოიელა 05.11.1979
24. კრის ლიოვე 16.04.1989
25. თომას მაისნერი 26.03.1991
26. ლუკაშ პიშჩეკი (პოლ) 03.06.1985
27. ფელიპე სანტანა (ბრა) 17.03.1986
29. მარსელ შმელცერი 22.01.1988
30. ქორაი გიუნტერი 16.08.1994

**ნახევარმცველები**

5. სებასტიან კელი 13.02.1980
6. სვენ ბენდერი 27.04.1989
7. მორიტც ლაიტნერი 08.12.1992
8. ილქაი გიუნდოგანი 24.10.1990
10. მარიო გიოტცე 03.06.1992
14. ივან პერიშიჩი (ხორ) 02.02.1989
16. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი (პოლ) 14.12.1985
19. კევინ გროსკროიტცი 19.07.1988
21. ოლივერ კირხი 21.08.1982
28. მუსტაფა ამინი (ავსტრალ.) 20.04.1993
31. მარვინ ბაკალორცი 13.09.1986
32. ლეონარდო ბიტენკური 19.12.1993
35. იონას ჰოფმანი 14.07.1992

**თავდამსხმელები**

9. რობერტ ლევანდოვსკი (პოლ) 07.03.1994
11. მარკო როისი 31.05.1989
23. იულიან შიბერი 13.02.1989
34. მარვინ დუკში 07.03.1994

*მწვრთნელი: იურგენ კლოპი 16.06.1967*

### ბაიერნი (მიუნხენი)

**მეკარეები**

1. მანუელ ნოიერი 27.03.1986
22. ტომ შტარკე 18.03.1990
24. მაქსიმილიან რიდმიულერი 04.01.1988
32. ლუკას რედერი 30.12.1993

**მცველები**

4. დანტე (ბრა) 18.10.1983
5. დანიელ ვან ბუიტენი (ბელგ) 07.02.1978
13. რაფინია (ბრა) 07.09.1985
17. ჟერომ ბოატენგი 03.09.1988
21. ფილიპ ლამი 11.11.1983
26. დიეგო კონტენტო 01.05.1990
28. ჰოლგერ ბადშტუბერი 13.03.1989

**ნახევარმცველები**

7. ფრანკ რიბერი (საფ) 07.04.1983
10. არიენ რობენი (ჰოლ) 23.01.1984
11. ჯერდან შაჩირი (შვეიც) 10.10.1991
23. მიტჩელ ვაიზერი 21.04.1994
27. დავიდ ალაბა (ავსტრია) 24.06.1992
30. ლუის გუსტავო (ბრა) 23.07.1987
31. ბასტიან შვაინშტაიგერი 01.08.1984
36. ემრე ჩანი 12.01.1994
39. ტონი კროოსი 04.01.1990
44. ანატოლი ტიმოშჩუკი (უკრ) 30.03.1979

**თავდამსხმელები**

9. მარიო მანჯუკიჩი (ხორ) 21.05.1986
14. კლაუდიო პისარო (პერუ) 03.10.1978
25. თომას მიულერი 13.09.1989
20. პატრიკ ვაირაუხი 03.03.1994
33. მარიო გომესი 10.07.1985

*მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი 09.05.1945*

### შალკე (გელზენკირხენი)

**მეკარეები**

1. რალფ ფერმანი 27.09.1988
34. ტიმო ჰილდებრანდი 05.04.1979
36. ლარს უნერშტალი 20.07.1990

**მცველები**

3. სერხიო ესკუდერო (ესპ) 02.09.1989
4. ბენედიქტ ჰიოვედესი 29.02.1988
14. კირიაკოს პაპადოპულოსი (საბ) 23.02.1992
22. აცუტო უჩიდა (იაპ) 27.03.1988
23. კრისტიან ფუხსი (ავსტრია) 07.04.1986
21. კრისტოფ მეტცელდერი 05.11.1980
32. ჯოელ მატიპი (კამ) 08.08.1991

**ნახევარმცველები**

10. ლუის ჰოლტბი 18.09.1990
12. მარკო ჰიოგერი 16.09.1989
13. ჯერმაინ ჯონსი (აშშ) 03.11.1981
15. ვასილის პლიციკასი (საბ) 14.04.1988
18. ხურადო (ესპ) 29.06.1986
27. ტრანკუილიო ბარნეტა (შვეიც) 22.05.1985
28. კრისტოფ მორიტცი 27.01.1990
31. იულიან დრაქსლერი 20.09.1993
33. რომან ნოიშტედტერი 18.02.1988
35. სეად კოლასინაცი 20.06.1993

**თავდამსხმელები**

8. ჩიპრიან მარიკა (რუმ) 02.10.1985
16. ედუ (ბრა) 30.11.1981
17. ჯეფერსონ ფარფანი (პერუ) 26.10.1984
19. ჩინედუ ოგასი ოგბუკე (ნიგ) 01.06.1986
20. ტეემუ პუკი (ფინ) 29.03.1990
25. კლაას-იან ჰუნტელაარი (ჰოლ) 12.08.1983

*მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი (ჰოლ) 29.11.1953*

### ბორუსია (მიონხენგლადბახი)

**მეკარეები**

1. მარკ-ანდრე ტერ შტეგენი 30.04.1992
21. იანის ბლასვიხი 02.05.1991
33. კრისტოფერ ჰაიმეროთი 01.08.1981

**მცველები**

2. მათიას ციმერმანი 16.06.1992
3. ფილიპ დემსი (ბელგია) 31.10.1978
4. როელ ბრუვერსი (ჰოლ) 28.11.1981
15. დომინგესი (ესპ) 16.05.1989
17. ოსკარ ვენდტი (შვედ) 24.10.1985
24. ტონი იანტშკე 07.04.1990
37. მიკლას დამსი 28.05.1990
39. მარტინ შტრანცლი (ავსტრია) 16.06.1980

**ნახევარმცველები**

5. ალექსანდერ რინგი (ფინ) 09.04.1991
6. თოლგა ჩიგერჩი 23.03.1992
7. პატრიკ ჰერმანი 12.02.1991
8. ლუკას რუპი 08.01.1991
14. ტორბენ მარქსი 01.06.1981
16. ჰავარდ ნორდტვეიტი 21.06.1990
18. ხუან არანგო (ვენ) 17.05.1980
23. იუკუ ოცუ (იაპ) 24.03.1990
25. ამინ იუნესი 06.08.1993
27. იულიან კორბი 21.03.1992
30. ალექსანდერი ბაიერი 05.09.1992
34. გრანიტ ჯაკა (შვეიც) 27.09.1992

**თავდამსხმელები**

9. ლუუკ დე იონგი (ჰოლ) 12.05.1983
10. იგორ დე კამარგო (ბელგია) 12.05.1983
19. მაიკ ჰანკე 05.11.1983
22. პენიელ მლაპა 20.02.1991
31. ბრანიმირ ჰრგოტა (შვედ) 12.01.1993

*მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი (შვეიც) 02.11.1957*



### ლევერკუზენი

**მეკარეები**

1. ბერნდ ლენო 04.03.1992
22. დავიდ იელდელი 01.10.1981
36. ნიკლას ლომბი 28.07.1993

**მცველები**

2. დანიელ შვააბი 23.08.1988
4. ფილიპ ვოლშაიდი 06.03.1989
5. მანუელ ფრიდრიხი 13.09.1979
20. დანი კარვახალი (ესპ) 11.01.1992
21. იომერ ტოპრაკი (თურ) 21.07.1989
24. მიხალ კადლეცი (ჩეხ) 13.12.1984
23. კარლინიოსი (ბრა) 22.06.1994
27. გონსალო კასტრო 11.06.1987
ლუკასი (ბრა) 14.07.1991

**ნახევარმცველები**

3. შტეფან რაინარტცი 01.01.1989
6. სიმონ როლფესი 21.01.1982
8. ლარს ბენდერი 27.04.1989
10. რენატო (ბრა) 08.02.1988
13. იენს ჰეგელერი 22.01.1986
14. ჰაიმე ჰოსოგაი (იაპ) 10.06.1986
18. სიდნი სემი 31.01.1988
31. დომინიკ კორი 31.01.1994
38. ქარიმ ბელარაბი 08.04.1990

**თავდამსხმელები**

7. ჟუნიორ ფერნანდესი (ჩილ) 04.10.1988
9. ანდრე შიურლე 06.11.1990
11. შტეფან კისლინგი 25.01.1984
19. სამედ იესილი 25.05.1994

*მწვრთნელი: საშა ლევანდოვსკი 05.10.1971*

### შტუტგარტი

**მეკარეები**

1. სვენ ულრაიხი 03.08.1988
22. მარკ ციგლერი 13.06.1976
33. ანდრე ვაისი 30.09.1989

**მცველები**

2. გოტოკუ საკაი (იაპ) 14.03.1991
3. კრისტიან მოლინარო (იტა) 30.07.1983
5. სერდარ ტასკი 24.04.1987
6. გეორგ ნიდერმაიერი 26.02.1986
14. მასა (მექსიკა) 20.10.1981
15. არტურ ბოკა (კოტ) 02.04.1983
23. ტიმ ჰუგლანდი 11.06.1985
24. ანტონიო რიუდიგერი 03.03.1993

**ნახევარმცველები**

4. ვილიამ კვისტი (დან) 24.02.1985
7. მარტინ ჰარნიკი (ავსტრია) 10.6.1987
8. ზდრავკო კუზმანოვიჩი (სერ) 22.09.1987
10. დანიელ დიდავი 21.02.1990
13. მამადუ ბა (გვი) 25.04.1988
16. იბრაჰიმა ტრაორე (გვი) 21.04.1988
19. კევინ შტიოგერი (ავსტრია) 27.08.1988
20. კრისტიან გენტნერი 14.08.1985
26. რაფაელ ჰოლცჰაუზერი (ავსტრია) 16.02.1993
30. ტამაშ ჰაინალი (უნგ) 15.03.1981
31. შინჯი ოკაზაკი (იაპ) 16.04.1986

**თავდამსხმელები**

9. ვედად იბიშევიჩი (ბოს) 06.08.1984
11. იოჰან აუდელი (საფ) 12.12.1983
17. თუნაი თორუნი (თურ) 21.04.1990
18. კაკაუ 27.03.1981

*მწვრთნელი: ბრუნო ლაბადია 08.02.1966*

### ჰანოვერი

**მეკარეები**

1. რონ-რობერტ ცილერი 12.02.1989
14. მარკუს მილერი 08.04.1982
21. სამუელ რადლინგერი (ავსტრია) 07.11.1992
40. მარეკ გროსე 11.04.1992

**მცველები**

3. ქარიმ ჰაგი (ტუნ) 20.01.1984
4. ჰიროკი საკაი (იაპ) 12.04.1990
5. მარიო ეგიმანი (შვეიც) 24.01.1981
6. სტივ ჩერუნდოლო (აშშ) 19.02.1979
19. კრისტიან შულცი 01.04.1983
20. ფელიპე (ბრა) 15.05.1984
24. კრისტიან პანდერი 28.08.1983
33. იანიკ შულცე 05.02.1995
34. კონსტანტინ რაუში 15.03.1990

**ნახევარმცველები**

2. ლეონ ანდრეასენი (დან) 23.04.1983
7. სერჟიო პინტუ 16.10.1980
8. მანუელ შმიდებახი 05.12.1988
10. ჟაბოლჩ ჰუშტი (უნგ) 18.04.1983
15. ჰენინგ ჰაუგერი (ნორ) 17.07.1985
22. ადრიან ნიკჩი (შვეიც) 10.11.1989
23. სოფიან ჩაჰედი (ტუნ) 18.04.1983
26. დენიზ აიჩიჩეკი 05.06.1990
28. ლარს შტინდლი 26.08.1988
37. საშა შიუნემანი 20.02.1992
38. ნიკო გისელმანი 26.09.1991

**თავდამსხმელები**

9. არტურ სობიეხი (პოლ) 12.06.1990
11. დიდიე ია კონანი (კოტ) 22.05.1984
13. იან შლაუდრაფი 18.07.1983
25. მოჰამედ აბდელაუ (ნორ) 23.10.1985
39. მამე ბირამ დიუფი (სენ) 16.12.1987

*მწვრთნელი: მირკო სლომკა 12.09.1967*

### ვოლფსბურგი

**მეკარეები**

1. დიეგო ბენალიო (შვეიც) 08.09.1983
21. პატრიკ დრევესი 04.02.1993
35. მარვინ ჰიტცი (შვეიც) 18.09.1987
43. მარიუს ზაუსი 05.08.1992

**მცველები**

2. პატრიკ ოხსი 14.05.1984
3. ფელიპე ლოპესი (ბრა) 07.08.1987
4. მარსელ შეფერი 07.06.1984
5. ემანუელ პოგატეცი (ავსტრია) 16.01.1983
16. სოტირიოს კირიაკოსი (საბ) 23.07.1979
17. ალექსანდერ მადლუნგი 11.07.1982
23. მარკო რუსი 04.03.1985
25. ნალდო (ბრა) 10.09.1982
26. ჰრვოიე ჩალე (ხორ) 04.03.1985
28. პეტერ პეკარიკი (სლოვაკ) 30.10.1986
31. რობინ კნოხე 22.05.1992
32. ფაგნერი (ბრა) 11.06.1989
34. რიკარდო როდრიგესი (შვეიც) 25.08.1992
39. მიხაელ შულცე 13.01.1989
40. სიმონ კიაერი (დანია) 26.03.1989

**ნახევარმცველები**

6. სლობოდან მედოიევიჩი (სერ) 20.11.1990
7. ჟოსუე (ბრა) 19.07.1979
10. დიეგო (ბრა) 28.02.1985
13. მაკოტო ჰასებე (იაპ) 18.01.1984
15. კრისტიან ტრეში 01.09.1987
18. კევინ პროშვიტცი 16.10.1991
20. პეტრ ირჟაჩეკი (ჩეხ) 02.03.1986
22. მატეუშ კლიხი (პოლ) 13.06.1990
24. აშკან დეჟაგა 05.07.1986
27. მაქსიმილიან არნოლდი 27.05.1994
29. იან პოლაკი (ჩეხ) 14.03.1981
30. იოჰანდრუ ოროსკო (ვენ) 19.03.1991
37. ფერჰან ჰასანი (მაკ) 18.06.1990
38. თომას კალენბერგი (დან) 20.03.1983

**თავდამსხმელები**

8. ვიერინია (პორ) 24.01.1986
11. ივიცა ოლიჩი (ხორ) 14.09.1979
12. ბას დოსტი (ჰოლ) 31.05.1989
14. ვაცლავ პილარი (ჩეხ) 13.10.1988
19. რასმუს იონსონი (შვედ) 27.01.1990
33. პატრიკ ჰელმესი 01.03.1984
36. სრდიან ლაკიჩი (ხორ) 02.10.1983

*მწვრთნელი: ფელიქს მაგათი 26.07.1953*

### ვერდერი (ბრემენი)

**მეკარეები**

1. სებასტიან მილიტცი 18.07.1989
20. რაფაელ ვოლფი 06.06.1988
30. რიხარდ შტრებინგერი 14.02.1993
33. კრისტიან ვანდერი 24.10.1980

**მცველები**

3. ფრანსუა აფოლტერი (შვეი) 13.03.1991
5. ასანი ლუკიმია (კონ) 25.01.1986
8. კლემენს ფრიტცი 07.12.1980
13. ლუკას შმიტცი 13.10.1988
15. სებასტიან პრიოდლი (ავს) 21.06.1987
22. სოკრატისი (საბ) 09.06.1988
23. თეოდორ გებრე სელასიე (ჩეხ) 24.12.1986
26. ფლორიან ჰართერცი 29.05.1993
29. კიმო რიოკერი 21.01.1994

**ნახევარმცველები**

6. კევინ დე ბრუინი (ბელგია) 28.06.1991
10. მეჰმეთ ექიჩი 25.03.1990
14. აარონ ჰანტი 04.09.1986
16. ზლატკო იუნუზოვიჩი 26.09.1987
17. ალექსანდარ იგნიოვსკი (სერ) 27.01.1987
18. ფელიქს კროოსი 12.03.1991
25. ტომ ტრიბული 09.03.1993
28. ლევენტ აიჩიჩეკი 12.02.1994
31. პრედრაგ სტევანოვიჩი (სერ) 09.031991
32. იოზქან ილდირიმი 10.04.1993
34. ალექსანდარ სტევანოვიჩი (სერ) 16.02.1992
35. ფლორიან ტრინკსი 11.03.1992
44. ფილიპ ბარგფრედე 03.03.1989

**თავდამსხმელები**

7. მარკო არნაუტოვიჩი (ავსტრია) 19.04.1989
9. დენი ავდიჩი (შვედ) 05.09.1988
11. ელჯერო ელია (ჰოლ) 13.02.1987
24. ნილს პეტერსენი 06.12.1988
27. იოჰანეს ვურტცი 19.06.1993
41. ნიკლას ფიულკრუგი 09.02.1993

*მწვრთნელი: თომას შააფი 30.04.1961*

### ნიურნბერგი

**მეკარეები**

1. რაფაელ შეფერი 30.1.1979
22. პატრიკ რაკოვსკი 02.06.1993
30. ალექსანდერ შტეფანი 15.09.1986

**მცველები**

3. პერ ნილსონი (შვედ) 15.09.1982
4. მარკოს ანტონიო (ბრა) 25.05.1983
15. ტიმ კლოზე (შვეი) 09.05.1988
19. ნოა კორცოვსკი 08.01.1994
21. მარვინ პლატენჰარდტი 26.01.1992
25. ხავიერ პინოლა (არგ) 24.02.1983
26. ტიმოთი ჩენდლერი (აშშ) 29.03.1990

**ნახევარმცველები**

2. ტიმი სიმონსი (ბელგ) 11.12.1976
5. ჰანო ბალიტში 02.01.1981
7. მარკუს ფოილნერი 12.02.1982
10. ტიმო გებჰარდტი 12.04.1989
13. ჰიროში კიოტაკე (იაპ) 12.11.1989
17. მიკე ფრანტცი 14.10.1981
18. ალმოგ კოენი (კან) 01.09.1988
23. ადამ ჰლუშეკი (ჩეხ) 20.12.1988
24. ვილსონ კამავუაკა (კონ) 29.03.1990
27. მარკუს მენდლერი 07.01.1993
31. იულიან ვისმაიერი 04.11.1992
35. ფილიპ კლემენტი 09.09.1992

**თავდამსხმელები**

8. სებასტიან პოლტერი 01.04.1991
9. ტომაშ პეკჰარტი (ჩეხ) 26.05.1989
14. რობერტ მაკი (სლოვაკ) 08.0.1991
29. რუსელ ნგანკამი 15.09.1993
33. ალექსანდერ ესვაინი 25.03.1990

*მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი 12.09.1964*

### ჰოფენჰაიმი

**მეკარეები**

1. ტიმ ვიზე 17.12.1981
19. იენს გრალი 22.09.1988
30. კოენ კასტელსი (ბელგია) 25.06.1992

**მცველები**

2. ანდრეას ბეკი 13.03.1987
3. მათიას იაისლე 05.04.1988
4. შტეფან თესკერი 11.04.1991
5. მარვინ კომპერი 14.06.1985
13. დანიელ ვილიამსი (აშშ) 08.03.1989
14. კრისი (ბრა) 25.08.1981
15. მატიო დელპიერი (საფ) 26.04.1981
16. ფაბიან ჯონსონი 11.12.1987
25. ისააკ ვორსა (გან) 02.06.1988
28. ედსონ ბრააფჰაიდი (ჰოლ) 08.04.1983
29. იანიკ ვესტერგაარდი (დან) 03.08.1992

**ნახევარმცველები**

6. სებასტიან რუდი 28.02.1990
7. ბორის ვუკჩევიჩი 16.03.1990
8. ფილიპ მალბაშიჩი (სერ) 18.11.1992
17. ტობიას ვაისი 30.07.1985
20. აჰმედ სასი (ტუნ) 24.09.1993
22. რობერტო ფირმინიო (ბრა) 02.10.1991
23. სეიად სალიჰოვიჩი (ბოსნია) 08.10.1984
27. სანდრო ვიზერი 03.02.1993
32. იოზეფ-კლაუდე გიაუ (აშშ) 16.09.1986
33. ტაკაში უსამი (იაპ) 06.05.1992
40. შტეფან შრიოკი (ფილ) 21.08.1986

**თავდამსხმელები**

9. სვენ შიპლოკი 08.11.1988
10. რაიან ბაბელი (ჰოლ) 19.12.1986
11. ერენ დერდიოკი (შვეი) 12.06.1988
18. ხოსელუ (ესპ) 27.03.1990
24. მიხაელ გრეგორიჩი (ავსტრია) 18.04.1994
31. კევინ ფოლანდი 30.07.1992

*მწვრთნელი: მარკუს ბაბელი 08.09.1972*

### ფრაიბურგი

**მეკარეები**

1. ოლივერ ბაუმანი 02.06.1990
19. დანიელ ბატცი 12.01.1991
36. ალექსანდერ შვოლოვი 02.06.1992

**მცველები**

2. პაველ კრმასი (ჩეხ) 03.03.1980
3. ფალუ დიანიე (სენ) 14.08.1989
4. ბეგ ფერატი (შვეიც) 10.11.1986
6. ვეგარ ჰედენშტადი (ნორ) 26.06.1991
24. მენსურ მუიჯა (ბოს) 28.03.1984
25. ოლივერ ზორგი 29.05.1990
30. კრისტიან გიუნტერი 28.02.1993
41. იმანუელ ჰიონი 23.12.1991

**ნახევარმცველები**

7. ჩედრიკ მაკიადი (კონ) 23.02.1984
8. იან როზენტალი 07.04.1986
14. ანტონ პუცილა (ბულ) 10.06.1987
17: ჯონათან შმიდი (ავსტრია) 26.06.1990
18. იოჰანეს ფლუმი 14.12.1987
20. მაქს კრუსე 19.03.1988
23. იულიან შუსტერი 15.04.1985
28. მათიას გინტერი 19.01.1994
31. ქარიმ გუედე 07.01.1985
40. დანიელ კალიჯური 15.01.1988

**თავდამსხმელები**

9. ივან სანტინი (ხორ) 21.05.1989
11. გარა დემბელე (მალ) 21.02.1986
21. ესეკილი (ესპ) 12.01.1991
22. მარკო ტერაცინო 15.04.1991
26. ერიკ იენდრიშეკი (სლოვაკ) 26.10.1986
33. მუნირ ბუსიანე (საფ) 05.02.1991
35. სებასტიან ფრაისი 23.04.1985

*მწვრთნელი: კრისტიან შტრაიხი 11.06.1965*

## გერმანია. 2012/2013. განაცხადები

### მაინცი

| მეკარეები | |
|---|---|
| 21. ლორის კარიუსი | 22.06.1993 |
| 29. კრისტიან ვეტკლო | 11.01.1980 |
| 33. ჰაინც მიულერი | 30.05.1978 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ბო სვენსონი (დანია) | 04.08.1979 |
| 3. ზდენეკ პოსპეხი (ჩეხ) | 14.12.1978 |
| 4. ნიკოლჩე ნოველსკი (მაკ) | 28.04.1979 |
| 8. რადოსლავ ზაბავნიკი (სერ) | 16.09.1980 |
| 15. იან კირხჰოფი | 01.10.1990 |
| 16. შტეფან ბელი | 24.08.1991 |
| 24. ტობიას შლიკი | 24.03.1992 |
| 26. ნიკო ბუნგერტი | 24.10.1986 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. მარკო კალიჯური | 14.04.1984 |
| 7. იოზეფ პოლანსკი (პოლ) | 17.03.1986 |
| 11. იუნუს მალი | 24.02.1992 |
| 14. იულიან ბაუმგარტლინგერი | 02.01.1988 |
| 19. ელკინ სოტო (კოლ) | 04.08.1980 |
| 23. მარსელ რისე | 17.12.1989 |
| 25. ანდრეას ივანშიტცი (ავსტრია) | 15.10.1983 |
| 27. ნიკოლაი მიულერი | 25.09.1987 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 10. მაქსიმ ჩუპო-მოტინგი (კამ) | 23.03.1989 |
| 13. ანტონი უჯა (ნიგ) | 14.10.1990 |
| 17. ჩინედუ ედე | 05.02.1987 |
| 28. ადამ სალაი (უნგ) | 09.12.1987 |
| 31. შავნ პარკერი | 07.03.1993 |

**მწვრთნელი:** თომას ტუხელი 29.08.1973

### აუგსბურგი

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. სიმონ იენტცში | 04.05.1976 |
| 36. მოჰამედ ამსიფი (მარ) | 07.02.1992 |
| 37. იოანის გელიოსი | 24.04.1992 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. პაულ ვერჰეგი (ჰოლ) | 01.09.1983 |
| 3. ჯიბრილ სანკო (სიერ) | 15.05.1983 |
| 4. დომინიკ რაინჰარდტი | 19.12.1984 |
| 5. რაგნარ კლავანი (ესტ) | 30.10.1985 |
| 15. სებასტიან ლანგკამპი | 15.01.1988 |
| 18. იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი | 23.09.1984 |
| 19. მათიას ოსტრცოლეკი | 05.06.1990 |
| 20. რონი ფილპი | 28.01.1989 |
| 32. მათიას შტრომაიერი | 11.03.1994 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. კევინ ფოგტი | 23.09.1991 |
| 7. ია-ხეოლ კოო (ს. კორ) | 27.02.1989 |
| 10. დანიელ ბაიერი | 18.05.1984 |
| 11. მილან პეტრჟელა | 19.06.1983 |
| 13. ტობიას ვერნერი | 19.07.1985 |
| 14. იან მორავეკი (ჩეხ) | 01.11.1989 |
| 16. ანდრეას ოტლი | 01.03.1985 |
| 17. მარსელ დე იონგი (კან) | 15.10.1986 |
| 25. დავდა ბა (გამ) | 12.11.1983 |
| 26. ლორენცო დავიდსი (ჰოლ) | 04.09.1986 |
| 29. მორიტც ნებელი | 25.09.1991 |
| 31. მარკო თიდე | 20.05.1992 |
| 34. პაბლო პიგლი | 08.02.1992 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 8. კნოულეჯ მუსონა (ზიმ) | 21.06.1990 |
| 9. ტორსტენ იორლი | 07.01.1986 |
| 22. ჯოვანი სიო (კოტ) | 31.03.1989 |
| 23. არისტიდ ბონსე (ბურ) | 19.09.1984 |
| 33. საშა მიოლდერსი | 20.03.1985 |
| 36. შტეფან ჰაინი | 27.09.1988 |

**მწვრთნელი:** *მარკუს ვაინცირლი 28.12.1974*

### ჰამბურგი

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. იაროსლავ დროზნი (ჩეხ) | 18.10.1979 |
| 15. რენე ადლერი | 15.01.1985 |
| 29. ტომ მიკელი | 19.04.1989 |
| 30. სვენ ნოიჰაუსი | 04.04.1978 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. დენის დიკმაიერი | 20.10.1989 |
| 3. მაიკლ მანსიენი (ინგ) | 08.01.1988 |
| 4. ჰაიკო ვესტერმანი | 14.08.1983 |
| 5. ჯეფრი ბრუმა (ჰოლ) | 13.11.1991 |
| 6. დენის აოგო | 14.01.1987 |
| 7. მარსელ იანსენი | 04.11.1985 |
| 20. პაულ შარნერი (ავსტრია) | 11.03.1980 |
| 23. სლობოდან რაიკოვიჩი (სერ) | 03.02.1989 |
| 34. მუჰამედ ბესიჩი (ბოს) | 10.09.1992 |
| 37. იანეკ შტერნბერგი | 19.10.1992 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 8. ტომას რინკონი (ვენ) | 13.01.1988 |
| 11. ივო ილიჩევიჩი (ხორ) | 14.11.1986 |
| 13. რობერტ ტეში | 27.05.1987 |
| 17. ჟი გინ ლამი | 04.06.1991 |
| 21. მაქსიმილიან ბაისტერი | 06.09.1990 |
| 22. ჯაკოპო სალა (იტა) | 05.12.1991 |
| 25. პერ სკიელბრედი (ნორ) | 16.06.1987 |
| 28. თოლგაი არსლანი | 16.08.1990 |
| 44. გოიკო კაჩარი (სერ) | 26.01.1991 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 10. არტიომ რუდნევსი (ლატ) | 13.01.1988 |
| 16. მარკუს ბერგი (შვედ) | 17.08.1986 |
| 40. ჰეუნ-მინ სონი (ს. კორ) | 08.07.1992 |

**მწვრთნელი:** *ტორსტენ ფინკი 29.10.1967*

### ფიურტი

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ვოლფგანგ ჰესლი | 13.01.1986 |
| 26. მაქს გრიუნი | 05.04.1987 |
| 29. ისა ნდოიე (სენ) | 12.12.1985 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ლასე სობიეხი | 18.01.1991 |
| 4. კევინ კრაუსი | 12.08.1992 |
| 5. მერგიმ მავრაი (ალბ) | 09.06.1986 |
| 6. ჰაინრიხ შმიდტგალი (ყაზ) | 20.11.1985 |
| 15. მიხაელ ჰეფელე | 01.09.1990 |
| 18. აბდულ რაჰმან ბაბა (გან) | 02.07.1994 |
| 19. თომას კლაინე | 28.12.1977 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 7. ბერნდ ნერიგი | 28.09.1986 |
| 8. შტეფან ფიურშტნერი | 11.09.1987 |
| 10. სებასტიან ტირალა (პოლ) | 22.02.1988 |
| 13. მილორად პეკოვიჩი | 05.08.1977 |
| 14. ედგარ პრიბი | 15.12.1989 |
| 16. ზოლტან შტიბერი (უნგ) | 16.10.1988 |
| 17. თომას პლედლი | 23.05.1994 |
| 21. რობერტ ცილნერი | 04.08.1985 |
| 22. თანოს პეცოსი (საბ) | 05.06.1991 |
| 23. სერქან სარარერი (თურ) | 27.11.1989 |
| 30. იოჰანეს გაისი | 17.08.1993 |
| 34. ტაიფუნ პექთურქი | 13.05.1988 |
| 36. ფელიქს კლაუსი | 13.09.1992 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. კრისტოფერ ნიოთე | 03.01.1988 |
| 11. ჯერალდ ასამოა | 03.10.1978 |
| 20. კინგსლი ონუეგბუ (ნიგ) | 05.03.1986 |
| 24. ჯიბი ფალი (სენ) | 20.04.1985 |
| 27. ტობიას მიკელსენი (დან) | 18.09.1986 |
| 33. ილირ აზემი (კოს) | 21.02.1992 |
| ფრანკ ოჰანდსა (კამ) | 28.09.1991 |

**მწვრთნელი:** მაიკ ბიუსკენსი 19.03.1968

### აინტრახტი (ფრანკფურტი)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ოკა ნიკოლოვი (მაკ) | 25.05.1974 |
| 31. კევინ ტრაპი | 08.07.1990 |
| 32. აიქუთ იოზერი (თურ) | 01.01.1993 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. კარლოს სამბრანო (პერ) | 10.07.1989 |
| 3. ჰაიკო ბუტშერი | 28.07.1980 |
| 4. ვადიმ დემიდოვი (ნორ) | 10.10.1986 |
| 5. მარტინ ამედიკი | 06.09.1982 |
| 6. ბასტიან ოჩიპკა | 12.01.1989 |
| 15. კონსტანტ ჯაკპა (კოტ) | 17.10.1986 |
| 22. სტეფანო ჩელოცი | 02.11.1988 |
| 23. ბამბა ანდერსონი (ბრა) | 10.01.1988 |
| 24. სებასტიან იუნგი | 22.06.1990 |
| 33. ალექსანდერ ჰინი | 03.04.1993 |
| 34. ერიკ ვილე | 28.03.1993 |
| 36. მარკ-ოლივერ კამპფი | 28.01.1995 |
| 39. იულიან დუდა | 08.04.1993 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 7. ბენიამინ კიოლერი | 04.08.1980 |
| 8. ტაკაში ინუი (იაპ) | 02.06.1988 |
| 13. მარტინ ლანიგი | 11.07.1984 |
| 14. ალექსანდერ მაიერი | 17.01.1983 |
| 16. შტეფან აიგნერი | 20.08.1987 |
| 20. სებასტიან როდე | 11.10.1990 |
| 27. პირმინ შვეგლერი (შვეიც) | 09.03.1987 |
| 28. სონი კიტელი | 06.01.1993 |
| 37. მარკ შტენდერა | 10.12.1995 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. ოლივერ ოუშენი (კან) | 23.10.1981 |
| 10. ერვინ ჰოფერი (ავსტრია) | 14.04.1987 |
| 21. ქარიმ მატმური (ალჟ) | 25.06.1985 |
| 29. როზ ფრენდი (კან) | 23.01.1981 |
| დორგე კუემაა (კამ) | 28.06.1983 |

**მწვრთნელი:** არმინ ფეე 01.02.1961

### ფორტუნა (დიუსელდორფი)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. რობერტ ალმერი (ავსტრია) | 20.03.1984 |
| 33. ფაბიან გიფერი | 17.05.1990 |
| 44. ნიკოს პაპადოპულოსი (საბ) | 11.04.1990 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. კრისტიან ვებერი | 15.09.1983 |
| 3. ლეონ ბალოგუნი | 28.06.1988 |
| 4. სტელიოს მალეზასი (საბ) | 11.03.1985 |
| 5. ხუანანი (ესპ) | 27.04.1987 |
| 6. იენს ლანგენეკე | 29.03.1977 |
| 14. ბრუნო სუარესი (ბრა) | 21.08.1988 |
| 19. ტობიას ლეველსი | 22.11.1986 |
| 21. იოჰანეს ვან დერ ბერგი | 21.11.1986 |
| 22. დუ-რი ჩა (ს. კორ) | 25.07.1980 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 7. ოლივერ ფინკი | 06.06.1982 |
| 8. ანდრე ფომიჩოვი | 07.09.1990 |
| 11. აქსელ ბელინგჰაუზენი | 17.05.1983 |
| 13. ადამ ბოდცეკი | 07.09.1985 |
| 15. ივან პაურევიჩი (ხორ) | 01.07.1991 |
| 17. ანდრეას ლამბერტცი | 15.10.1984 |
| 18. რონი გარბუშევსკი | 23.02.1986 |
| 25. თურგულ ერათი (თურ) | 17.06.1992 |
| 26. იულეს შვადორფი | 19.10.1992 |
| 29. ალიოსმან აიდინი | 06.02.1992 |
| 32. ბასტიან მიულერი | 31.07.1991 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. ნანდო რაფაელი (ანგ) | 10.01.1984 |
| 10. კენ ილსო (დან) | 02.12.1988 |
| 16. გერიტ ვეგკამპი | 13.04.1993 |
| 20. დანი შაჰინი | 09.07.1979 |
| 23. რობინ კრუსე (ავსტრია) | 05.10.1988 |
| 27. შტეფან რაიზინგერი | 14.09.1981 |
| 28. ტიმო ფურუჰოლმი (ფინ) | 11.10.1987 |
| 30 ანდრიი ვორონინი (უკრ) | 21.07.1979 |

**მწვრთნელი:** ნორბერტ მაიერი 20.09.1958

მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## უკრაინის ნაკრები


ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი

# ბლოხინი უკრაინას ინგლისისთვის ამზადებს

უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ ბლოხინმა** იმ 22 ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა, რომლებიც 11 სექტემბერს ინგლისთან მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრისთვის მოემზადებიან. ეს მატჩი ლონდონში, "უემბლიზე" გაიმართება. უკრაინელი ჟურნალისტები გაკვირვებულები აღნიშნავენ, რომ 15 აგვისტოს ჩეხეთთან მოგებული შეხვედრისგან შემადგენლობას ერთადერთი ფეხბურთელი დააკლდა და ისიც თავდამსხმელი. ლაპარაკია "შახტარის" 27 წლის შემტევ **ევგენი სელეზნიოვზე**. წინახაზელთაგან ბლოხინს მხოლოდ ორი კაცი ჰყავს გამოძახებული. სამაგიეროდ კითხვასაც კი აღარავინ სვამს, თუ რატომ არ არის ნაკრებში **ალექსანდრ ალიევი**.

**მეკარეები:** ანდრეი დიკანი (სპარტაკი მ.), მაქსიმ კოვალი (დინამო), ანდრეი პიატოვი (შახტარი),

**მცველები:** ბოგდან ბუტკო (ილიჩივეცი), ბოგდან კუჩერი, იაროსლავ რაკიცკი, ვიაჩესლავ შევჩუკი (ყველა შახტარი), ვიტალი მანძიუკი (დნიპრო), ევგენი სელინი (ვორსკლა), ტარას მიხაილიკი, ევგენი ხაჩერიდი (ორივე დინამო)

**ნახევარმცველები:** რომან ბეზუსი (ვორსკლა), ანდრეი იარმოლენკო, დენის გარმაში, ოლეგ გუსევი (ყველა დინამო), რუსლან როტანი, ევგენი კონოპლიანკა (დნიპრო), სერგეი ნაზარენკო (ტავრია), ტარას სტეპანენკო (შახტარი), ანატოლი ტიმოშჩუკი (ბაიერნი)

**თავდამსხმელები:** მარკო დევიჩი (შახტარი), რომან ზოზულია (დნიპრო)

**ლევან ბიბილაშვილი**

## რუსეთის ნაკრები



ფაბიო კაპელო

# კაპელოს გაფართოებული სია

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** 37 ფეხბურთელი დაასახელა, რომელთაც ამ ეტაპზე ეროვნულ გუნდში მოხვედრის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეთ. იტალიელი სწორედ მათგან აარჩევს ირლანდიასა (7 სექტემბერს) და ისრაელთან (11 სექტემბერს) გამოძახებულებს. მათი სახელები და გვარები ყველაზე გვიან მომდევნო კვირის დასაწყისში გახდება ცნობილი.

მეკარეები: იგორ აკინფეევი (ცსკა), ვლადიმირ გაბულოვი (ანჟი), ვიაჩესლავ მალაფეევი (ზენიტი), ანტონ შუნინი (დინამო)

მცველები: ალექსანდრ ანიუკოვი (ზენიტი), ალექსეი ბერეზუცკი, ვასილი ბერეზუცკი, სერგეი იგნაშევიჩი, გეორგი შენიკოვი (ყველა ცსკა), ტარას ბურლაკი, ანდრეი ეშჩენკო (ორივე ლოკომოტივი), იური ჟირკოვი, არსენ ლოგაშოვი (ორივე ანჟი), რომან შარონოვი (რუბინი)

ნახევარმცველები: დინიარ ბილიალეტდინოვი, დმიტრი კომბაროვი (ორივე სპარტაკი), ვლადიმირ ბისტროვი, იგორ დენისოვი, კონსტანტინ ზირიანოვი, ვიქტორ ფაიზულინი, რომან შიროკოვი (ყველა ზენიტი), ალან ძაგოევი (ცსკა), დენის გლუშაკოვი, მაგომედ ოძოევი, ალექსანდრ სამედოვი (ყველა ლოკომოტივი), ალან კასაევი, ალექსანდრ რიაზანცევი (ორივე რუბინი), ოლეგ შატოვი (ანჟი)

თავდამსხმელები: ანდრეი არშავინი (არსენალი), არტიომ ძიუბა (სპარტაკი), ვლადიმირ დიადიუნი (რუბინი), ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი), ალექსანდრ კოკორინი (დინამო), რომან პავლუჩენკო (ლოკომოტივი), პაველ პოგრებნიაკი (რედინგი), ფედორ სმოლოვი (ანჟი)

**ლევან ბიბილაშვილი**

## ამბები

### პოულსენი აიაქსში წავიდა

დანიის ნაკრების 32 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა **კრისტიან პოულსენმა**, ვინც ბოლო სეზონი ლიგა 1-ის "ევიანში" გაატარა, "აიაქსთან" 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. *"მიღწეული შეთანხმებით ძალიან კმაყოფილები ვართ. მისით ევროპის ელიტური ლიგების წარმომადგენლები იყვნენ დაინტერესებულები და ამის მიუხედავად, ფეხბურთელმა არჩევანი ჩვენზე შეაჩერა. პოულსენი თანაგუნდელებს მოედანზეც დაეხმარება და მის მიღმაც, რადგან ბუნებით ის ლიდერადაა დაბადებული,"* – განაცხადა "აიაქსის" ტექნიკურმა დირექტორმა **მარკ ოვერმარსმა**. პოულსენი იმ იშვიათ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც ევროპის ხუთივე დიდ ჩემპიონატში უთამაშიათ. ინგლისში ის "ლივერპულში" თამაშობდა, ესპანეთში – "სევილიაში", გერმანიაში – "შალკეში", იტალიაში – "იუვენტუსში". საფრანგეთზე კი უკვე მოგახსენეთ.

### კენი ქუინზ პარკს დასცინის

შარშანდელი სეზონი ახალი დასრულებული იყო, როცა "ქუინზ პარკმა" "ვესტ ჰემიდან" **რობერტ გრინის** გადაბირების შესახებ ოფიციალურად განაცხადა. ამის შემდეგ გუნდის ძველმა ძირითადმა გოლკიპერმა **პად კენიმ** ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა. "ლიდსმა" ის 0,5 მილიონ ფუნტად იყიდა. ეტყობა, კენი ძალიან იყო გაბრაზებული "რეინჯერებზე", რადგან როგორც კი ამის საშუალება მიეცა, ყოფილ გუნდს "ტვიტერზე" დასცინა, ტექნიკურ დირექტორ **მაიკ რიგის** კი შეურაცხმყოფელი SMS გაუგზავნა. კენის რეაქცია გასაგებია, რადგან ლონდონელებმა "სუონსისთან" 0:5-ით მას ამის გაკეთების სერიოზული წინაპირობა მისცეს. მით უფრო, რომ მისმა "ღირსეულმა შემცვლელმა" გრინმა 10-ბალიანი სისტემით ფანებისგან 2,71 დაიმსახურა. დაცინვა ერთია, მაგრამ შეურაცხყოფას მას ნამდვილად არავინ აპატიებს. საფეხბურთო ასოციაციის შესაბამის კომიტეტს მაიკ რიგიმ უკვე მიმართა.

### ვილაშ ბოაშის მორიგი მსხვერპლი

**ანდრე ვილაშ ბოაშმა** ბოლო დღეებში „ტოტენჰემიდან" რამდენიმე ფეხბურთელი გაუშვა, მაგრამ როგორც ჩანს, შემადგენლობის "დასუფთავებას" კიდევ აპირებს. ახალგაზრდა პორტუგალიელს **რაფაელ ვან დერ ვაარტის** სამსახური აღარ სჭირდება. ჰოლანდიური "დე ტელეგააფის" ცნობით, 29 წლის პლეიმეიკერის ყიდვა ორ არაინგლისურ კლუბს სურს. მათ შორის ერთი ნამდვილად "ჰამბურგია", მეორეზე კი ვერაფერს გეტყვით. HSV-ს სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი**, ვინც წლების წინ სწორედ "ტოტენჰემში" მუშაობდა, ყოფილი კლუბისგან სატრანსფერო თანხის შემცირებას ითხოვს. "დეზები" ჰოლანდიელ ვარსკვლავს 9,5 მილიონ ფუნტად აფასებენ. ჩრდილოლონდონელებმა 2010 წელს "რეალს" ვან დერ ვაარტში 8,0 მილიონი გადაუხადეს.

### ბენაიუნი საბერძნეთში მიდის

პირეოსის "ოლიმპიაკოსი" "ჩელსიდან" ებრაელი ნახევარმცველის, 32 წლის **იოსი ბენაიუნის** ყიდვას აპირებს. ვეტერანმა შარშანდელი სეზონი "არსენალში" იჯარით გაატარა და საკმაოდ მაღალ დონეზეც ითამაშა. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო მხარეებმა ერთმანეთთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვეს. ბენაიუნს არც "სტემფორდ ბრიჯზე" სურს გაჩერება, რადგან ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მას მოედანზე გასვლა არ ელირსება. ბერძნები მზად არიან ვეტერანი "ჩელსისგან" გამოისყიდონ ან უკიდურეს შემთხვევაში იჯარით აიყვანონ.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგა. ჩელსი-რედინგი. გამოხმაურება

# მოგება სკანდალის ფონზე

**"ჩელსის" 31 აგვისტოს მონაკოს "ლუი II-ზე" ევროპის სუპერთასის მატჩი ელის მადრიდის "ატლეტიკოსთან". სწორედ ამის გამო პრემიერლიგის მე-3 ტურის მატჩი ლონდონელებმა 22-ში ჩაატარეს (ნაცვლად 1-ლი სექტემბრისა, როგორც დაგეგმილი იყო). "სტემფორდ ბრიჯს" სტუმრად ელიტის დებიუტანტი "რედინგი" ეწვია და 2:4 დამარცხდა.**



ფერნანდო ტორესმა სეზონის პირველი გოლი თამაშის წესის დარღვევით შეაგდო

მასპინძელთა შორის პირველი სახიფათო მომენტი მე-2 წუთზე **ედენ აზარმა** შექმნა, მაგრამ ბელგიელი სიზუსტემ დაალალატა. 5 წუთში მისი პასით თავის გამოჩენა უკვე **რამირესს** შეეძლო, მაგრამ **ადამ ფედერიჩიმ** ივაჟკაცა. რომ არა "არისტოკრატთა" ("რედინგის" მეტსახელიცაა) მცველების თავდადება, ანგარიშს **ფერნანდო ტორესი** გახსნიდა. ესპანელის დარტყმა საბოლოოდ არაზუსტი გამოდგა. მე-18 წუთზე პირველი გოლი გავიდა. თამაში თავის თავზე ისევ აზარმა აიღო, ვინც მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში, თავბრუდახვეულმა **კრის განტერმა** მისდა უნებურად, თამაშის წესი დაარღვია. მართალია, **ლემპარდმა** ცენტრში დაარტყა, მაგრამ სტუმართა ავსტრალიელმა გოლკიპერმა ძლიერ დარტყმას მაინც ვერაფერი მოუხერხა – 1:0. "ჩელსი" თითქოს დაწყნარდა და შეცდომაც სწორედ აქ დაუშვა. 4 წუთის ინტერვალით **პეტრ ჩეხმა** ორი გოლი გაუშვა. 25-ე წუთზე **გარეტ მაკლირის** ჩაწოდება **პაველ პოგრებნიაკმა** აულებელი თავური დარტყმით დაასრულა – 1:1. 29-ეზე კი **დანი გატრიმ** საჯარიმო უეშმაკოდ დასცხო, მაგრამ ჩეხი გოლკიპერის აშკარა შეცდომის წყალობით ბურთი ბადეში გაეხვია – 1:2. რაც მოედანზე ამის მერე ხდებოდა, ამას ახსნა არ აქვს. ნამდვილად ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ **ბრაიან მაკდერმოტმა** თავის გუნდს დარჩენილი 59 წუთის განმავლობაში თავის დაცვა დაავალა, მაგრამ ფაქტია, რომ "რედინგს" "ჩელსის" კარისკენ დიდხანს თვალიც ალარ გაუპარებია. მასპინძლებს გათანაბრება მრავალჯერ შეეძლოთ, მაგალითად, ფერნანდო ტორესსა (ორჯერ) და აზარს.

## აშკარა თამაშგარე

გათანაბრება მეორე ტაიმის დებიუტშივე შეიძლებოდა, მაგრამ **ბრანისლავ ივანოვიჩმა** ზედმეტად უზუსტოდ დაარტყა. **რობერტო დი მატეომ** შეტევის გამოსაფხიზლებლად **ოსკარი** შემოიყვანა. შეცვლამ აშკარად გაამართლა, რადგან ბრაზილიელი ძალიან ბევრს მოძრაობდა და ფლანგებზე მწვავე პასებსაც აკეთებდა. "ჩელსის" ბურთი სულ უფრო უკეთ ეჭირა. ცხადი იყო, რომ გოლი მხოლოდ დროის ამბავი იყო. 68-ე წუთზე მოედანზე **დენიელ სტარიჯიც** გამოჩნდა, ვინც ფლანგზე მოქმედებდა და რედინგელებს სერიოზულ პრობლემებსაც უქმნიდა. მიუხედავად მომწიფებული საგოლე სიტუაციისა, გოლი მაინც მოულოდნელად გავიდა. აზარმა ფლანგიდან ცენტრისკენ შეიწია და **გარი კეჰილს** დაუგორა. მცველმა ბურთი კარგად გაისწორა და დაარტყა. ფედერიჩიმ ჩეხზე არანაკლებ ცუდად ითამაშა – 2:2. 81-ე წუთზე "ჩელსი" წინ კი გავიდა, მაგრამ არბიტრ **ლი მეისონისა** და მისი ასისტენტის წყალობით. მათ ტორესზე აშკარა თამაშგარე მდგომარეობა არ დააფიქსირეს. პასის მომენტში "ელ ნინიოს" მარცხენა ფეხიც წინ ედგა და მცველს მთელი კორპუსით უსწრებდა. მეისონის მიერ დამატებული მე-5 წუთი სრულდებოდა, როცა ფედერიჩი მცველების დასახმარებლად კუთხურის გათამაშებისას წინ წავიდა. სტუმრებმა ბურთი დაკარგეს, რასაც "ჩელსის" ელვისებური კონტრშეტევა მოჰყვა. გატანა აზარსაც შეეძლო, მაგრამ ბოლო მომენტში ივანოვიჩს დაუგორა. სერბმა ცარიელ კარში გაიტანა. სხვათა შორის, ეს 28 წლის მცველისთვის უკვე მეორე გოლია ჩემპიონატში.

## მატჩის შემდგომ

**რობერტო დი მატეო** (ჩელსი): *"თქვენი არ ვიცი, მაგრამ მომეჩვენა, რომ თამაში თვალსასეირო საყურებელი გამოდგა. ეს "ჩელსი" მართლა კარგი გუნდია. ჩემგან კომპლიმენტებს იმსახურებს "რედინგიც". სტუმარმა გუნდმა ძალიან ბევრი იშრომა მთელი თამაშის განმავლობაში. დებიუტი კარგი გამოგვივიდა, მაგრამ მერე მოულოდნელად ორი გოლი გავუშვით, რამაც ცოტა ხნით ჩააქრო ჩვენი საბრძოლო განწყობა, თუმცა ზეწოლა გავაგრძელეთ და ანგარიში გავათანაბრეთ. კეჰილის ბურთმა ბოლო წუთებზე შესაძლო ქაოსისგან გვიხსნა. ტორესის გოლზე იმის თქმა შემიძლია, რომ მომენტი განმეორებით არ მინახავს. მომეჩვენა, რომ ლაინსმენი ზუსტად ხაზზე იდგა და წესით ყველაფერი ზუსტად უნდა შეეფასებინა. მან კი გოლი ჩათვალა. ზოგადად კმაყოფილი ვარ, მაგრამ ჩემი ფეხბურთელებისთვის იმის თხოვნა მომიწევს, რომ მეორედ დაცვაში ასე ალარ უნდა ითამაშონ".*

**ბრაიან მაკდერმოტი** (რედინგი): *"უბრალოდ, სირცხვილია. გული დამწყდა ჩემი ფეხბურთელების გამო. ემოციებისგან მთლიანად დავიცალე, რადგან ხაზის არბიტრი აშკარად შეცდა. უკვე ველაპარაკე ლი მეისონს. ის შემპირდა, რომ მომენტს აუცილებლად ნახავდა გამეორებაზე. ტორესი მეტრიან თამაშგარეში იყო და დარწმუნებული ვარ, ის და მისი ასისტენტი თავიანთი გარჯით უკმაყოფილონი დარჩებიან".*

მანჩესტერ იუნაიტედი

# ახალი მექსიკელი ეშმაკებში



ოლიმპიურმა ჩემპიონმა ექტორ ერერამ, შესაძლოა, კარიერა ოლდ ტრეფორდზე განაგრძოს

როგორც ამ დღეებში მექსიკური პრესა წერდა, "მანჩესტერ იუნაიტედი" უახლოეს დღეებში გეგმავს "პაჩუკას" 22 წლის საყრდენი ნახევარმცველის **ექტორ მიგელ ერერა ლოპესის** ტრანსფერის დასრულებას. წყარო იუწყება, რომ "ეშმაკებს" გარიგება 13,5 მილიონი ევრო დაუჯდებათ. თავის მხრივ ინგლისური პრესა გვარწმუნებს, რომ ექტორ ერერას საყრდენის გარდა მარჯვენა ფლანგზე დაცვაშიც შეუძლია თამაში და ნახევარდაცვაშიც.

"პაჩუკას" ვარსკვლავს კომენტარი ბრიტანელმა ჟურნალისტებმა სთხოვეს და შემდეგი პასუხი მიიღეს: *"სიმართლე ის არის, რომ მე აგენტი არ მყავს, პირადად კი არც მანჩესტერელებთან მილაპარაკია ჩემს ტრანსფერზე და არც ჩემი კლუბის ხელმძღვანელებთან. ისე ჩემდამი ინტერესზე კი მრავლად მსმენია. თუკი რაიმე კონკრეტული წინადადება მექნება ევროპული კლუბიდან, რასაკვირველია, მასზე უარის თქმა გამიჭირდება, მაგრამ ამ წუთას არაფერიც არ ხდება. რამდენიმე წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემი თამაშით ამხელა ყურადღებას მივიპყრობდი. მით უფრო პროფესიულ დონეზე დებიუტიდან ასე მოკლე დროში. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი თავდადებული შრომის შედეგია".*

## ევანსი მწყობრშია

"ტელეგრაფის" ინფორმაციით, "მანჩესტერ იუნაიტედის" 24 წლის ცენტრალური მცველი **ჯონი ევანსი** უკვე მწყობრშია და მზადაა, "ფულჰემთან" მე-2 ტურში გუნდს მოედანზე შეეშველოს. ის სრული დატვირთვით უკვე 11 დღეა ვარჯიშობს. **ალექს ფერგიუსონის** გუნდში ყველაზე დაულაგებელი ამ წუთას სწორედ უკანა ხაზია, რადგან 4 ცენტრალური მცველიდან (**ფერდინანდი, ვიდიჩი, სმოლინგი, ჯონსი**), ზოგი ტრავმებს იშუშებს და ზოგი კი ფორმაში არ არის. შოტლანდიელმა სპეციალისტმა, სხვა გამოსავალი რომ არ ჰქონდა, ვიდიჩს **მაიკლ კერიკი** შეუწყვილა. გაჭირვების ჟამს ჩრდილოირლანდიელის გამოჩენა გუნდისთვის დიდი შვებაა. ევანსმა 2011/12 წლების სეზონის მეორე ნახევარი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. ასე რომ, კერინგტონის ბაზაზე შეუძლიათ შედარებით მშვიდად შეხვდნენ მომდევნო ტურებს.

## ექსმანჩესტერელი ბელგიაში მიდის

"დეილი მეილის" ცნობით, "იუნაიტედის" ყოფილი ფეხბურთელი, 19 წლის **ზეფ ფრაიერსი** კარიერას ლიეჟის "სტანდარდში" განაგრძობს. ამ ზაფხულს მისი შეძენა "ტოტენჰემსაც" ჰქონდა განზრახული. მართალია, ფეხბურთელი თავისუფალი აგენტია, მაგრამ რაკი აკადემიის აღზრდილია, "იუნაიტედმა" საკომპენსაციოდ 6 მილიონი ფუნტი მოითხოვა. "დეზებმა" ჩათვალეს, რომ თანხა ძალიან იყო გაბერილი და ექსჩემპიონებს უარი შეუთვალეს. არაინგლისური კლუბისგან "იუნაიტედი" ამ თანხას ვერ მოითხოვს. "სტანდარდსაც" სწორედ ამ გარემოებით სურს, რომ ისარგებლოს.

ამბები

## ლივერპული სტარიჯს იწვევს

"ჩელსის" 22 წლის თავდამსხმელ **დენიელ სტარიჯს** "სტემფორდ ბრიჯიდან" წასვლა დიდი ხანია, სურს. ის თავს განაპირა თავდამსხმელად არ მიიჩნევს, ლონდონელებს კი ამის აღიარება ჯიუტად არ უნდათ. სასურველ პოზიციაზე თამაშის შანსს , მას "ლივერპული" აძლევს. გარიგების ფინანსურ დეტალებზე კლუბები დუმან. "ტელეგრაფის" ცნობით, მხარეები შესაძლოა, პირველ ეტაპზე ფეხბურთელის საიჯარო ხელშეკრულებაზე შეთანხმდნენ.

## სანტოსი უარყოფს

"არსენალის" 29 წლის ბრაზილიელი მცველი **ანდრე სანტოსი** უარყოფს "სანის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს რამდენიმე დღის წინ პოლიციამ ის სიჩქარის გადაჭარბებისთვის დააკავა და მით უფრო, რომ სამართალდამცავთა მოთხოვნას არ დაემორჩილა და მანქანა არ გააჩერა. "ტაბლოიდი" წერდა, რომ სამხრეთამერიკელი ლონდონის ქუჩებში 209 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა. გთავაზობთ სანტოსის ვერსიას: *"ვარჯიშზე მეჩქარებოდა. ალბათ დილის 8:30-დან 9-მდე პერიოდი იქნებოდა. მანქანით ვმოძრაობდი არა ქალაქის ქუჩებში, არამედ ავტომაგისტრალზე. სიჩქარე გადავაჭარბე, ვადასტურებ, მაგრამ არა ისე, რასაც გაზეთები წერენ. როგორც კი პოლიციამ ნიშანი მომცა, მაშინვე გავაჩერე, საბუთები წარვუდგინე. იქაურობა მალე დავტოვე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვარჯიშის დაწყებას დროულად ვერ მივუსწარი. ბაზაზე მივედი თუ არა, კლუბის ადმინისტრაციას ყველაფერი დაწვრილებით მოვახსენე. ისინი შემპირდნენ, რომ ყველანაირად მხარში დამიდგებოდნენ. სექტემბერში ამ ინციდენტის გამო სასამართლოში მომიწევს გამოცხადება".*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ესპანეთის სუპერთასი. I მატჩი

# ვალდესის საჩუქარი

## ხუთგოლიანი მეორე ტაიმი და უსახური პირველი

**ბარსელონა-რეალი 3:2**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ადრიანო - ჩავი (83. ფაბრეგასი), ბუსკეტსი, ინიესტა - სანჩესი (71. ტელიო), მესი, პედრო (87. ალბა).

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, ალბიოლი, სერხიო რამოსი, ფ. კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - კალეხონი (65. დი მარია), იოზილი (82. მარსელო), რონალდო - ბენზემა (61. იგუაინი).

**გოლები:** 0:1 რონალდო (55), 1:1 პედრო (57), 2:1 მესი (70-პენ), 3:1 ჩავი (78), 3:2 დი მარია (85)

**გაფრთხილება:** მასკერანო - ჩაბი ალონსო, არბელოა, ალბიოლი

**კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 16-7 (6-2); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 95 000

საპასუხო მატჩი 29 აგვისტოს

ლე მომენტები ჰქონდათ. აქტიურობდნენ **ლეო მესი, ჩავი** და **ანდრეს ინიესტა**. „რეალის" კონტრშეტევები არც სწრაფი იყო და არც სახიფათო. საერთო ჯამში, I ტაიმმა უკეთესი ბრძოლის ხილვის სურვილი დაგვიტოვა.

მეორე ტაიმის მე-10 წუთზე „ელ კლასიკოსთვის" უჩვეულო, დუნე მიმდინარეობა დაირღვა - ეს **კრიშტიანო რონალდომ** გააკეთა, **მესუთ იოზილმა** კუთხური ჩააწოდა და პორტუგალიელმა გოლეადორმა თავით ყველას დაასწრო -0:1. **ტიტო ვილანოვას** გუნდი არ დაბნეულა და ზუსტად წუთნახევარში „ბარსამ" გაათანაბრა. **ხავიერ მასკერანოს** შორეული პასით **პედრო კასილიასის** პირისპირ გავიდა და გაიტანა - 1:1.

მატჩის ჩარხი „ბარსამ" მას მერე შემოატრიალა,



ბარსას მეკარე ვალდესის ბავშვური შეცდომით დი მარიამ ბრწყინვალედ ისარგებლა

მადრიდის „რეალი" მეტოქის გოლკიპერს უნდა უმადლოდეს, რომ ესპანეთის სუპერთასის მოპოვების კარგი შანსი შეინარჩუნა - თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე „ბარსა" 3:1-ს იგებდა, ბევრად სჯობდა მეტოქეს, მაგრამ... **ვიქტორ ვალდესმა** უაზროდ დაკარგა ბურთი სრულიად უწყინარ სიტუაციაში და სტუმრებს მეორე გოლი გაატანინა. უფერული პირველი ტაიმის შემდეგ მძიმე შთაბეჭდილება, 5-გოლიანმა თრილერმა გამოგვისწორა. ყველაფერი მადრიდში საპასუხო მატჩში გადაწყდება.

პირველ ტაიმში „ბარსელონას" სათამაშო უპირატესობა აშკარა იყო, შესვენებამდე ბურთის ფლობის მაჩვენებელმა 72%-მდე მიაღწია, რაც „ბარსასთვისაც" მაღალი მაჩვენებელია. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მასპინძლებს 100%-იანი საგოროცა **სერხიო რამოსმა** საჯარიმოში ინიესტა მოცელა - ლეო მესიმ კლასიკოებში მე-14 გოლი პენალტით გაიტანა. „ბარსას" უპირატესობა 2-ბურთიანი მას მერე გახდა, რაც ინიესტა ბრწყინვალედ შეიჭრა საჯარიმოში და დიდებული პასი მიაწოდა ჩავის - 3:1. ამის შემდეგ **ჟოზე მოურინიომ** უკანასკნელი ცვლილება განახორციელა - მარსელო ინერტული იოზილის მაგივრად გამოვიდა.

მატჩის მიწურულს ანგარიში გამანადგურებელი უნდა გამხდარიყო, **სესკ ფაბრეგასის** პასით მესი ურტყამდა, მაგრამ კასილიასმა იყოჩაღა. 4:1-ის ნაცვლად „ბარსამ" 3:2 მიიღო, ეს კი კასილიასის ვიზავის „დამსახურებაა", ვიქტორ ვალდესმა სულელურად დაკარგა ბურთი და **ანხელ დი მარიამ** ცარიელ კარში გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ამ სეზონში ბარსა-რეალის პირველი დაპირისპირება ტიტო ვილანოვამ (მარჯვნივ) მოიგო

ამბები



დავიდ ლუიზი

### უარი სიტის...

მიუხედავად იმისა, რომ "მანჩესტერ სიტი" ითხოვს ... ფეხბურთელების გადაბირებასთან და ახალწვეულებისთვის არც დიდი ხელფასები ენანება, არიან კლუბები და ფეხბურთელები, რომლებიც "ქალაქელებს" უარს ეუბნებიან. მანჩესტერელებს არაფერი გამოუვიდათ ჯერ **მარტინ შკრტელის**, მერე **დანიელ აგერის** ტრანსფერებზე. ახლა მათ მზერა "ჩელსის" 25 წლის მცველ **დავიდ ლუიზს** მიაპყრეს. 30 მილიონი ფუნტი – აი, თანხა, რამდენადაც უღირს "სიტის" ბრაზილიელი. "ჩელსიმ", რასაკვირველია, წინადადება შორს დაიჭირა.

"ქალაქელებს" შემადგენლობა ზედმეტი ფეხბურთელებისგან ჰყავთ გასაწმენდი. ერთ-ერთი ასეთი 31 წლის პარაგვაელი **როკე სანტა კრუსია**. ორიოდე კვირის წინ ესპანურმა "ბეტისმა" ინგლისელებს თავდამსხმელში 4 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. სამხრეთამერიკელს კონტრაქტი ზუსტად ერთი წლის თავზე უმთავრდება. "დეილი მეილის" ცნობით, კლუბები ამჯერად უკვე ახლოს არიან შეთანხმებასთან. რა პირობებით, ამაზე გაზეთი არაფერს იტყობინება.

დაბოლოს, იმავე "დეილი მეილის" მტკიცებით, "ეტიჰადს" დღე დღეზე დატოვებს **კოლო ტურე**. 31 წლის ივუარელი კარიერას "ლაციოში" განაგრძობს.

### მეტიუ ჯარვისი ჩაქუჩია

ჩემპიონშიპში დაქვეითებულმა "ვულვერჰემპტონმა" კიდევ ორი წამყვანი ფეხბურთელი დაკარგა. 26 წლის მარცხენა ნახევარმცველმა **მეტიუ ჯარვისმა** ხუთშაბათს "ვესტ ჰემში" სამედიცინო შემოწმება გაიარა და კონტრაქტს ხელს ხვალ მოაწერს. ამავე დღესაა დაგეგმილი მისი პრეზენტაცია. "მგლები" საკომპენსაციოდ 10 მილიონ ფუნტს მიიღებენ.

მეორე "მგელი" **სტივენ ფლეტჩერი** კი ამ დღეებში "სანდერლენდთან" გააფორმებს ხელშეკრულებას.

**ლევან ბიბილაშვილი**



მეტიუ ჯარვისი

Oxford MEDICAL

პოლიპები - მსხვილი ნაწლავის კიბოსწინა დაავადება!



პროქტოლოგი
ერეკლე გრატიაშვილი

უროლოგია
- პოტენციის აღდგენა ასაკისა და თანმდევი დაავადებების მიუხედავად
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

გინეკოლოგია
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა უახლესი აპარატურით.
- პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი

პროქტოლოგია
- ბუასილის მკურნალობა უსისხლოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

კოსმეტოლოგია
- ეპილაცია
- მკურნალობა ELOS უახლესი აპარატით

დერმატოლოგია
- კანის, თმის, ფრჩხილების დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ანონიმურობა დაცულია!

ექიმი-პროქტოლოგი ერეკლე გრატიაშვილის თქმით, სწორი და მსხვილი ნაწლავის პოლიპები ხანგრძლივად, ზოგჯერ ცხოვრების განმავლობაში ადამიანის ორგანიზმში შეუმჩნეველია და ადამიანი, რომელიც ამ დაავადებას ატარებს, ხშირად ვერც გრძნობს, რადგან მათი არსებობისას კლინიკური ნიშნები არ ვლინდება. ექიმი მათი აღმოჩენის შემთხვევაში, სპეციალისტთან აუცილებელ ვიზიტზე საუბრობს. მისივე თქმით, რეკომენდებულია 50-წელს მიღწეულ ყველა ჯანმრთელ ადამიანს გამოკვლევა ჩაუტარდეს.

– სწორი ნაწლავის და ანალური არხის პოლიპები, ხშირად პერიოდული სისხლდენებით, უმნიშვნელო ლორწოვანი გამონადენით და კუჭის მოქმედების დროს მცირე დისკომფორტით ვლინდება. ამიტომ მიაჩნიათ, რომ ჰემოროიდული დაავადება (ბუასილი) აქვთ და პროქტოლოგს დაგვიანებით მიმართავენ. არადა, პოლიპი დიდ ზომებს აღწევს, იწყებს გამოვარდნას ანალური არხიდან ან კუჭის მოქმედების გაძნელებას. ასეთ შემთხვევებში კი, ხშირად პოლიპი განიცდის კიბოდ გადაგვარებას და მკურნალობა მხოლოდ რადიკალური, რთული ოპერაციით შეიძლება. მაგალითად, სწორი ნაწლავის აბდომინო-პერიანალური ექსტირპაცია (სწორი ნაწლავის ამოკვეთა და ხელოვნური ანუსის ფორმირება მუცლის წინა კედელზე). ასეთი პაციენტების ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია საკმაოდ რთულია და ფინანსურადაც ძვირი ჯდება, ვიდრე საწყის ეტაპზე. ონკოლოგიის განვითარების ამ ეტაპზე, მსხვილი ნაწლავის პოლიპების გამოვლენა და ამოკვეთა ერთადერთი ქმედითი ღონისძიებაა ამ ლოკალიზაციის კიბოს თავიდან ასაცილებლად.

ემზარი, 54 წლის:

– ხშირად მაწუხებდა ფაღარათი ან შეკრულობა მქონდა. დეფეკაციის შემდეგ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ნაწლავები ბოლომდე არ იცლებოდა; განავალში სისხლიც შევნიშნე... მანამდე კი აირების დაგროვება და შებერილობასაც ვგრძნობდი. პროქტოლოგმა მითხრეს, რომ კიბოსწინა სტადია ყალიბდებოდა და მხოლოდ მაშინ მივედი ექიმთან.

Oxford MEDICAL

229 00 66; 229 47 47
მის: თბილისი, ფალიაშვილი 15
Email: oxford.tbilisi@gmail.com

დელიკატური პრობლემების დელიკატური გადაწყვეტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

● საქართველო-ლატვია. მატჩის წინ



საქართველო ლატვიას კარგ ხასიათზე ხვდება

# ლატვიელთა დამრტყმელი ძალა უკანა ხაზია

დღეს საქართველოს ნაკრები ჯგუფის კიდევ ერთ გამორჩეულ გუნდ ლატვიას დაუპირისპირდება. მატჩი თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება. ცნობილია მსაჯთა ვინაობა: **ხრისტოს ხრისტოდულუ** (საბერძნეთი), **სინიშა პერცეგი** (ხორვატია) და **ერშან ქართალი** (თურქეთი).

გუშინ ჩვენმა გუნდმა ღია ვარჯიში გამართა, რომლის დასრულებისთანავე საშუალება მოგვეცა, კალათბურთელებს გავსაუბრებოდით.

**გიორგი ცინცაძე:**

- ბოსნიაში გამარჯვება ძალიან ბევრს ნიშნავდა. მატჩი ჩვენი უპირატესობით დაიწყო, თუმცა მეტოქე ძლიერი იყო და თამაშის გამოსწორება შეძლო. ყველაფერი ბოლო წუთებზე გადაწყდა, თუმცა იქამდე საქმე არ უნდა მიგვეყვანა.

**- მაინც რის ხარჯზე მიაღწიეთ წარმატებას?**

- გუნდურად ვითამაშეთ. თავისი საქმე ყველამ კარგად შეასრულა. თითოეული კალათბურთელი შეტევაში პასს არ აგვიანებდა, ამას არ შეიძლებოდა, შედეგი არ მოჰყოლოდა.

**- ლატვიის ნაკრების წლევანდელი მატჩები ხომ არ გინახავთ?**

- ჯერ არა, საღამოს განვიხილავთ (შეხვედრის წინა საღამოს). ბალტიისპირეთში ვთამაშობდი და ლატვიის ნაკრების წევრთა უმეტესობას ვიცნობ. ვიცი, ვინ როგორ სტილში თამაშობს. ვიდეოგანხილვისას უკეთესად გავიცნობთ. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ისინი თამაშს უკანახაზელებზე აგებენ, ყველას შეუძლია პერიმეტრიდან ტყორცნა. ამისთვის მზად ვართ.

**თორნიკე შენგელია:**

- ლატვიასთან მატჩის მნიშვნელობა კარგად გვაქვს გაცნობიერებული. იმედია, გულშემატკივარიც დაგვეხმარება, რაც უფრო სავსეა არენა, მით მეტი ხალისით ვთამაშობთ. საქართველოს ნაკრებმა ორი მატჩი ჩაატარა და ორჯერ გავიმარჯვეთ, ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების კარგი შანსი გვაქვს. ამისთვის მომდევნო შეხვედრებში მეტი მობილიზება გვჭირდება.

**- ბოსნიაში მომავალ თანაგუნდელ მირზა ტელეტოვიჩს თუ გაესაუბრე?**

- მას ამერიკაში არ შევხვედრივარ. სარაევოში, მატჩამდე კი ერთმანეთი გავიცანით. თუმცა ბევრი არ გვილაპარაკია.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 3 | 2 | 1 | 289/269 | 5 |
| 2. საქართველო | 2 | 2 | 0 | 176/159 | 4 |
| 3. ლატვია | 2 | 1 | 1 | 169/157 | 3 |
| 4. რუმინეთი | 2 | 1 | 1 | 154/164 | 3 |
| 5. ჰოლანდია | 3 | 0 | 3 | 243/282 | 3 |

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



იგორ კოკოშკოვი



ზაზა ფაჩულია

● ლატვია. ინტერვიუ აინარს ბაგაცკისთან

# მთავარია ჭკუით თამაში

ლატვიის ნაკრები საქართველოში 23 აგვისტოს გამთენიისას ჩამოვიდა. გუნდს ჩამოუძღვა **აინარს ბაგაცკისი**, რომელიც შარშან „სოხუმს" წვრთნიდა. იგი საქართველოსა და ლატვიის ნაკრებებზე ამომწურავად გველაპარაკა. ბაგაცკისმა გამომგზავრებამდე ლატვიელ ჟურნალისტებს უთხრა - საქართველო ფავორიტიაო. გუშინ კი დააკონკრეტა:

- ქართველთა ნაკრებში მაღალი ღირებულების კალათბურთელები თამაშობენ: გყავთ NBA-ს ორი წარმომადგენელი, ევროლიგის დონის რამდენიმე მოთამაშე, მაღალი დონის უცხოელი. ნილისყრის შემდეგაც აღვნიშნე, რომ თქვენი ქვეყნის ნაკრები გამოცდილებით ყველას აღემატება. ეს ბოსნიაშიც დაამტკიცა - როგორც იტყვიან, კალათბურთელები ერთმანეთს კარგად გრძნობდნენ. სწორედ ამის ხარჯზე რამდენიმე ეპიზოდში ბოსნიელებს „ბავშვური შამათი" ჩაუსვეს.

**- თუმცა, ბოსნიაც გამოცდილი გუნდია.**

- მათ ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავთ, ტელეტოვიჩი და დედოვიჩი, რომლებსაც ევროლიგაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ. ბოსნია ველურ კალათბურთს თამაშობს. საქართველო კი ასე ვთქვათ, ველურ-ორგანიზებულს, გიორგი ცინცაძის წყალობით. ამ გუნდებთან გამარჯვება ამიტომაცაა ძნელი.

**- ბოსნიაში ლატვიის ნაკრებს მოგების კარგი შანსი ჰქონდა...**

- ჩემმა კალათბურთელებმა ძალიან მოინდომეს, მაგრამ ახალგაზრდები არიან და ჯერ არ იციან, როგორ უნდა დიდი თამაშების მოგება. მეტოქემ 15 შეცდომა დაგვაშვებინა, ჩვენს ფარზე ბურთი 17-ჯერ მოხსნა, რაც მასპინძლებს დამატებითი შეტევების განვითარების საშუალებას აძლევდა, მაგრამ ამის მიუხედავად ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე ბოლომდე ვინარჩუნებდით წარმატების შანსს. მთავარია არა ის, რამდენს დარბიხარ, არამედ როგორ დარბიხარ. შესაძლოა, იდგე და თამაში ჭკუით მოიგო.

**- ლატვიის ნაკრებს რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი აკლია - ბლუმსი, შჩელე, ბიედრინსი...**

- ბლუმსმა ასაკის გამო უარი თქვა ნაკრებში გამოსვლაზე, შჩელემ ჩვენთან ერთად დაიწყო, თუმცა მენინგიტი დაემართა და ვარჯიში ველარ განაგრძო. არადა მათი დარი გამოცდილი კალათბურთელი გუნდს ნამდვილად სჭირდებოდა. მათ ხომ იციან, როგორ უნდა თამაში. რაც შეეხება ბიედრინსს, მის შესახებ კომენტარისგან თავს შევიკავებ.

**- საქართველოში ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდით. როგორ გახსენდებათ აქაურობა?**

- მიხარია, რომ ამ ქვეყანაში კიდევ მომიწია ჩამოსვლამ. ვფიქრობ, შარშან კარგად ვიმუშავეთ, „სოხუმის" სელექცია სათანადოდ წარვმართეთ, შემადგენლობა რომ შეგვენარჩუნებინა, ევროჩელენჯზე ძალიან შორს წავიდოდით და საქართველოს ჩემპიონატში „არმიასაც" დიდ წინააღმდეგობას გავუწევდით.

**- სოხუმის შემდეგ უკრაინაში გადახვედით...**

- „კრივბასს" ვწვრთნიდი, რომელიც პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძოდა. სეზონის დასრულებისთანავე ოთხი საინტერესო წინადადება მივიღე (სამი უკრაინიდან). საბოლოოდ „ბუდიველნიკში" მუშაობა გადავწყვიტე. ჩემპიონატშიც მაღალ მიზნებს ვისახავთ, ევროთასზე კი ჯგუფური ეტაპიდან ვიწყებთ.

**გვერდი მოამზადა ვაჟა სიმონიშვილმა**



აინარს ბაგაცკისი

ლატვია

| მოთამაშე | დ.თ. | სმ. | თ. | ქ. | თ-ე | ქ-ე | გუნდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| იანის შტრელნიეკსი | 01/09/1989 | 190 | 37 | 307 | 15 | 135 | პეტერბურგი (რუსეთი) |
| ედგარს ჟერომანოვსი | 18/04/1986 | 188 | 40 | 165 | 11 | 31 | ნორჩოპინგი (შვედეთი) |
| კასპარს ვეცვაგარსი | 03/08/1993 | 193 | 10 | 37 | 1 | 0 | ბალტაი (ლიტვა) |
| დაირის ბერტანსი | 09/09/1989 | 193 | 37 | 242 | 15 | 102 | ვეფ რიგა |
| რიჩარდს კუკსიკსი | 17/07/1988 | 202 | 35 | 382 | 15 | 220 | ვალენსია (ესპანეთი) |
| დავის ბერტანსი | 12/11/1992 | 207 | 21 | 133 | 7 | 57 | პარტიზანი (სერბეთი) |
| მარეკს მეიერისი | 02/09/1991 | 207 | 19 | 78 | 6 | 4 | კლავიხო (ესპანეთი) |
| არტურს ბერზინსი | 12/06/1988 | 204 | 21 | 73 | 6 | 16 | ვენტსპილსი |
| როლანდს ფრეიმანისი | 06/08/1988 | 208 | 44 | 270 | 14 | 96 | ხირონა (ესპანეთი) |
| ანდრის სელაკოვსი | 08/11/1988 | 208 | 23 | 105 | 11 | 61 | ვეფ რიგა |
| კასპარს ბერზინსი | 25/08/1985 | 213 | 64 | 544 | 16 | 147 | ვეფ რიგა |
| მარტინს მეიერსი | 20/01/1991 | 208 | 22 | 167 | 7 | 46 | ვენტსპილსი |

მოთამაშე, დ.თ. - დაბადების თარიღი, სმ - სანტიმეტრი, თ - თამაში, ქ - ქულა, თ-ე - თამაში ევრობასკეტზე, ქ-ე ქულა ევრობასკეტზე.გ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველო-ლატვია 2:3. წინაისტორია

# ხუთმატჩიან ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მეექვსეა

## როცა აგრესია ლეგალურია



1998 წელი, აბრამიძე ბაგაცკისის (12) წინააღმდეგ

ქვესათაურშიც წაიკითხავდით, რომ საქართველოსა და ლატვიას ერთმანეთში აქამდე ხუთჯერ უთამაშიათ. საერთო ანგარიშია 3:2 ბალტიისპირელთა სასარგებლოდ. თუ შეხვედრებს ოფიციალურ და არაოფიციალურებად გავყოფთ, ამხანაგურებში უპირატესობა ქართველებს ექნებათ (2:1), ხოლო ოფიციალურებში - ლატვიას (2:0).

დღეს ეს გუნდები ერთმანეთს მეექვსედ შეერკინებიან და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს მატჩი იქნება. მისი მოგებით ქართველები ჯგუფში პირველი ადგილისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამენ, 90-იან წლებში კი ლატვიასთან გამარჯვებები სატურნირო თვალსაზრისით არაფერს წყვეტდა.

**ამხანაგური მატჩები**

**24.08.2011**

**ვენტსპილსი. ლატვია**

**ლატვია-საქართველო 84:73**

**16:24, 26:15, 26:17, 16:17**

**ლატვია:** ბერტანსი (8ქ), ფრეიმანისი, იურევიჩუსი (10ქ), კუკსიკსი (12ქ), ჟერომანოვსი (10ქ), შტრელნიეკსი (13ქ), ბერზინსი (9ქ, 6მ), შელაკოვსი (6ქ, 6მ), მარეკს მეიერსი (6ქ), მარტინს მეიერსი (10ქ, 5მ).

**საქართველო:** გამყრელიძე (16წთ), ვ. ბოისა (14წთ, 5ქ), ა. ბოისა (10წთ, 6მ), ფაჩულია (20წთ, 18ქ, 6მ), ცინცაძე (20წთ, 4ქ, 3პ), შერმადინი (18წთ, 3ქ, 4მ), მარკოიშვილი (15წთ, 7ქ, 3პ), სანიკიძე (23წთ, 9ქ, 6მ), ცქიტიშვილი (16წთ, 8ქ), შენგელია (17წთ, 8ქ, 5მ), ჰეინსი (22წთ, 8ქ), შარაბიძე (2წთ, 1ქ), ფარღალავა (7წთ, 2ქ).

**22.08.2011**

**რიგა. ლატვია**

**ლატვია-საქართველო 79:83**

**20:13, 24:21, 19:25, 16:24**

**ლატვია:** დაი. ბერტანსი (9ქ), ფრეიმანისი, ბლუმსი (25ქ), კუკსიკსი (12ქ), ჟერომნავსი (3ქ), ვაიროგსი (2ქ), შტრელნიეკსი (16ქ), ბერზინსი (2ქ), შელაკოვსი (5ქ), ბლაუსი (1ქ), დავ. ბერტანსი, მეიერსი (4ქ).

**საქართველო:** გამყრელიძე (8წთ), ვ. ბოისა (23წთ, 3ქ), ფაჩულია (29წთ, 6მ, 3პ, 42ქ), ცინცაძე (27წთ, 3პ, 2ქ), შერმადინი (10წთ, 5მ), მარკოიშვილი (27წთ, 5მ, 13ქ), სანიკიძე (28წთ, 8ქ), ცქიტიშვილი (17წთ, 9ქ), შენგელია (12წთ, 4ქ), ჰეინსი (18წთ, 2ქ).

შარშანდელი ევრობასკეტის შესარჩევ ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა ლატვიასთან ამხანაგურად ორჯერ ითამაშა. პირველი შეხვედრა 83:79 მოიგო. ეს იყო **ზაზა ფაჩულიას** ბენეფისი, რომელმაც იმაზე მეტი ქულა ჩააგდო, რაც მთელმა გუნდმა ერთად - 42. მანამდე სანაკრებო რეკორდი 39 ქულა იყო. ისიც ზაზას ეკუთვნოდა - მაკედონიასთან საკონტროლო მატჩში.

შარშან გამართულ მეორე შეხვედრაში ლატვიელებმა სამქულიანის სამიზნე გაისწორეს და 84:73 დაგვამარცხეს.

**ამხანაგური მატჩი**

**27.08.2008**

**ლატვია-საქართველო 72:80**

**19:22, 15:22, 17:20, 21:16**

**საქართველო:** ცინცაძე (22წთ, 5ქ, 3პ), ელისი (30წთ, 10ქ, 3პ), სანიკიძე (28წთ, 5ქ, 7მ), ცქიტიშვილი (24წთ, 9ქ. 7მ), ფაჩულია (25წთ, 14ქ, 8მ); ვ. ბოისა (23წთ, 18ქ), შერმადინი (7წთ, 3მ, 2დ), გამყრელიძე (25წთ, 14ქ, 3პ), ა. ბოისა (13წთ, 5ქ), ტულუში (2წთ)

ამ გუნდებმა 2008 წელსაც ითამაშეს - რიგის საერთაშორისო ტურნირზე. შეხვედრას **აინარს ბაგაცკისი** ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს. აი, როგორ იხსენებს იგი ქართველებთან მარცხს:

*- მატჩის წინადღეს ლატვიამ საფრანგეთს სძლია და დარწმუნებული იყო, რომ ქართველებსაც დაამარცხებდა. მე კი ბიჭებს ვუთხარი - პროფესიულ სპორტში შესაძლებლობების დამტკიცება ყოველ მატჩშია საჭირო - საფრანგეთის დამარცხება იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოზე უკეთესები ვართ-მეთქი. დღეს ევროპაში საკალათბურთო დონე გათანაბრდა და „ფავორიტი" არაფრისმთქმელ სიტყვად დარჩება, თუ მატჩს სათანადოდ არ მიუდგები. კალათბურთს სახელები და უხვშემოსავლიანი კონტრაქტები კი არა, სპორტსმენები თამაშობენ. რიგაში საქართველოს ნაკრებმა დამსახურებულად გაიმარჯვა.*

**ევრო-1999-ის შესარჩევი**

**25.02.1998. ვენტსპილსი**

**ლატვია-საქართველო 99:63**

**58:35, 41:28**

**ლატვია:** ჰელმანისი (10ქ, 5მ), აზაცკისი (1ქ), შტელმაჰერსი (13ქ, 9პ), ბუსკევიჩისი (3ქ, 6მ), ვალტერსი (8ქ), ვალეიკო (8ქ), ბაგაცკისი (24ქ, 5მ), სკრიმანტსი (2ქ), ბერნატსი (14ქ, 6მ), ვესვაგარსი (11ქ, 5მ).

**საქართველო:** მაისურაძე (26წთ, 10ქ, 2პ), სტეფანია (18წთ, 13ქ, 3მ), ხოშტარია (26წთ, 2პ), ბეჟანიშვილი (28წთ, 4ქ, 4მ, 5პ, 1ჩ), გოგობერიშვილი (19წთ, 2ქ, 3მ, 1ჩ), ვაშაკიძე (21წთ, 2ქ, 6მ, 2პ, 1ჩ), შენგელია (29წთ, 18ქ, 8მ, 1პ, 2ჩ), ჯაფარიძე (17წთ, 9ქ, 1მ), ბოისა (16წთ, 5ქ, 5მ, 1ჩ)

საქართველოსა და ლატვიის ნაკრებები ევრო-1999-ის შესარჩევ ტურნირზე ერთ ჯგუფში მოხვდნენ. ჯერ ლატვიაში ითამაშეს, რამდენიმე თვეში - თბილისში. ვენტსპილსური მატჩი ერთი უსიამოვნო ფაქტის „მოწმეა" - გუნდის მაშინდელმა ლიდერმა **ვლადიმერ სტეფანიამ** პირველ ტაიმში 18 წუთი ითამაშა, მეორე ნახევარში მოედანზე აღარ გამოჩენილა. ამის მიზეზი მუხლის ტრავმა იყო.

...სტეფანიას ნაკრების მაისური მას შემდეგ ერთხელაც არ მოურგია.

საყურადღებო დამთხვევაა: ვოვას წასვლას ვოვას მოსვლა დაემთხვა - სწორედ ლატვიაში შედგა **ვლადიმერ ბოისას** დებიუტი.

- ვენტსპილსური შეხვედრის პირველ ტაიმში ვლადიმერ სტეფანიამ ფეხი იტკინა და მეორე ნახევარში შეუცვლელად ვითამაშე. სხვათა შორის, ლატვიის კალათში ჩაგდებული 18 ქულა ჩემი სანაკრებო რეკორდია. მახსოვს, ნაკრებში პირველად გამოჩნდა ახალგაზრდა ვლადიმერ ბოისა. იმ მატჩში მნიშვნელოვანი სხვა არაფერი მომხდარა, გარდა იმისა რომ დიდი სხვაობით წავაგეთ, - იხსენებს **კახა შენგელია**.

ახლა აინარს ბაგაცკისს მოვუსმინოთ:

*- ნაკრებში დიდი ხანი ვითამაშე და მხოლოდ ორჯერ ვერ მოვხვდით ევროპის ჩემპიონატზე. ერთხელ სწორედ ის შესარჩევი ბარიერი ვერ დავძლიეთ, რომელშიც საქართველოს ნაკრებთან მოგვიწია თამაშმა. მაშინ ნამდვილად ძლიერი გუნდი გვყავდა და ფავორიტებადაც ვითვლებოდით, მაგრამ ამის დამტკიცება მოედანზე იყო საჭირო. ვენტსპილსში ეს მოვახერხეთ. მახსოვს საქართველოს ნაკრების თამაში მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ვლადიმერ სტეფანიაზე, რომელიც იმხანად სლოვენიის „ოლიმპიაში" თამაშობდა. იგი ძლიერი მეფარე და საშიში მოწინააღმდეგე იყო.*

**24.02.1999. თბილისი**

**საქართველო-ლატვია 96:98**

**38:50, 58:48**

**საქართველო:** მაისურაძე (10წთ, 2ქ, 2მ), ბოისა (28წთ, 17ქ, 6მ, 1პ, 1ჩ), ხოშტარია (14წთ, 4ქ, 1მ), აბრამიძე (30წთ, 12ქ, 3მ, 2პ, 1ჩ), ბერძენიშვილი (18წთ, 18ქ, 7მ), ჯაფარიძე (28წთ, 12ქ, 4მ, 1ჩ), ოთიურიძე (11წთ, 7ქ, 2მ, 1პ), ქარაბაკი (27წთ, 6ქ, 7მ, 1პ), ჩხეიძე (34წთ, 18ქ, 4მ)

**ლატვია:** ჰელმანისი (15ქ, 5მ), ვიტოლსი (5ქ, 5მ), შტელმაჰერსი (13ქ), ლაკსა (13ქ, 6მ), მიგლინიეკსი (7ქ, 3პ), ბაგაცკისი (27ქ), ბერნატსი (4ქ), ვეჩვაგარსი (14ქ, 3ჩ).

*- მეორე მატჩი თბილისში ორი ქულის სხვაობით მოვიგეთ, - განაგრძობს ბაგაცკისი, - კარგად მახსოვს, მთელი თამაშის განმავლობაში წინ ვიყავით, თუმცა ქართველები ბოლოს დაგვეწივნენ და დასკვნით მონაკვეთში სიტუაცია დაიძაბა. თუმცა, ვფიქრობ, ძლიერმა გაიმარჯვა - მაშინ საქართველოში ომი ახალი დასრულებული იყო და ქვეყანა ეკონომიკურად დასუსტებული იყო. ომებისა და არასახარბიელო ეკონომიკური თუ პოლიტიკური ფონის მიუხედავად, ქართველები კალათბურთს მაინც გულიანად თამაშობდნენ. ეს ნათლად მიუთითებს ხალხის ქვეყნის ღირსებისადმი მიდგომის მაღალ ხარისხზე, ამიტომ იმ დროის კალათბურთელების წინაშე ქუდი უნდა მოვიხადოთ. სხვათა შორის, ნებისმიერი მატჩი, საფეხბურთო თუ საკალათბურთო მინიომია - სპორტში ხომ აგრესია ლეგალურია...*

ლატვიასთან მეორე მატჩს საინტერესო კომენტარი გაუკეთა ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა **ლევან მოსეშვილმა**, რომელსაც ფინანსური პრობლემების გამო რთულ პირობებში უწევდა მუშაობა:

*- შინ ლატვიასთან სტეფანიას გარეშე დავრჩით, ნაცვლიშვილიც, პრაქტიკულად, ცალი ფეხით თამაშობდა. ამის მიუხედავად, ბოლო წამებზე ორი ქულის სხვაობით დავმარცხდით, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ეს ზოგიერთს სენსაციურ შედეგად ეჩვენა, მაგრამ მალე დამტკიცდა, რომ ბალტიისპირელები ურიგო კალათბურთს არ თამაშობდნენ. ისინი ჩვენგან იტალიაში ჩავიდნენ და მაშინდელ ევროპის ჩემპიონს აპენინებზე აჯობეს.*

**ვაჟა სიმონიშვილი**



2011 წელი, ვენტსპილსი



TimeLine

username: ვაჟა
password: სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოპერფილდიდან ზიმბაბველ შამანამდე



18 აგვისტოდან საკალათბურთო ქუჩაზეც მოვიდა გაზაფხული - თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა. როგორ მოუგო რუმინეთს და როგორ ჩამოიტანა ბოსნიიდან ოქროს ორი ქულა, აქამდე მოგახსენეთ. დღევანდელ „ტაიმლაინში" კი ხალისით გავიხსენოთ საინტერესო ეპიზოდები სანაკრებო ისტორიიდან.

## 2011. შამანი ზიმბაბვედან

რუსეთის ნაკრების მწვრთნელი, **დევიდ ბლატი** მეტად ხალისიანი პიროვნებაა. იგი ყოველი პრესკონფერენციის შემდეგ დარბაზში რჩებოდა და ჟურნალისტებს სახალისო ამბებს უყვებოდა. მისი ერთი გამონათქვამი ევრობასკეტის მთავარ „მფრინავ ფრაზად" იქცა: ბლატს საქართველოსთან მატჩის შემდეგ რუსმა ჟურნალისტებმა ჰკითხეს - მაშინ, როცა ქართველებმა ზონური დაცვა დაგიყენეს, ხუთი წუთი უქულოდ ჩაატარეთ, სამქულიანებზე აქცენტი რატომ არ გააკეთეთო? ბლატს გაეცინა და მიუგო:

*- მეც ვიცი, რომ ზონის გადალახვის კარგი საშუალება შორეული ტყორცნებია, მაგრამ რა ვქნათ, რომ სამქულია-*



*ნებს ვერ ვაგდებთ?! სწორედ ამიტომ, ზიმბაბვეში მივემგზავრები, საიდანაც შამანები უნდა ჩამოვიყვანო, იქნებ ჩვენს კალათბურთელებს შეულოცონ და სროლაც გამოუსწორდეთ.*

მას მერე რუსებს პერიმეტრიდან ტყორცნებში საწუწუნო აღარ აქვთ, თუმცა არსად დაწერილა ბლატის ზიმბაბვეში ვიზიტის ამბავი.

## 2010. ნაძლევი

ბულგარეთთან საშინაო მატჩის წინადღეს ვარჯიშის ბოლოს ჩვენი ნაკრების ლეგიონერი **ტორინ გრინი** ფარის უკან სკამზე იჯდა და ხელში ბურთს ათამაშებდა. **ზაზა ფაჩულია** დაენაძლევა - თუ ბურთს მაგ სკამიდან ჩააგდებ, 500 დოლარს გაძლევო. გრინმა რამდენიმე ცდა ითხოვა, რადგან არცთუ იოლი იყო, დიაგონალზე, ფარსუკნიდან თანაც სკამზე ჯდომით ბურთის ჩაგდება. თუმცა პირველივე ტყორცნის შემდეგ დარბაზში მხურვალე ოვაციები გაისმა - გრინმა ნაძლევი მოიგო.

## 2005. ამჯერად ევრო

2005 წელს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გორდონ ჰერბერტი** იყო, მისი თანაშემწე - **ნუგზარ კანდელაკი**. ბატონი ნუგზარი იხსენებს:

*- ფინეთთან მატჩის წინ ვარჯიშზე ჰერბერტმა მოედნის ცენტრში ასევროიანი დადო და თქვა - ამ ფულს ის აიღებს, ვინც ბურთს მოედნის ცენტრიდან ჩააგდებსო. სროლის უფლება ყველას გვქონდა. მიზანში მე და ირაკლი კეიდიამ მოვარტყით და ფინალში გავედით. ფინალში გაიმარჯვებდა ის, ვინც სამქულიანს მარცხენა ხელით ჩააგდებდა... „კედომ" მაჯობა.*

## 2005. მსაჯო, ბადეს ხომ ვერ გაასწორებდი?

მაკედონიასთან სერიოზულ ბრძოლაში 73:60 მოვიგეთ. შეხვედრის პირველ ტაიმში ერთი სახალისო ეპიზოდი ვიხილეთ: კალათის ბადე აიკეცა და ვიდრე ვინმე მის გასწორებას მოიფიქრებდა, ზაზა ფაჩულიამ თურქ მსაჯს ხუმრობით ანიშნა - აგწევ და ბადე ჩამოუშვიო.

*ზაზამ ნამატჩევს კრივზეც ილაპარაკა:*

- ზოგმა ჩემს თამაშს უარყოფითი შეფასება მისცა - კრივთან გააიგივა. ვერ დავეთანხმები მათ, რადგან მოედანზე კი არ ვჩხუბობ, არამედ ვიბრძვი. სწორედ ასეთი თავდადების წყალობით მოვიგეთ მაკედონიასთან.

## 2004. ამერიკელი საბარგულში

2004 წელს საქართველოს ნაკრებში პირველად ითამაშა ნატურალიზებულმა კალათბურთელმა **შემონდ უილიამსმა**. იტალიაში, სან ჯორჯოს ტურნირის მსვლელობისას ერთ-ერთ ვარჯიშზე კალათბურთელები ტაქსებით წავიდნენ. აღმოჩნდა, რომ ერთი კაცი ზედმეტი იყო და მისთვის ცალკე მანქანა უნდა დაექირავებინათ. უილიამსმა დამატებითი ტაქსი არ გამოაძახებინა, კუდიანი მანქანის საბარგული ახადა და შიგ მოექცა, აქაც კარგად მოვთავსდებიო...

## 2001. 77:77

საქართველოს ნაკრებს დიდი ხნის ნანატრი შეკრება 2001 წელს ელირსა - გუნდი სლოვენიაში გაემგზავრა. ქვეყნის ჩემპიონ „ოლიმპიასთან" ორი მატჩი გამართა. კურიოზული აღმოჩნდა მეორე შეხვედრის ბოლო წუთები: სირენამდე 20 წამით ადრე სლოვენიელებმა ქართველთა კალათს ბურთი ააცილეს და მოხსნისთვის ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. „ჭიდაობაში" **კახა შენგელიას** ბურთზე ხელი შემთხვევით ისე მოუხვდა, რომ საკუთარ კალათში ჩაუშვა - 77:77.

მოვუსმინოთ შენგელიას:

*- ცხადია, ყველაფერი შემთხვევით მოხდა. მსგავსი რამ NBA-ს ვარსკვლავებსაც მოსდით. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ეს გადამწყვეტი ტყორცნა იყო - მატჩის დასრულებამდე 20 წამი რჩებოდა და ბოლო იერიშის უფლება ჩვენ გვქონდა...*

...გადამწყვეტი შეტევის დასრულება **რამაზ გოგობერიშვილმა** ითავა. იგი არ ჩქარობდა, თუმცა 20 წამი ისე გაიპარა, რომ სროლა ვერ მოასწრო. მთავარი შემდეგ მოხდა, რაზეც **ნუგზარ კანდელაკი** ლაპარაკობს:

*- ყველამ კარგად იცოდა დავით თორთლაძის ენამახვილობის ამბავი და ამიტომ, კახა შენგელია ყველაზე გვიან გამოვიდა. თუმცა, გასახდელის კართან „თორთლა" კახას კედელზე მიყუდებული ელოდა...*

*- რას გვერჩოდი, ბურთი თავზე რატომ დაგვატენე?! „ოლიმპიაში" მოხვედრა თუ გინდოდა, გეთქვა-მეთქი...* - ეს თავად **დათო თორთლაძემ** გაიხსენა.

## 2001. ვაშლბურთი

დავსვათ კითხვა: სპორტის ანწილ სახეობას კალათბურთი რატომ ჰქვია? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ მთავარი „ფიგურები" ბურთი და კალათია.

ქვემოთ კალათვაშლზე დავწერთ...

*- „სლოვანს" „პივოვარნასთან" პლეიოფების სერია სამამდე გაეწელა. ამიტომ მესამე შეხვედრის დილას დარბაზში ვერ შევედით. საუზმის შემდეგ მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ გვითხრა: ეზოს მოედანზე გავიდეთ, კომბინაციები მაინც გავიმეოროთო. რადგან ბურთი არ გვქონდა, სასადილოდან ვაშლი წამოვიღეთ. ერთ-ერთი კომბინაციის ბოლოს რამაზ გოგობერიშვილმა ვაშლი სამქულიანის ხაზთან მიიღო და დაუფიქრებლად ისროლა... ხილი კალათში ჩაეშვა და მიწაზე დაცემისას გაიფაშვა...* - დაიწყო თხრობა **ზვიად ბაბიაშვილმა**, რამაზ გოგობერიშვილმა განაგრძო:

*- მწვრთნელმა მკითხა: ეგ რა გააკეთეო? ვუპასუხე: თანაგუნდელებმა ორმაგი ბლოკი კარგად დააყენეს, თავისუფალ პოზიციაზე დამტოვეს და არ მესროლა-მეთქი?!*

## 1999. დავუმალეთ

1999 წელს ლუქსემბურგთან წავაგეთ! საინტერესოა, რომ სწორედ იმ შეხვედრაში ჰქონდა დებიუტი ზაზა ფაჩულიას.

*- ლუქსემბურგთან მატჩის წინა დღეს ფედერაციის პრეზიდენტ გოგი ქათამაძესთან საუბრისას ვიხუმრეთ: მთელი ძალით არ ვითამაშოთ, ჩვენი კოზირები დავმალოთ, რათა ძლიერმა მოწინააღმდეგეებმა ვერ გაგვშიფრონო. ლუქსემბურგმა 21 ქულის სხვაობით მოგვიგო... მეორე დღეს ბატონი გოგი გაგვეხუმრა - ნამეტანი კარგად დამალეთ თამაშიო,* - გაიხსენა ზურაბ ტომარაძის თანაშემწე ნუგზარ კანდელაკმა.

## 1997. ფრენა თვითმფრინავისკენ

საქართველოს ნაკრებმა 1997 წელს ავსტრიას სტუმრად დამატებით დროში აჯობა და შესარჩევი ეტაპის საგზური მოიპოვა. ოვერტაიმის დანიშვნა თავისთავად საინტერესოა, მაგრამ უფრო საინტერესოა, რომ ქართული დელეგაციის ნახევარი დამატებითი დროის დაწყებისთანავე გავიდა დარბაზიდან...

მეორე მწვრთნელი, **ნოდარ ქორქია** მოგვითხრობს:

*- კვიპროსიდან გასამგზავრებელი თვითმფრინავის ბილეთები წინასწარ გვქონდა აღებული. თუმცა, ავსტრიასთან მატჩი ისეთ დროს დანიშნეს, რომ აეროპორტში მისვლას ვერ ვასწრებდით. არადა, იმ დღეს რომ არ გავფრენილიყავით, ერთი კვირა კვიპროსში უნდა გვეცხოვრა, რისი შესაძლებლობაც არ გვქონდა. ბევრი ხვეწნის შემდეგ მატჩი 45 წუთით ადრე გადაიტანეს, თუმცა ჩვენი გათვლებით 40 წუთის ამოწურვის შემდეგ თვითმფრინავს იმ შემთხვევაში მივასწრებდით, თუ ტაქსებით "ვიფრენდით". ოვერტაიმზე წინასწარ არ გვიფიქრია და მატჩი დამატებით დროში რომ გადავიდა, ტრიბუნებისკენ მივბრუნდით და ჩვენი დელეგაციის ძირითად ნაწილს აეროპორტში გაქცევა ვთხოვეთ. წარმოიდგინეთ, როგორ აინტერესებდათ მატჩის ბოლო 5 წუთის ხილვა, მაგრამ სხვა გზა არ იყო - დელეგაციის ნახევარი აეროპორტში ოვერტაიმის დაწყებამდე წავიდა. ევროპაში*



*თვითმფრინავის შეყოვნება თითქმის წარმოუდგენელია, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც იმედი გვქონდა, რომ ქართველები სიტუაციას აუხსნიდნენ და ჩვენც გაფრენამდე მივუსწრებდით. დამატებითი დროის დასრულების შემდეგ დამშვიდობება ვერ მოვასწარით, ისე გავიქეცით ტაქსებისკენ. წინასწარ დაბარებული გვქონდა, მანქანები დაქოქილები დაგვახვედრეთო...*

მოთამაშეებმა ტაქსებში გამოიცვალეს და მიასწრეს თვითმფრინავს, რომელიც ქართველებს მართლაც ელოდა.

## 1997. ფანტა

**ირაკლი ხოშტარია** საიდუმლოს გვიმხელს:

*- ნაკრების შეკრებას კაპიტნის, ვახტანგ ნაცვლიშვილის დაოჯახება დაემთხვა. ვატომ ქორწილში დაგვპატიჟა. საპასუხისმგებლო შეხვედრებისთვის ვემზადებოდით და დალევაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. თუმცა, კალათბურთელებმა ხერხი ვიხმარეთ: „ფანტის" ბოთლებში გაზიან სასმელს 100-100 გრამი არაყი დავამატეთ... აბა, ვახტანგ ნაცვლიშვილს ცარიელი „ფანტით" ხომ არ დავლოცავდით?!*

## 1997. აუღელვებელი ველომრბოლელი

ნაკრების ექიმი **ვალერი მელაძე** შვედური ვოიაჟიდან ორ არასაკალათბურთო ამბავს გამოარჩევს:

*- სტოკჰოლმიდან ქალაქ უპსალაში ავტობუსით გავემგზავრეთ. წინა რიგში ვიჯექი. მძღოლმა მთელი გზა მაღალი სიჩქარით იარა, სპიდომეტრი 150-200-ს უჩვენებდა. ასეთი სისწრაფით სიარულს დამატებით ემოციას მატებდა მუქი შინდისფერი ასფალტი. ერთ გზაჯვარედინზე ცენტრალური ტრასისკენ მშვიდად მომავალი ველოსიპედისტი შევნიშნე. ჩვენი მძღოლი სიჩქარეს არ უწელებდა, ველოსიპედზე მჯდომი კი ჩვენსკენ არც იყურებოდა, რადგან წესების მიხედვით გზა მისი იყო. ჩვენმა მძღოლმა ველოსიპედი ბოლო მომენტში შენიშნა და ავტობუსი რის ვაი-ვაგლახით გააჩერა. გაოცებულები ვუყურებდით ველოსიპედისტს, რომელსაც სვლა ოდნავადაც არ შეუნელებია - აუღელვებლად გადაკვეთა გზა...*

*- 90-იანი წლების შვედეთში მხოლოდ გზებზე როდი იყო სრული წესრიგი. მაღაზიებში ადგილობრივებსა და უცხოელებზე ერთი და იმავე საქონელზე სხვადასხვა ტარიფი მოქმედებდა. მახსოვს, ირაკლი ვაშაკიძემ ტყავის ქურთუკი იყიდა და პასპორტი მოსთხოვეს. ძალიან გაგვიკვირდა, თუმცა შემდეგ მივხვდით, რაში სჭირდებოდათ ქართული პასპორტი - აეროპორტში ვაშაკიძეს ქურთუკში გადახდილი თანხის 25 პროცენტი უკან დაუბრუნეს.*

## 1996. ვინ მოერევა ნაყინს?

ისრაელის სასტუმროში რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ საქართველოს ნაკრების მოთამაშეები. მომხდარ ამბავს ხალისით გვიყვება **ნოდარ ქორქია:**

- სასტუმროს სასადილოში კალათბურთელებმა თითო ულუფა თევზი, სალათა, პიცა და ნაყინი შეუკვეთეს. ასეთმა სიამ ოფიციანტები გააკვირვა, თუმცა ამის მიზეზს გვიან მივხვდით: ერთი ულუფა თევზი თავმოდგმულ დიდ თეფშს შეიცავდა. ასეთივე სავსე იყო სალათისა და პიცის თეფშები... თუმცა, ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ბოლოს ვნახეთ: კალათბურთელებს კილოგრამიანი ნაყინები მოუტანეს.

## 1995. დევიდ კოპერფილდი

ჩვენი ეროვნული ნაკრების ისტორია ილუზიონისტ **დევიდ კოპერფილდთან** შეხვედრით იწყება. **ვახტანგ ნაცვლიშვილი:**

*- ბირმინგემისკენ გზად ლონდონში ჩავფრინდით. აეროპორტში ცნობილი ილუზიონისტი დევიდ კოპერფილდი შეგვხვდა. მას ავტოგრაფები ჩამოვართვით და სამახსოვრო სურათები გადავიღეთ. კოპერფილდს რომ დავშორდით, კალათბურთელები ერთმანეთში ვხუმრობდით - თუ ეს ავტოგრაფები გაქრა, ესე იგი მართლა დევიდი იყოო...*



● თავისუფალი ჭიდაობა. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

# სხირელი: ხინჩეგაშვილმა წონა უნდა შეიცვალოს

**„მე რეკომენდაციას ვაძლევ ვლადიმერ ხინჩეგაშვილს წონის შეცვლაზე. მომავალში მან ამ წონით კატეგორიაში არ უნდა იასპარეზოს“ - განაცხადა ოლიმპიადიდან დაბრუნებულმა საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ, როცა გორელ ფალავანზე დავეკითხეთ.**

საინტერესოა, რას ფიქრობს ამის თაობაზე ხინჩეგაშვილის პირადი მწვრთნელი **ნუგზარ სხირელი.** აღმოჩნდა, რომ ისიც იზიარებს ამ მოსაზრებას. *„ხინჩეგაშვილმა აუცილებლად უნდა შეიცვალოს წონა. ამ საკითხზე ჯერ კიდევ ოლიმპიადამდე შევუთანხმდი. მაშინ ვუთხარი, ეს შენი ბოლო დაკლება იქნება-მეთქი. ის დაახლოებით 6-8 კილოგრამს იკლებს. ვერ ვიტყვი, რომ ეს ძალიან უჭირს, მაგრამ მაინც არაა სასურველი და აჯობებს, 60-ში გადავიდეს. მჯერა, იქაც წარმატებით იჭიდავებს“* - გვითხრა სხირელმა.

ხინჩეგაშვილი ახალ წონაშიც რომ წარმატებით გამოვა, მგონი, ეჭვი არავის ეპარება. საამისოდ სიმძლეც ჰყოფნის, ბუნებრივი ტალანტითაც გამოირჩევა და თუ სტაბილური წონაც ექნება, ანუ არ მოუწევს დაკლება, შედეგებს წინ არაფერი უდგას. იმედია, 60-ში იმაზე უფრო წარმატებით გამოვა, ვიდრე - აქამდე ჭიდაობდა, თუმცა მიღწევები არც 55-ში აკლდა: გახდა ევროპისა და ოლიმპიადის ვიცეჩემპიონი, ახალგაზრდებში კი ორ-ორჯერ მოიგო ევროპისა და მსოფლიოს პირველობები. უბრალოდ, ახალ წონაში დამკვიდრებას ადაპტაცია სჭირდება - სულ სხვა რეალობაა, სხვა სტილი, სხვა მეტოქეები, რომლებიც შესასწავლია... ამ ყველაფერს დრო უნდა, თუმცა ხინჩეგაშვილის ნიჭი, ბუნებრივი მონაცემები გვაიმედებს, რომ ახალ რეალობასთან შესაგუებლად დიდი დრო არ დასჭირდება.

ხინჩეგაშვილის ტიტულები ვახსენეთ და რომ არა მსაჯთა გაურკვეველი ქმედებები შარშან ევროპის პირველობის ფინალში, წლეულს კი - ოლიმპიადაზე, გორელი ფალავანი ორივე შეჯიბრებაში ოქროს მოიპოვებდა. ეს განსაკუთრებით ოლიმპიადის ფინალზე ითქმის, რომლის მსაჯთა მთელი ბრიგადაც მეორე დღესვე მოხსნეს თამაშებიდან. საინტერესოა, რომ ორივე ფინალში ხინჩეგაშვილის მეტოქე რუსთა ჩეჩენი ფალავანი **ჯამალ ოთარსულთანოვი** იყო. სხვათა შორის, ლონდონის ოლიმპიადაზე რუსთა ერთი შეხედვით უძლეველმა ნაკრებმა მხოლოდ ეს ერთი ოქრო მოიპოვა და ისიც ასეთ სამარცხვინო ბრძოლაში!

ნუგზარ სხირელს **გიორგი გოგშელიძის** (96) კარიერის შემდგომ ბედზეც დავეკითხეთ. მოგეხსენებათ, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა მთავარი ოცნება ვერც ლონდონში აისრულა და ოქროს ვერც ამჯერად შესწვდა, პეკინის მსგავსად კვლავაც მესამეზე დარჩა. ცხელ გულზე მან იქვე განაცხადა კარიერის დასრულების შესახებ, ოლიმპიურ ოქროზე ოცნება კი ანდერძად ხუთი წლის შვილს დაუტოვა. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ გადაწყვეტილება საბოლოო არაა და ყოყმანობს. ნებისმიერი სპორტსმენის ოცნების მსგავსად, მასაც კარიერის ოქროთი დასრულება სურს, საამისოდ კი ჩინებული შანსი ეძლევა - გაისად ევროპის პირველობა თბილისში ტარდება. ლონდონიდან დაბრუნებულმა გოგშელიძემ აეროპორტში პირდაპირ გვითხრა, რომ ყოყმანის მიზეზი სწორედ ეს ტურნირია, მაგრამ გადაჭრილ პასუხს მაინც ვერ გვაძლევს. მიზეზი ინტენსიური ტრავმებია - მას ახლაც მყესები აქვს გაგლეჯილი. სხირელმა შეგირდის კარიერის შემდგომ ბედზე გვიპასუხა, ეს საკითხი მთლიანად სპორტსმენის გადასაწყვეტიაო. ვიმედოვნებთ, გოგშელიძე მართლაც დარჩება სპორტში და კარიერას გააგრძელებს.

**ირაკლი თავაძე**



ლონდონის ოლიმპიადა. ილეთს ატარებს ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო*

● ჭადრაკი

# მედლების შანსს მხოლოდ ხუთეული ინარჩუნებს

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გრძელდება 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს 22 წარმომადგენელი მონაწილეობს. გუშინ მე-7 ტურის პარტიები გათამაშდა. სამწუხაროდ, ჩვენებურები მაინცდამაინც სახარბიელოდ ვერ ასპარეზობენ.

**8-წლიან** გოგონებში **დიანა ლომაიამ** გუშინ თეთრი ფიგურებით პოლონელ ზუზანა ადამჩუკთან წააგო, ხოლო **სალომე ბეიტრიშვილი** ასევე პოლონელ აგნეშკა პოლაკოვსკასთან დამარცხდა. ლომაიას 3,5, ბეიტრიშვილს კი 3 ქულა აქვს. 6-6 ქულით მალაკ ისმაილი (აზერბაიჯანი), მარია კუტიანინა (რუსეთი) და რონით ლევიტანი (ისრაელი) მეწინავეობენ. სამაგიეროდ, ვაჟებში **ნიკოლოზ კაჭარავა** ყოჩაღობს - მეშვიდე ტურში მან ინგლისელი ჯოშუა ალტმანი დაამარცხა და 6 ქულით რუს დიმიტრი ცოისთან და ბულგარელ ცვეტან სტოიანოვთან ერთად ლიდერობს. **საბა ლომსაძეს** 4,5 ქულა აქვს.

**10-წლიანებში ანასტასია სიდამონიძემ** 4,5, **თამარ ესაძემ** 3,5 ქულას მოუყარა თავი. 6-6 ქულით პირველ-მესამე ადგილებს ანასტასია ზოტოვა (რუსეთი), ნადია შპანკო (უკრაინა) და ანდრეა ლენგიელი (უნგრეთი) ინაწილებენ. ქართველი ბიჭების მონაგარი ასეთია: **ანტონ ნადირაძე-4, ლუკა ობოლაძე-3,5, დიმიტრი ჯიბუტი-3** ქულა. გათამაშების ცხრილს უდანაკარგოდ ანდრეი ესიპენკო (რუსეთი) უდგას სათავეში.

**12-წლიანი** გოგონები. **ნატა ჯიბუტი-3,5.** ანა მარია კაზარიანი (უნგრეთი)-6,5 ქულა. ბიჭები. **კოკა ბუკია-4, ლუკა გოგია-3,5, ირაკლი ახვლედიანი-3...** ჰაიკ მარტიროსიანი (სომხეთი)-7 ქულა.

**14-წლიანები.** გოგონები. **ნინო ხომერიკი-5, ნინო დახუნდარიძე-3,5, თამარ ფაშკურიძე-3...** ანასტასია ფარატზინა (რუსეთი) - 6,5 ქულა. ბიჭები. **გიორგი სიბაშვილი-5,5...** იან-კშიშტოფ დუდა (პოლონეთ) - 7 ქულა. სიბაშვილი მეორე-მეცხრე ადგილებს ინაწილებს.

**16-წლიანები.** გოგონები. **ნატო იმნაძე-5,5, ანა შამათავა-4, დეა გოგიშვილი-3,5...** დარია-იონა ვისანესკუ (რუმინეთი)-6,5 ქულა. ვაჟები. **ირაკლი ბერაძე-4,5...** ავიტალ ბორუშოვსკი (ისრაელი)-7, კასპერ დროზდოვსკი (პოლონეთი), რომან გრიბი (ბელარუსი)-6-6 ქულა.

**18-წლიანები.** გოგონებში წარმომადგენელი არ გვყავს. ვაჟები. **შალვა ნადირაშვილი-4...** ვადიმ მოისეენკო (რუსეთი), ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთი) 6-6 ქულა.

როგორც ვხედავთ, შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტურით ადრე ჩვენებურთაგან საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსს ხუთიოდე მოჭადრაკე ინარჩუნებს.

**ვაჟა დანელია**

● რაგბი. ოთხი ერი



ბურთით კობუს ვისაჯი

# ვინ თქვა, რომ პირველი ფაზა არ გადის?

**სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილი ბურჯი კობუს ვისაჯი ოთხი ერის გათამაშების პირველ ტურს აფასებს. თავის ბლოგში ყოფილმა „ბოკემ“ საკმაოდ საინტერესო ანალიზი მიუძღვნა ახალ ტურნირს და ბევრი საყურადღებო შენიშვნაც გააკეთა, რაც უშუალოდ გუნდების სათამაშო ტაქტიკასთანაა დაკავშირებული. აი რას წერს ის:**

„ოთხი ერის გათამაშების პირველმა ტურმა რაგბის ქომაგებს არ გაუმართლა. სანახაობრივადაც და სათამაშო დონითაც ეს სულაც არ იყო უმაღლესი დონის რაგბი. ალალად უნდა ვთქვა, რომ გუნდებმა ძალიან უსახური, ბინძური რაგბი ითამაშეს. მატჩის შედეგის ამოცნობა სულაც არ იყო რთული. მეტიც, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ „ოლ ბლექსისა“ და „ბოკეს“ უპირატესობა იმდენად დიდი იყო მეტოქეებზე, ნებისმიერი სასურველი ანგარიშით მოგება შეეძლოთ.

ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ ახალზელანდიელები ავსტრალიის ნაკრების დაცვის ხაზს შეტევის პირველივე ფაზაზე იოლად ჭრიდნენ, განსაკუთრებით კარგად კი ეს შერკინების შემდეგ გამოსდიოდათ და ორი ლელოც სწორედ ასეთი იერიშისას გაიტანეს. არადა ასეთი კომბინაციები უკვე კარგად მივიწყებულ ხელოვნებად მიაჩნდათ. პირველ დარტყმას გუნდები იმიტომ აკეთებდნენ, რომ შეტევის მეორე ფაზისთვის წინა პირობა შეექმნათ. როგორც წესი, ამას კიდევ რამდენიმე ფაზის აკინძვა მოჰყვება. აბსოლუტურად ყველა გუნდის ყველა მწვრთნელი ამას ავალებს შეგირდებს.

ახალზელანდიელები სხვებისგან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი ენდობიან ბურთიან მორაგბეს, რომელიც მეტოქის დაცვის ხაზს ჭრის, გადადის უპირატესობის ხაზის მიღმა და იციან, ეს მოთამაშე იმდენად სხარტი და ჭკვიანია, რომ სანამ თანაგუნდელი მიეხმარება, ბურთის შენარჩუნებას შეძლებს.

ვფიქრობ, სამხრეთ აფრიკის ნაკრებსაც შეუძლია, ასე ითამაშოს. „ბოკეს“ შერკინება „ოლ ბლექსზე“ არანაკლებ მძლავრია და იოლად დაამუშავებს შეტევის განვითარების რამდენიმე ვარიანტს. თუმცა, ბოლო წლებია, სამხრეთაფრიკელთა შერკინების შემკვრელის (№8) **პიერ სპისის** მოქმედება ადვილად ამოსაცნობი გახდა და, ცხადია, ეფექტურობა დაკარგა. იმედი მქონდა, რომ ახალი მწვრთნელი **ჰეინკე მეიერი** თამაშის ამ რგოლში ცვლილებებს შეიტანდა, თუმცა ასე არ მოხდა. სამწუხაროდ, **კიგან დენიელმა** რვა ნომრის პოზიციაზე კარგი შთაბეჭდილება არ დატოვა.

მის შემცვლელად ფიზიკურად ძლიერი და სწრაფი **დუეინ ვერმულენი** მიიჩნევა, მაგრამ მან ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს, რომ ეროვნული ნაკრების კვართის ტარების ღირსია. ჩემთვის ამ პოზიციაზე უფრო საინტერესო იქნებოდა **მარსელ კუციას** ხილვა, ვინაიდან დღესდღეობით ის „ბოკეში“ ყველაზე ფეთქებადი და სწრაფი გამგლეჯია.

ისევ დიდი პრობლემები ექნება ავსტრალიის ნაკრებს მეორე ტურის მატჩში ოქლენდში ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდთან. მათ უკანახაზელებს გაორმაგებული ენერგიით მოუწევთ ბრძოლა, რათა შერკინებიდან დაწყებული მეტოქის იერიშები მოიგერიონ. სირთულის არსი ის არის, რომ „ვოლაბებს“ დრო არ ეყოფათ, შერკინებაში არსებული ხარვეზები ერთ კვირაში გამოასწორონ. მიმაჩნია, **რობი დინსმა** ოთხი ერის გათამაშების დასრულების შემდეგ თანამდებობა რომ შეინარჩუნოს, სასწაული უნდა მოახდინოს. მას რეაბილიტაცია მხოლოდ არგენტინის ნაკრებთან დაპირისპირებაში შეეძლება, არ მგონია, ასეთი თამაშით ავსტრალიელებმა „ბოკეს“ რამე დააკლონ.

თავის დასაცავად მას შეუძლია თქვას, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო გუნდის შემადგენლობაში ვერ მიიწვია ყველა საუკეთესო მოთამაშე. მაგრამ იმასაც გაუხსენებენ, რომ ახალი ზელანდიის ნაკრები გაცილებით ნაკლებ ნიჭიერი მოთამაშეებით, თავდადებისა და ბოლომდე ბრძოლის ხარჯზე დაუმარცხებია.

„ვოლაბებისთვის“ დიდი დანაკლისი იქნება კაპიტანი **დევიდ პოკოქი.** ავსტრალიელებს უმძიმესი მატჩი ელით, რომელიც, ფაქტობრივად, გადაწყვეტს, დარჩებიან თუ არა ისინი პირველობისთვის მებრძოლთა შორის. უფრო უარესი, **ბენ რობინსონი** და მის მეგობრებს პირველ ხაზში კიდევ ერთხელ იხილავენ იმ საშინელებას, რასაც ძმები **ფრენქსებისა** და მათი თანაგუნდელების მძლავრი მიწოლა ჰქვია.

დარწმუნებული ვარ, შერკინებისას ძალიან ხშირი იქნება წესის დარღვევა, რადგან ავსტრალიელები ისევ თამაშის ძველებურ მეთოდს დაუბრუნდებიან, რომლის დროსაც მსაჯს მტყუან-მართლის გარჩევა უჭირს და ბურთის მოგების შანსი ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა.

სამხრეთ აფრიკას იოლი გასეირნება მენდოსაში, არგენტინის წინააღმდეგ მატჩში არ ექნება. „ბოკე“ ბოლოს ინანებს, რომ შინ „პუმებს“ მეოთხე ლელო ვერ გაუტანა და პრემიალური ქულის გარეშე დარჩა. დარწმუნებული ვარ, არგენტინის ნაკრებთან მატჩში ამას ავსტრალია და ახალი ზელანდიაც შეძლებენ. სამხრეთაფრიკელთა ბედი ბევრად იქნება დამოკიდებული **ფრანსუა ჰუგფარისა** და **მორნი სტეინის** ფეხით თამაშზე. მთავარია, შეცდომები არ დაუშვან, რადგან გარწმუნებთ, მენდოსაში არგენტინა სულ სხვა იქნება. **ხუან მარტინ ერნანდესის** აბრაგანები უფრო მაღალი იქნება და ბურთის ასაღებად მასპინძელთა უკანახაზელები უფრო სწრაფად და თამამად გაირჯებიან.

საინტერესოა, რომ „ბოკეს“ მორაგბეთა აბსოლუტურ უმრავლესობას აქამდე მენდოსაში არასდროს უთამაშია. დანამდვილებით ვიცი, რომ იქ „პუმებს“ არნახული ქომაგობა ექნებათ, რაც სამხრეთაფრიკელებს საკმაოდ დიდ პრობლემებს შეუქმნის. ცხადია, ამ ფონზე სავალალოა **ბისმარკ დუ პლესისა** და **პიერ სპისის** ტრავმები, ამის გარდა სამხრეთაფრიკელებს ჯამში 100 კეპით ნაკლები აქვთ მოხვეჭილი, ვიდრე არგენტინელებს, ანუ მასპინძლები მეტოქეზე ბავრად უფრო გამოცდილნი არიან, თუმცა იმედი მაქვს, რომ ამ უარყოფით ბალანსს „ბოკე“ სათამაშო კლასის ხარჯზე მოახერხებს“.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# ნიუ იორკში წილი ყარეს


მოქმედი ჩემპიონები - სტოსური და ჯოკოვიჩი

გუშინ ნიუ იორკში გაიმართა ამერიკის ღია პირველობის სატურნირო ბადის წილისყრა.

მამაკაცებს შორის განთესვის ლიდერი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** ტურნირს დაიწყებს ამერიკელ **დონალდ იანგთან** შეხვედრით. როჯერის მხარეს ბადეში მოხვდა ბრიტანელი **ენდი მიურეი**, რომელსაც ფედერერი ბოლო ორი დიდი ტურნირის ფინალში შეხვდა - უიმბლდონზე დაამარცხა ენდი, მაგრამ ოლიმპიადაზე დათმო გადამწყვეტი მატჩი. ახლა, ეს ჩოგბურთელები ნახევარფინალში შეხვდებიან ერთმანეთს.

ასევე ფედერერისა და მიურეის მხარეს მოხვდნენ ჩეხი **ტომაშ ბერდიხი** და ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა.**

ტურნირის მოქმედი ჩემპიონი და მეორე ნომრად განთესილი სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** პირველ წრეში იტალიელ **პაოლო ლორენცის** შეხვდება. ბადის ქვედა მხარეს, ჯოკოვიჩის ყველაზე სერიოზული მეტოქეები არიან ესპანელი **დავიდ ფერერი** და არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო.** ეს უკანასკნელი პირველ რაუნდში თანამემამულე **დავიდ ნალბანდიანს** ეთამაშება.

■ ■ ■

ქალების ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** საწყის მატჩს რუსი **ალექსანდრა პანოვას** წინააღმდეგ გამართავს. ბელარუსის მხარეს ბადეში ძალიან ძლიერი შემადგენლობაა შეკრებილი. აქ არიან: ტურნირის მოქმედი ჩემპიონი, ავსტრალიელი **სამანტა სტოსური**, ჩეხი **პეტრა კვიტოვა**, ჩინელი **ნა ლი** და ბელგიელი **კიმ კლაისტერსი**, რომელიც თავის ბოლო ტურნირს თამაშობს კარიერაში.

ბადის ქვედა მხარეს, მეორე ნომრად განთესილი პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა** პირველ წრეში რუს **ნინა ბრატჩიკოვას** დაუპირისპირდება. ბადის ერთ მხარეს არიან დები **უილიამსები**, თუმცა ისინი მეოთხედფინალამდე არ შეხვდებიან ერთმანეთს. ძალიან საინტერესო უნდა იყოს მეორე წრის შეხვედრა, სადაც ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან **ვენუს უილიამსი** და გერმანელი **ანჟელიკ კერბერი.**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ამბები

**კალათბურთი**

### მაკედონია ლიდერებს კარგავს

სერიოზული დანაკლისი განიცადა მაკედონიის ნაკრებმა. ამ გუნდის ორმა წამყვანმა წევრმა - 30 წლის პერო ანტიჩმა და 32 წლის ვლადიმერ ილიევსკიმ დაასრულეს საერთაშორისო კარიერა. ისინი გაისად სლოვენიაში ევრობასკეტზე არ ითამაშებენ.

ანტიჩმა ეროვნულ გუნდში შვიდი წელი გაატარა, ილიევსკი კი 1998-2003 წლებში იყო ნაკრების წევრი, შემდეგ 2007 წელს დაუბრუნდა გუნდს. ამ ორი კალათბურთელის უარის შემდეგ, მაკედონია, ფაქტობრივად ერთი ლიდერის - **ბო მაკალების** ამარა დარჩა.

**მოტოსპორტი**

### ჩემპიონი საოპერაციოა

უახლოეს უქმეებზე, მოტოგრანპრის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩეხეთის გრანპრი გაიმართება. გაირკვა, რომ ტრასაზე გასვლას ვერ შეძლებს მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, „ჰონდას" პილოტი **კეისი სტოუნერი**. შეგახსენებთ, რომ ავსტრალიელმა გასულ კვირას, აშშ-ის გრანპრიზე მარცხენა ფეხი დაიზიანა და ოპერაცია აქვს გადასატანი.

სტოუნერი ამჟამად მესამე ადგილს იკავებს საერთო ჩათვლაში და ლიდერ **ხორხე ლორენსოს** 39 ქულით ჩამორჩება. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ავსტრალიელმა გამოაცხადა - ამ სეზონის შემდეგ ვასრულებ კარიერასო.

**ჰოკეი**

### ლიგაში კრიზისი გრძელდება

ორი დღის წინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მნიშვნელოვანი შეხვედრა უნდა გამართულიყო NHL-სა და მოთამაშეთა პროფკავშირებს შორის, მაგრამ მხარეებმა მალე მიატოვეს მოლაპარაკებები და შეხვედრა მეორე დღისთვის გადაიტანეს.

გუშინ კი საუბარი მხოლოდ 90 წუთს გაგრძელდა, მაგრამ მოლაპარაკებების პროცესში პროგრესი არ შეინიშნება. ლიგის კომისარმა **გერი ბეტმენმა** განაცხადა, რომ წინსვლა არც იქნება, თუ მხარეები კონცენტრაციას ვერ შეძლებენ ფუნდამენტური ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში.

სავარაუდოდ, შემდეგი შეხვედრა სამშაბათს გაიმართება.

## აშშ-ის ღია პირველობა. კაცების ბადე

| 1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 |
|---|---|---|---|---|---|
| ფედერერი (შვეიც, 1) | | | | | |
| იანგი (აშშ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ფაუ (გერ) | | | | | |
| რამოსი (ესპ) | | | | | |
| ჯინეპრი (აშშ) | | | | | |
| მაშადო (პორ) | | | | | |
| ვერდასკო (ესპ, 25) | | | | | |
| ფიში (აშშ, 23) | | | | | |
| სოედა (იაპ) | | | | | |
| დავიდენკო რუს) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| კარლოვიჩი (ხორ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| რასელი (აშშ) | | | | | |
| სიმონი (საფ, 16) | | | | | |
| ალმაგრო (ესპ, 11) | | | | | |
| შტეპანეკი (ჩეხ) | | | | | |
| მაუ (საფ) | | | | | |
| პეტცშნერი (გერ) | | | | | |
| კავჩიჩი (სლოვენ) | | | | | |
| ჩიპოლა (იტა) | | | | | |
| სოკი (აშშ) | | | | | |
| ფ. მაიერი (გერ., 22) | | | | | |
| კუერი (აშშ, 27) | | | | | |
| ლუ (ტაივ) | | | | | |
| რამირეს იდალგო (ესპ) | | | | | |
| დევარმანი (ინდ) | | | | | |
| ისტომინი (უზბ) | | | | | |
| ზოპი (ესპ) | | | | | |
| გოფენი (ბელ) | | | | | |
| ბერდიხი (ჩეხ, 6) | | | | | |
| მიურეი (ბრიტ, 3) | | | | | |
| ბოგომოლოვი (რუს) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| დოდიგი (ხორ) | | | | | |
| ბედუჩი (ბრა) | | | | | |
| ანდუხარი (ესპ) | | | | | |
| ჰაასე (ჰოლ) | | | | | |
| ფ. ლოპესი (ესპ, 30) | | | | | |
| გრანოლერსი (ესპ, 24) | | | | | |
| კუდლა (აშშ) | | | | | |
| ლაჩკო (სლოვაკ) | | | | | |
| ბლეიკი (აშშ) | | | | | |
| მატიო (საფ) | | | | | |
| ანდრეევი (რუს) | | | | | |
| ხირალდო (კოლ) | | | | | |
| რაონიჩი (კან, 15) | | | | | |
| ჩილიჩი (ხორ, 12) | | | | | |
| მატოშევიჩი (ავსტრა) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| უნგური (რუმ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ნიშიკორი (იაპ, 17) | | | | | |
| შარდი (საფ, 32) | | | | | |
| ვოლანდრი (ესპ) | | | | | |
| იტო (იაპ) | | | | | |
| ებდენი (ავსტრა) | | | | | |
| კლიჟანი (სლოვაკ) | | | | | |
| ფალა (კოლ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ცონგა (საფ, 5) | | | | | |

### 1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები

(თუ განთესილები პირველ ორ წრეს გაივლიან)

ფედერერი (შვეიც, 1)-ვერდასკო (ესპ, 25)
ფიში (აშშ, 23)-სიმონი (საფ, 16)
ალმაგრო (ესპ, 11)-ფ. მაიერი (გერ, 22)
კუერი (აშშ, 27)-ბერდიხი (ჩეხ, 6)
მიურეი (ბრიტ, 3)-ფ. ლოპესი (ესპ, 30)
გრანოლერსი (ესპ, 24)-რაონიჩი (კან, 15)
ჩილიჩი (ხორ, 12)-ნიშიკორი (იაპ, 17)
შარდი (საფ, 32)-ცონგა (საფ, 5)
ტიპსარევიჩი (სერ, 8)-ტროიცკი (სერ, 28)
კოლშრაიბერი (გერ, 19)-ისნერი (აშშ, 9)
გასკე (საფ, 13)-ჰაასი (გერ, 21)
იუჟნი (რუს, 28)-ფერერი (ესპ, 4)
დელ პოტრო (არგ, 7)-სეპი (იტა, 26)
როდიკი (აშშ, 20)-მონაკო (არგ, 10)
დოლგოპოლოვი (უკრ, 14)-ვავრინკა (შვეიც, 18)
ბენეტო (საფ, 31)-ჯოკოვიჩი (სერ, 2)




| 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ტიპსარევიჩი (სერ, 8) |
| | | | | | რუფენი (საფ) |
| | | | | | ბეიკერი (აშშ) |
| | | | | | პაიეკი (ჩეხ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | შტებე (გერ) |
| | | | | | ტროიცკი (სერ, 29) |
| | | | | | კოლშრაიბერი (გერ, 19) |
| | | | | | ლოდრა (საფ) |
| | | | | | დიმიტროვი (ბულ) |
| | | | | | პერი (საფ) |
| | | | | | კუკუშკინი (ყაზ) |
| | | | | | ნიემინენი (ფინ) |
| | | | | | მალისე (ბელ) |
| | | | | | ისნერი (აშშ, 9) |
| | | | | | გასკე (საფ, 13) |
| | | | | | მონტანიესი (ესპ) |
| | | | | | მელცერი (ავსტრია) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ჯონსონი (აშშ) |
| | | | | | რამი (აშშ) |
| | | | | | გულბისი (ლატ) |
| | | | | | ჰაასი (აშშ, 21) |
| | | | | | იუჟნი (რუს, 28) |
| | | | | | მიულერი (ლუქ) |
| | | | | | კამკე (გერ) |
| | | | | | ჰიუიტი (ავსტრა) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ხიმენო ტრავერო (ესპ) |
| | | | | | ანდერსონი (ს. აფრ) |
| | | | | | ფერერი (ესპ, 4) |
| | | | | | დელ პოტრო (არგ, 7) |
| | | | | | ნალბანდიანი (არგ) |
| | | | | | ზეკერი (გერ) |
| | | | | | ჰარისონი (აშშ) |
| | | | | | კუბოტი (პოლ) |
| | | | | | ლ. მაიერი (არგ) |
| | | | | | რობრედო (ესპ) |
| | | | | | სეპი (იტა, 26) |
| | | | | | როდიკი (აშშ, 20) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ბერლოკი (არგ) |
| | | | | | ტომიჩი (ავსტრა) |
| | | | | | როჟე-ვასელენი (საფ) |
| | | | | | ფონინი (იტა) |
| | | | | | გარსია ლოპესი (საფ) |
| | | | | | მონაკო (არგ, 10) |
| | | | | | დოლგოპოლოვი (უკრ, 14) |
| | | | | | ლევინე (აშშ) |
| | | | | | ბალდატისი (კვიპ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | დარცისი (ბელ) |
| | | | | | ჟაზირი (ტუნ) |
| | | | | | სტახოვსკი (უკრ) |
| | | | | | ვავრინკა (შვეიც, 18) |
| | | | | | ბენეტო (საფ, 31) |
| | | | | | ო. როხუსი (ბელ) |
| | | | | | ნოვიკოვი (აშშ) |
| | | | | | იანოვიჩი (პოლ) |
| | | | | | დუტრა სილვა (ბრა) |
| | | | | | ვავრინკა (შვეიც, 18) |
| | | | | | ლორენცი (იტა) |
| | | | | | ჯოკოვიჩი (სერ, 2) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. ვუელტა

# ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა



დეგენკოლბი აღარ ხუმრობს

ესპანურ ვუელტაზე ორი სამთო რბოლის შემდეგ, სპრინტერული მეხუთე ეტაპი ნაკლებად საინტერესო იყო. ყველა დარწმუნებული გახლდათ, რომ ამ ეტაპის ბედს ფინიშზე სპრინტერული გარჩევები გადაწყვეტდა - ამიტომაც, 168-კილომეტრიან დისტანციაზე მხოლოდ ერთი გაქცევა ვიხილეთ, ისიც ერთი ველომრბოლის შესრულებით. ეს გახლდათ მასპინძელი **ხავიერ ჩაკონი**. მან მშვიდად, ძალების ყოველგვარი დაძაბვის გარეშე მოიპოვა პელოტონზე 11-წუთიანი უპირატესობა, თუმცა ესპანელის გარღვევას პელოტონში სერიოზულად არავინ უყურებდა.

ძირითადი ჯგუფიდან პირველებმა აქტიურობა გუნდ „არგოსის" წევრებმა დაიწყეს. ეს გასაგებია, რადგან ამ გუნდში ირიცხება ახალგაზრდა გერმანელი სპრინტერი **იონ დეგენკოლბი**, რომელმაც უკვე მოიგო ამ ვუელტაზე ერთი ეტაპი და საჯინიბო მისთვის საფინიშო შეტევას ამზადებდა.

ფინიშამდე 70 კილომეტრით ადრე, ჩაკონმა პოზიციების დათმობა დაიწყო და რამდენიმე კილომეტრის განმავლობაში თავისი უპირატესობის ნახევარი გაფლანგა. საბოლოოდ, ესპანელს პელოტონი მაშინ დაეწია, როცა ფინიშამდე 20 კილომეტრი რჩებოდა.

ბოლო მეტრებზე პირველი შეტევა ცნობილმა იტალიელმა ვეტერანმა **დანიელე ბენატიმ** წამოიწყო. მან კონკურენტებზე გარკვეული უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ იერიში ნაჩქარევი აღმოჩნდა. „არგოსის" ამომავალმა ვარსკვლავმა იონ დეგენკოლბმა დაიჭირა იტალიელის გარღვევა და საფინიშო მეტრებზე იოლად დაამარცხა ვეტერანი, რითაც ამ ვუელტაზე დუბლი შეასრულა. მესამე მივიდა ფინიშთან ბელგიელი **ჯანი მერსმანი**.

გენერალური კლასიფიკაციის ლიდერებს კი ამ ეტაპზე დასვენების საშუალება მიეცათ. შესაბამისად, საერთო ჩათვლაში არაფერი შეცვლილა და ესპანელი **ხოაკიმ როდრიგესი** ინარჩუნებს ლიდერის წითელ მაისურს.

**V ეტაპი**

**ლოგროვიო (168 კმ)**

1. **იონ დეგენკოლბი** (გერმანია, Argos) - 4.10,37; 2. **დანიელე ბენატი** (იტალია, RadioShack) - იგივე დრო; 3. **ჯანი მერსმანი** (ბელგია, Lotto) - იგივე დრო; 4. **ნასერ ბუჰანი** (საფრანგეთი, FDJ) - იგივე დრო; 5. **ელია ვივიანი** (იტალია, Liquigas) - იგივე დრო; 6. **რაიმონდ კრედერი** (ჰოლანდია, Garmin) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, "კატიუშა") - 17.29,22; 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი, Sky) - +0,01; 3. **ალბერტო კონტადორი** (ესპანეთი, Saxo Bank) - +0,05; 4. **ბაუკე მოლემა** (ჰოლანდია, Rabobank) - +0,09; 5. **რობერტ ჰესინკი** (ჰოლანდია, Rabobank) - +0,09; 6. **რიგობერტო ურანი** (კოლუმბია, Sky) - +0,11...

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

**პლეი ოფი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ანჟი-ალკმაარი | 1:0 |
| ნეფთჩი-აპოელ | 1:1 |
| ტრომსიო-პარტიზანი | 3:2 |
| ეკრანასი-სტიაუა | 0:2 |
| აიკ-ცსკა | 0:1 |
| ატრომიტოსი-ნიუკასლი | 1:1 |
| შერიფი-მარსელი | 1:2 |
| ლეგია-რუსენბორგი | 1:1 |
| ლიბერეცი-დნიპრო | 2:2 |
| მიოლდე-ჰერენვეენი | 2:0 |
| ბურსა-ტვენტე | 3:1 |
| დინამო (ბ)-მეტალისტი | 0:2 |
| ლუცერნი-გენკი | 2:1 |
| დუდელანჟი-ჰაპოელი (თ-ა) | 1:3 |
| ფეიენოორდი-სპარტა | 2:2 |
| ტრაბზონი-ვიდეოტონი | 0:0 |
| მიდტიულანდი-იანგ ბოიზი | 0:3 |
| დებრეცენი-ბრიუგე | 0:3 |
| ლოკერენი-პლზენი | 2:1 |
| პაოკ-რაპიდი (ვ) | 2:1 |
| ვასლუი-ინტერი | 0:2 |
| ჰართსი-ლივერპული | 0:1 |
| მოზერველი-ლევანტე | 0:2 |
| შლიონსკი-ჰანოვერი | 3:5 |
| ჰორსენსი-სპორტინგი | 1:1 |
| ბილბაო-ჰიკ | 6:0 |
| მურა-ლაციო | 0:2 |
| ცრვენა ზვეზდა-ბორდო | 0:0 |
| ზეტა-ეინდჰოვენი | 0:5 |

**ესპანეთი**

**სუპერთასი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-რეალი | 3:2 |

**ბელგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-აალსტი | 2:0 |
| ეუპენი-[illegible] | 1:0 |

**[illegible]**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ნავალი-ბენფიკა B | 2:1 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოსტერი-ბრაგე | 1:0 |

**ფინეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰიფკ-ოულუ | 1:0 |
| კოტკაპე-ჰამეენლინა | 3:0 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| აკრანესი-სტიარნანი | 1:2 |
| ჰაფნარი-რეიკიავიკი | 1:3 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-ბრნო | 5:0 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ტაურასი-დაინავა | 1:3 |

**კოპა სუდამერიკანა**

**I ეტაპი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ლეონი-დეპ. კიტო | 2:3 (0:1) |

**ჩოგბურთი**

**ATP. უინსტონ სალემი**

| | |
|---|---|
| ბერდიხი-დარცისი | 4:6, 6:2, 6:0 |
| კუერი-დოლგოპოლოვი | 7:5, 4:6, 7:6 |
| ცონგა-გრანოლერსი | 6:1, 6:2 |

**WTA. ნიუ ჰევენი**

| | |
|---|---|
| ვოზნიაცკი-ციბულკოვა | 6:2, 6:1 |
| გოვორცოვა-კირილენკო | 1:6, 2:6 |

ფორმულა 1



ფელიპე მასა

# მასამ თავისი როლი იპოვა

იტალიური საჯინიბოს - „ფერარის" მეორე პილოტი **ფელიპე მასა** აცხადებს, რომ მისი მომავალი კარიერის საკითხი იმაზე იქნება დამოკიდებული, რა შედეგებს აჩვენებს ის სეზონის მეორე ნახევარში.

ჯერჯერობით ბრაზილიელი პილოტი ძალიან სუსტ ჩემპიონატს ატარებს - მისი თანაგუნდელი **ფერნანდო ალონსო** საერთო ჩათვლის ლიდერია, იმავე მანქანით მოასპარეზე მასა კი მე-14 პოზიციაზე იმყოფება და თანაგუნდელს 139 ქულით ჩამორჩება. ბუნებრივია, ეს სიტუაცია მასას „ფერარიში" დარჩენის მინიმალურ შანსს უტოვებს.

*„ამ მომენტისთვის არაფერია გადაწყვეტილი. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, როგორ ვიასპარეზებ სეზონის მეორე ნახევარში. სწორედ სეზონის ამ ნაწილში დაფიქსირებული შედეგების შემდეგ მიიღებს გუნდი საბოლოო გადაწყვეტილებას"*, - ამბობს ბრაზილიელი.

ასე რომ, სეზონის დარჩენილ რბოლებში მასამ, რაც შეიძლება მეტი ქულა უნდა დააგროვოს. გარდა ამისა, მას სხვა მისიაც ეკისრება - უნდა დაეხმაროს ალონსოს ტიტულის მოგებაში.

*„ნებისმიერ რბოლაში პოდიუმზე ასვლა კარგი შედეგი იქნება ჩემთვის. გარდა ამისა, უნდა ვეცადო ყოველთვის ახლოს ვიყო ალონსოსთან, რათა მას ჩემპიონობის მოგებაში დავეხმარო. საერთო ჩათვლაში ჩვენ შორის დიდი სხვაობაა, ამიტომაც გასაგებია, რომ მე გუნდში ეს როლი მერგო. ამაში ახალი არაფერია"*, - აღიარებს მასა.

ამ სეზონში ალონსომ სამი რბოლა მოიგო, მასა კი ერთხელაც არ ასულა პოდიუმზე და 11 რბოლიდან ექვსში საუკეთესო ათეულის მიღმა აღმოჩნდა. ბოლოს ბრაზილიელი პოდიუმზე 2010 წლის ოქტომბერში ვიხილეთ, რბოლა კი მას 2008 წლის შემდეგ არ მოუგია.

ფორმულა 1-ის ჩემპიონატი 2 სექტემბერს, ბელგიის გრანპრით განახლდება.

TV პროგრამა

**24 აგვისტო. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. მანჩესტერ სიტი-საუთჰემპტონი.
**14:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ფლუმინენსე-სპორტ რესიფე.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. უიგანი-ჩელსი.
**18:00** ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
**19:00** ესპანეთის სუპერთასი. ბარსელონა-რეალი. I მატჩი
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. დორტმუნდი-ვერდერი (LIVE).
**00:30** ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ბაზელი-კლუჟი. I მატჩი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ჩიკაგო-ნიუ იორკი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. დინამო (ზ)-მარიბორი. I მატჩი.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. არლეკინსი-გლოსტერი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. აელ-ანდერლეხტი. I მატჩი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:45** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ჩიკაგო-ნიუ იორკი.
**00:55** NBA Action.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** რაგბი. ექვსი ერი თასი. უელსი-საფრანგეთი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ვერდერი.
**19:30** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ფილადელფია-ბოსტონი.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 29 | (მზე) |
| ქუთაისი | 16 | 33 | (მზე) |
| ბათუმი | 18 | 30 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 16 | 31 | (მზე) |
| ზუგდიდი | 14 | 31 | (მზე) |
| გორი | 15 | 30 | (მზე) |
| თელავი | 16 | 28 | (მზე) |
| სიღნაღი | 15 | 27 | (მზე) |
| ქობულეთი | 16 | 29 | (მზე) |
| ბაკურიანი | 7 | 24 | (მზე) |
| ბორჯომი | 8 | 29 | (მზე) |
| მესტია | 8 | 22 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0497 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6442 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5972 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1695 |

კრივი

# მენიმ პირველ დეკემბრამდე გადადო

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივის, ფილიპინელი **მენი პაკიაოს** მრჩეველმა **მაიკლ კონცმა** ESPN-ს განუცხადა, რომ „პაკმენის" მომდევნო ბრძოლა ამა წლის პირველ დეკემბერს გაიმართება და არა 10 ნოემბერს, როგორც ეს ადრე იყო დაგეგმილი. კონცის თქმით, ბრძოლის გადატანა პაკიაოს პოლიტიკურ კარიერას უკავშირდება. მოკრივე საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. ბრძოლის გადატანის მეორე მიზეზი კი ის არის, რომ ფილიპინელის გუნდმა გადაწყვიტა მომავალი შეხვედრისთვის მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფრედი როუჩის საკრივო დარბაზში მოემზადოს და არ ჩაატაროს წინასწარი საწვრთნელი შეკრება ფილიპინებში.


მენი პაკიაო

*„ჩემთვის და მენისთვის ეს ნაბიჯი მნიშვნელოვანია, რადგან წინა ორი ბრძოლა არც ისე დამაჯერებელი იყო და მას უნდა ბოლომდე კონცენტრირებული იყოს საწვრთნელი შეკრების დროს*, - თქვა კონცმა. - *ამისთვის ჩვენს პრომოუტერებს ვთხოვეთ შეხვედრის პირველი დეკემბრისთვის გადატანა".*

პოტენციური მეტოქეების სია არ შეცვლილა: ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონი **ტიმოტი ბრედლი**, პირველ ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონი **ხუან მანუელ მარკესი** და სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **მიგელ კოტო**. არ განიხილება **ფლოიდ მეივეზერის** კანდიდატურა, რადგან კონცის აზრით, ამერიკელი წელს რინგზე არ დაბრუნდება.

*„ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში სწრაფად უნდა დავიწყოთ მომავალი ბრძოლის კამპანია, ამიტომაც შემდეგ კვირას საბოლოოდ გადავწყვეტთ მეტოქის ვინაობას"*, - განაცხადა კონცმა.


კრამნიკისა და კლიჩკოს პარტია

# ვიტალის ყაიმი კრამნიკთან

**ვიტალი კლიჩკო** ავსტრიის ალპებში ასრულებს მზადებას 8 სექტემბერს დანიშნული ბრძოლისთვის, რომელშიც ის მოსკოვში გერმანელ **მანუელ ჩარს** შეხვდება.

WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონს ჭადრაკში მსოფლიოს ექსჩემპიონი, რუსი **ვლადიმერ კრამნიკი** სტუმრობდა. სპორტსმენებმა საჭადრაკო დაფასთან გაარკვიეს ურთიერთობა.

*„კრამნიკმა, სანამ შამათს დამისვამდა, ყაიმი შემომთავაზა. მე დავთანხმდი"*, - განაცხადა პარტიის შემდეგ ვიტალი კლიჩკომ.

ჩოგბურთი







# ანა ძალიან გამხდარა

ცნობილმა რუსმა ჩოგბურთელმა **ანა კურნიკოვამ** გასული წლის სექტემბერში უარი თქვა პოპულარული ამერიკული პროექტის - The Biggest Looser-ის წაყვანაზე და დიდი ხნით გაქრა საზოგადოების თვალთახედვის არედან. ყოფილმა სპორტსმენმა მოულოდნელად უცებ იუარა სალამოები, ფოტოსესიები და ინტერვიუები.

ამის შემდეგ პაპარაცებმა რუს ლამაზმანს ბიკინიში გადაუღეს ფოტოები და ამ სურათებზე ნათლად ჩანდა ანას მომრგვალებული მუცელი. ამიტომაც ტაბლოიდებმა მაშინვე გამოიტანეს ვერდიქტი: კურნიკოვა ფეხმძიმედაა. ეს მოსაზრება გაამყარა მაიამიში მშენებარე ვილამ, რომელიც ანასა და მისი ბოიფრენდის **ენრიკე იგლესიასის** საკუთრებაა. ჭორების მიხედვით, ახალ სახლში მათ ორი საბავშვო ოთახი დაგეგმეს. ხოლო, როცა კურნიკოვა დიდი ხნით აღარ გამოჩნდა საზოგადოებაში, ყველამ ერთად გადაწყვიტა: 31 წლის სპორტსმენი საქმეებს ჩამოშორდა, რათა სიმშვიდეში გააჩინოს პირველი შვილი. მაგრამ ამ დღეებში გამოქვეყნებულმა ფოტოსესიამ ყველა ჭორი გააქარწყლა: ახალ ფოტოებზე ანა იმაზე მეტად გამხდარია, ვიდრე ერთი წლის წინ იყო.

როგორც ჩანს, მთელი ამ ხნის განმავლობაში კურნიკოვა დროს უქმად არ კარგავდა, აქტიურად იგდებდა ზედმეტ წონას და თავისი ფიგურა სრულყოფამდე მიიყვანა, რის შემდეგაც ესპანურ ჟურნალს - S Moda-ს დათანხმდა ფოტოსესიაზე.

ამავე ჟურნალში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ანამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბედნიერია თავის რჩეულთან, მაგრამ უახლოეს პერიოდში მისთვის შვილის გაჩენას არ აპირებს. კურნიკოვას თქმით, ენრიკე ძლიერი პიროვნებაა და მათ კავშირში სწორედ ის არის აშკარა ლიდერი:

*„ის უფრო ესპანელია, ვიდრე ამერიკელი. ჩემთან ყოველთვის ესპანურად ლაპარაკობს... მასთან ერთად თავს უსაფრთხოდ ვგრძნობ. ის მამაკაცია, ლიდერი. ბავშვებზე ჯერ არ ვფიქრობთ. მინდა მყავდეს შვილები - ჩემი ან აყვანილი, მაგრამ მხოლოდ 31 წლის ვარ და წინ ბევრი დრო მაქვს".*

ანას თქმით, მან დატოვა დიდი ჩოგბურთი და უკან დაბრუნებას არ აპირებს:

*„ჩოგბურთი - ჩემი ცხოვრებაა. ყოველდღე ვვარჯიშობ. ბავშვებს თამაშს ვასწავლი. მაგრამ არ შემიძლია პროფესიულ ჩოგბურთში დაბრუნება. ფეხი რამდენჯერმე მოვიტეხე, მუხლი და ზურგი დავიზიანე..."*

ამასობაში, ენრიკე იგლესიასმაც დაადასტურა, რომ ის და კურნიკოვა არ ჩქარობენ ოჯახის შექმნას:

*„თუ თქვენ დაქორწინებას არ აპირებთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გსურთ თქვენს პარტნიორთან ცხოვრება. ბოლოს და ბოლოს, როცა ვინმესთან ცხოვრობ, ეს უკვე იმაზე მიანიშნებს, რომ დაქორწინებულები ხართ".*

ცურვა



# მეგანმა მაიკლი დაჩრდილა

ოლიმპიადის შემდეგ, **მაიკლ ფელპსი** და მისი შეყვარებული **მეგან როსი** კურორტ სანტა მონიკას პლაჟზე ისვენებდნენ. გოგონამ მაშინვე მიიპყრო პაპარაცების ყურადღება, რომლებმაც საერთოდ დაივიწყეს ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი.

სხვათა შორის, ფელპსის რჩეული მაიკლზე არანაკლებ პოპულარულია - მეგანი ლოს ანჯელესში ცხოვრობს, მოდელის კარიერას ანვითარებს და დამწყები მსახიობიცაა.

მძლეოსნობა

# ბოლტის ახალი გეგმები

ლეგენდარული იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი**, რომელიც ლონდონის თამაშების შემდეგ ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ლოზანაში - „ბრილიანტის ლიგის" მორიგ ეტაპზე გამოვა. მანამდე კი მან შვეიცარიის ალპებს ვერტმფრენით გადაუფრინა და ჟენევას ტბასთან ახლოს აღნიშნა თავისი 26-ე დაბადების დღე.

ბრილიანტის ლიგის ეტაპში მონაწილეობის გარდა, ბოლტის შვეიცარიაში ვიზიტი სარეკლამო ხასიათსაც ატარებდა - იამაიკელი სპრინტერი რეკლამას უკეთებდა შვეიცარიული საათების მწარმოებელ კომპანია „ჰუბლოტს". სწორედ ამ კომპანიის პრეზიდენტთან - **ჟან-კლოდ ბივერთან** ერთად იმგზავრა ბოლტმა ვერტმფრენით.

რა თქმა უნდა, იყო ჟურნალისტებთან შეხვედრა, სადაც ბოლტმა ერთი საინტერესო განცხადება გააკეთა. ლეგენდარულმა მძლეოსანმა თქვა, რომ აუცილებლად გამოვა 2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროს თამაშებზე და სურს იქ ახალ დისციპლინებში სცადოს ბედი.

*„რა თქმა უნდა, თუ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს, რიოში აუცილებლად ჩავალ და ოლიმპიადაში მივიღებ მონაწილეობას. ბუნებრივია, ასაკის გამო უფრო გამიჭირდება, მაგრამ ამ თამაშების დაწყებას მოუთმენლად ველოდები"*, - ამბობს ბოლტი.

უსაინის თქმით, იმ დროისთვის მას, შესაძლოა, ახალი მიზნები გაუჩნდეს. შეგახსენებთ, რომ ადრე განიხილებოდა ბოლტის გამოსვლა სიგრძეზე ხტომასა და 400 მეტრ დისტანციაზე.

*„კარგად უნდა მოვიფიქრო, კიდევ რისი გაკეთება შემიძლია სპორტში. ჩემს მწვრთნელს უნდა, რომ 400 მეტრ დისტანციაზე ვირბინო, მე კი სიგრძეზე ხტომაში მინდა ძალების მოსინჯვა. ყოველთვის შემიძლია ვცადო ახალი რეკორდების დამყარება. ამ სეზონის შემდეგ გადავწყვეტთ, რისი გაკეთება გვსურს და ამაზე მუშაობას დავიწყებთ"*, - განაცხადა ბოლტმა.



უსაინ ბოლტი






გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:05
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608